

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ლაშა ლაბაძე

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასება
მიკროეკონომიკური მოდელით

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი

მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი ეთერი ხარაიშვილი



თბილისი

2015

სარჩევი

შესავალი-----	1
1 საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების მიმოხილვა-----	8
1.1 ძირითადი ტენდენციები და შემაფერხებელი ფაქტორები.....	8
1.2 მიწის ბაზრის განვითარების ანალიზი.....	26
1.3 აგრო დაზღვევა და ფინანსურ რესურსებზე წვდომის ანალიზი.....	44
1.4 სოფლის მეურნეობაში მიმდინარე პროექტებისა და პროგრამების მიმოხილვა..	52
2 ინვესტიციების შედეგების შემაფასებელი კვლევების მიმოხილვა -----	76
2.1 არჩევანი სიღარიბის აღმოფხვრასა და სწრაფ ეკონომიკურ ზრდას შორის.....	77
2.2 ინფრასტრუქტურის განვითარება.....	80
2.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა შემოსავლების უთანასწორობაზე	85
3 ზოგადი წონასწორობის მოდელი-----	97
3.1 ზოგადი წონასწორობის მოდელი მიკროეკონომიკაში.....	97
3.2 ზოგადი წონასწორობის მოდელის არსი, დაშვებები და რელევანტურობა.....	100
3.3 პირველი ზოგადი წონასწორობის მოდელი საქართველოსთვის.....	104
4 საქართველოს სოციალური აღრიცხვის მატრიცა-----	113
4.1 ეკონომიკური სექტორებისა და პროდუქტის დისაგრეგაცია.....	113
4.2 შინამეურნეობები და სახელმწიფო ზოგადი წონასწორობის მოდელში.....	118
4.3 სოციალური აღრიცხვის მატრიცის დისაგრეგაცია.....	121
5 საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში ინვესტიციების მოდელირების შედეგები -----	129
6 სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელებული ინვესტიციების დეტალური შედეგები -----	138
დასკვნები -----	148
დანართი -----	156
ა) ზოგადი წონასწორობის მოდელის კოდი.....	156
ბ) წარმოების ფუნქციიდან ფასებზე დამოკიდებული დანახარჯების ფუნქციის მიღება – კერძო შემთხვევა.....	178
გ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხები, 2013.....	179
დ) რესურსებისა და გამოყენების ცხრილები, 2011.....	180
ე) ნაშრომში გამოყენებული შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზის ველების აღწერა.....	184
გამოყენებული ლიტერატურა-----	192

შესავალი

თემის აქტუალურობა

თეოდორე შულცი (T.W. Schultz (1979) – Nobel Prize Lecture) სოფლის მეურნეობაზე ამბობდა “ხალხთა უმრავლესობა მსოფლიოში ღარიბია, ასე რომ თუ გვეცოდინება სიღარიბის ეკონომიკა, გვეცოდინება ეკონომიკის დიდი ნაწილი, რაც რეალურად მნიშვნელოვანია. მსოფლიოს ხალხთა უმრავლესობის საარსებო წყარო სოფლის მეურნეობაა, ასე რომ, თუ გვეცოდინება სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, გვეცოდინება სიღარიბის ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი.” ეს სიტყვები თანამედროვე მსოფლიოსთვის კვლავ აქტუალურია.

საქართველოსთვის აგრარული სექტორი ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, რადგან ეკონომიკურთან ერთად იგი სოციალური ხასიათის მატარებელიცაა თავისი 3500-ზე მეტი სოფლითა და მასში მცხოვრები მოსახლეობის ნახევრით. წლების განმავლობაში არასაკმარისმა ინვესტიციებმა მნიშვნელოვნად დააკნინა აღნიშნული სექტორი და სოფელი გაღარიბდა. სოფლის მეურნეობა დარჩა დაბალგანვითარებულ სფეროდ, რომლისთვისაც დამახასიათებელი გახდა შრომის დაბალი მწარმოებლურობა. წლების განმავლობაში მცირდებოდა დამუშავებული მიწების რაოდენობა.

ალტერნატიული დაფინანსების ნაკლებობამ განაპირობა უცხოურ ინვესტიციებზე აქცენტირება, რომელსაც უნდა დაეძლია სიღარიბე სოფლად. თუმცა, ამ მიმართულებითაც ვერ იქნა წარმატება მიღწეული, რადგან არსებობდა მთელი რიგი პრობლემები, კერძოდ, პოლიტიკური არასტაბილურობა, განუვითარებელი მიწის ბაზარი, უცხოელ ინვესტორებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის წარმოშობილი კონფლიქტები და ა.შ. სოფლის მეურნეობის მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტიც, რომ მიუხედავად ფერმერული მეურნეობის დაბალი კომერციალიზაციისა, აგრო პროდუქტებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სხვა სექტორების განვითარებასა და მათ კონკურენტუნარიანობაში. მაგალითად, სოფლის მეურნეობის ნაწარმი არის მნიშვნელოვანი შუალედური მოხმარების

პროდუქტები დამამუშავებელი მრეწველობისთვის. 2013 წელს დამამუშავებელმა მრეწველობამ თავის წარმოებაში სულ 437 მლნ ლარის ღირებულების სოფლის მეურნეობის პროდუქტი მოიხმარა¹.

ამდენად, დღის წესრიგში დადგა საკითხი არა მარტო იმის შესახებ, შეუძლიათ თუ არა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, წვლილი შეიტანოს სოფლის განვითარებაში, არამედ ისიც, თუ რა გავლენას იქონიებს სოფლის მეურნეობაში ინვესტიციები სხვადასხვა სექტორისა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. ეს კომპლექსური პრობლემა მრავალი მიმართულებით, სიღრმისეულ ანალიზს საჭიროებს. დღემდე არ ჩატარებულა რაოდენობრივი გათვლები იმის შესახებ, თუ რა გავლენა ექნება სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელებულ ინვესტიციებს ქვეყნის ექსპორტსა და იმპორტზე. მაგალითად, საქართველო რძისა და ხორცის წმინდა იმპორტიორია. მხოლოდ ფრინველისა და კვერცხის ნაწარმი აკმაყოფილებს, ისიც ნაწილობრივ ადგილობრივ მოთხოვნას.

აღნიშნული კვლევის საკითხები მნიშვნელოვანია იმ მრავალ გამოწვევას შორის, რომლის წინაშეც დგას დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობა. სწორედ ამიტომ, აუცილებელია გავაანალიზოთ სოფლის მეურნეობის სექტორში საინვესტიციო გარემო, დაგვეძლი თუ მიმდინარე ინვესტიციების მოსალოდნელი შედეგები, როგორც მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების კუთხით, ასევე, შევაფასოთ მისი გავლენა ცალკეულ სექტორებსა და მთლიანად ეკონომიკაზე. ამგვარი კვლევით შესაძლებელი გახდება უკეთ წარმოჩნდეს ინკლუზიური და მდგრადი განვითარებისთვის სოფლის მეურნეობის სექტორის მნიშვნელობა.

¹საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, რესურსებისა და გამოყენების ცხრილები http://geostat.ge/?action=page&p_id=739&lang=geo

კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის ძირითადი მიზანია, ზოგადი წონასწორობის მოდელის გამოყენებით, სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ინვესტიციების გავლენის შეფასება უმუშევრობაზე, მთლიან წარმოებაზე, ფასებზე, ვაჭრობაზე, რეალურ ხელფასზე და განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების იდენტიფიკაციით, ამ სექტორის განვითარების რეკომენდაციების შემუშავება.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა დავისახეთ:

- საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის საინვესტიციო გარემოს შესწავლა;
- სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების (მოსახლეობა, სიღარიბის მაჩვენებელი, მიწის ფონდი, სოფლის მეურნეობის მთლიანი წარმოება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორების მიხედვით და სხვ.) ტენდენციების ანალიზი;
- სოციალური აღრიცხვის მატრიცის აგება;
- სტატიკური, ზოგადი წონასწორობის მოდელის შექმნა და ინვესტიციების სიმულაციური ასახვა;
- ინტეგრირებული შინამეურნეობების კვლევის მონაცემთა ანალიზი რეგიონულ ჭრილში;
- სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლა სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების მოზიდვის კუთხით, ასევე, უცხოელებზე მიწის გასხვისების საკითხების ანალიზი და სხვ.

2003 წლის შემდეგ განხორციელებული რეფორმების შედეგები ნათლად აისახა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელში. თუმცა, ეკონომიკის ზრდა კონცენტრირებული იყო მხოლოდ თბილისში, ხოლო დანარჩენი საქართველო მკვეთრად ჩამორჩებოდა. ეკონომიკურმა ზრდამ გავლენა ვერ იქონია ვერც უმუშევრობისა და სიღარიბის მაღალ მაჩვენებლებზე, რომელიც კვლავ დიდ პრობლემად რჩება საქართველოსთვის, განსაკუთრებით კი სოფლად მაცხოვრებელთათვის. 2012 წლის ბოლოს, არჩეულმა ახალმა მთავრობამ

სოციალური საკითხები წინა პლანზე წამოწია. სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებთან ერთად, 2013 წლის სექტემბერში დაარსდა კერძო საინვესტიციო ფონდი, ე.წ. საქართველოს თანაინვესტირების ფონდი (GCF), რომლის მიზანია, საქართველოს ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარებისთვის აუცილებელი კაპიტალური პროექტების დაფინანსება. მოსაზიდი ინვესტიციების სავარაუდო ღირებულება მომავალი ხუთი წლის განმავლობაში 10 მილიარდ დოლარს შეადგენს. გეგმის მიხედვით, თანაინვესტირების ფონდი ფოკუსირებას მოახდენს ისეთ პროექტებზე, რომელიც ხელს შეუწყობს არა მარტო ეკონომიკურ ზრდას, არამედ გააუმჯობესებს სოციალურ ფონსაც: შექმნის სამუშაო ადგილებს, შეამცირებს შემოსავლების უთანასწორობას, უზრუნველყოფს ფასების სტაბილურობას და ა.შ. ფონდი ერთგვარი საინვესტიციო მანქანაა საერთაშორისო ინვესტორებისთვის, რომელთაც სურთ განაგრძონ ან წამოიწყონ საქმიანობა საქართველოში. ფონდის სტრატეგიებსა და გეგმებში ხაზგასმულია პრიორიტეტულ სექტორთა ჩამონათვალი და სასურველი ინვესტიციების დაახლოებითი მოცულობა. მათ შორის, სოფლის მეურნეობის სექტორში გეგმის მიხედვით განსახორციელებელი პროექტების მოცულობა ნახევარ მილიარდ დოლარს შეადგენს.

ნაშრომში აღწერილია საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელებული ინვესტიციების ეფექტიანობის ანალიზი მიკროეკონომიკური მოდელირების გამოყენებით. ამასთან ერთად, დეტალურად არის განხილული სოციალური აღრიცხვის მატრიცის აგების მეთოდოლოგია და მისი გამოყენება გამოთვლადი, ზოგადი წონასწორობის (CGE) მოდელში. შესაბამის განტოლებათა სისტემების გამოყენებით, ზოგადი წონასწორობის მოდელი საშუალებას იძლევა აღიწეროს: რა გავლენას მოახდენს სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელებული ინვესტიციები სოფლად დასაქმებული მოსახლეობის კეთილდღეობაზე; როგორ შემცირდება უთანასწორობა ქალაქსა და სოფელს შორის. ასევე, როგორი გავლენა ექნება ინვესტიციებს ისეთ მაკროეკონომიკურ ცვლადებზე, როგორებიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი, ექსპორტი, იმპორტი და უმუშევრობა. ამასთან ერთად, სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ინვესტიციების ეფექტიანობის შედარება სხვა სექტორების შედეგებთან მთლიანი სურათის უკეთ დანახვის საშუალებას მოგვცემს. აღნიშნული კვლევა დაეხმარება

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემქმნელებს, რათა გადახედონ და გადააფასონ მდგრადი განვითარებისთვის საჭირო მიმართულებები.

კვლევის სიახლეები

- ინვესტიციების სიმულაციური ასახვისათვის აგებულია სტატისტიკური ზოგადი წონასწორობის მოდელი;
- სოციალური აღრიცხვის მატრიცით ასახულია მოდელის რიცხობრივი მონაცემები. კერძოდ, სოფლის მეურნეობის სექტორის კავშირი ეკონომიკის სხვა დარგებთან, შინამეურნეობების მოხმარება რეგიონების მიხედვით სოფლისა და ქალაქის ჭრილში, გადასახადები, წარმოებაში კაპიტალისა და მუშახელის მოხმარება და ა.შ;
- ინტეგრირებული შინამეურნეობების კვლევის მონაცემთა ანალიზის საფუძველზე რეგიონულ ჭრილში გამოკვლეული და შეფასებულია სოფლის მეურნეობის კომერციალიზაციის მაჩვენებელი;
- ზოგადი წონასწორობის მოდელის გამოყენებითა და შესაბამის განტოლებათა სისტემების ამოხსნით დადგენილია ინვესტიციების გავლენის დონე უმუშევრობაზე რეგიონების მიხედვით, სოფლისა და ქალაქის ჭრილში), ფასებზე (სექტორების მიხედვით), იმპორტსა და ექსპორტზე (სექტორების მიხედვით), რეალურ ხელფასსა და მთლიან წარმოებაზე (სექტორების მიხედვით);
- შედარებითი ანალიზის გზით ნაჩვენებია სხვადასხვა სექტორში ჩადებული ინვესტიციების უპირატესობები;

ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი შედგება შემდეგი თავებისგან: პირველი თავი დეტალურად განიხილავს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას, სხვადასხვა პრობლემას, მიღწევებსა და გამოწვევებს. მნიშვნელოვანი ინდიკატორები შედარებულია საქართველოსა და მის მსგავს ქვეყნებს შორის. ამ თავში, ასევე, მოცემულია გატარებული რეფორმებისა და მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზი.

ყოველივე ამის საფუძველზე ხაზგასმულია საკვლევი თემის აქტუალობა დღევანდელ საქართველოში.

მეორე თავში მოცემულია არსებული კვლევების მიმოხილვა სხვა ქვეყნების მაგალითების გამოყენებით. საქართველოში დღემდე არ განხორციელებულა ზოგადი წონასწორობის მოდელით ინვესტიციების ეფექტიანობის ანალიზი, ასევე, არ ყოფილა სოციალური მატრიცის აგების პრეცედენტი. კერძოდ, კი ყურადღება გამახვილებულია სიღარიბის აღმოფხვრასა და სწრაფ ეკონომიკურ ზრდას შორის არსებულ ალტერნატივებზე. ასევე, შეჯამებულია ლიტერატურა უმუშევრობისა და შემოსავლების უთანასწორობის აღმოფხვრის ალტერნატივებს შორის, გაანალიზებულია, სოფლის მეურნეობასთან შედარებით, რამდენად უპირატესია ინფრასტრუქტურის განვითარებაში ჩადებული ინვესტიციები, ამ ინდიკატორების გასაუმჯობესებლად. მეორე თავის ბოლო ქვეთავში მიმოხილულია ლიტერატურა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენის შესახებ.

მესამე თავი ეთმობა ზოგადი წონასწორობის მოდელის ანალიზს. მიმოხილულია მოდელის განვითარების ისტორია და სიღრმისეულად არის აღწერილი მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, დაშვებები და რაც მთავარია, აღნიშნული კვლევისთვის მისი გამოყენების რელევანტურობა. ამავე თავში აგებულია საქართველოს ეკონომიკის მოდელი ტექნიკური გამოთვლების შესასრულებელი შესაბამისი ფორმულებით.

მეოთხე თავში მოცემულია აგრეგირებული სოციალური აღრიცხვის მატრიცის² აგებისა და შემდგომ მისი დისაგრეგაციის მეთოდები.

მეხუთე თავში წარმოდგენილია ზოგადი წონასწორობის მოდელის გათვლები და სხვადასხვა საინვესტიციო ალტერნატივის შედარება.

ბოლოს, მეექვსე თავში სიღრმისეულად არის გაანალიზებული სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელებული ინვესტიციების ეფექტიანობის გავლენა

²სოციალური აღრიცხვის მატრიცა არის ზოგადი წონასწორობის მოდელის მონაცემთა ბაზა, რომლის საფუძველზეც ხდება გამოთვლების ჩატარება.


უმუშევრობაზე, სოფელსა და ქალაქში, რეგიონულ ჭრილში, მთლიან წარმოებასა და ფასებზე, სექტორულ ჭრილში და იმპორტსა და ექსპორტზე.

1 საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების მიმოხილვა

1.1 ძირითადი ტენდენციები და შემაფერხებელი ფაქტორები

2003 წელს ვარდების რევოლუციის შემდეგ, ქვეყანაში დაიწყო მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარება. როგორც აღვნიშნეთ, 2003 წლიდან 2007 წლამდე, საქართველოში დახმარების სახით მსხვილი უცხოური კაპიტალი შემოვიდა, რომელიც არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და შენახვას მოხმარდა. თუმცა, საქართველო, ერთ დროს ყველაზე მდიდარი საბჭოთა რესპუბლიკა, კეთილდღეობის თითქმის ყველა მაჩვენებელით ჩამორჩა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს (გარდა, ტაჯიკეთი, ყირგიზეთისა და მოლდოვასი).

დიაგრამა 1: ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარში³




³ მსოფლიო ბანკის მონაცემები <http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD>

2013 წელს, საქართველოს წლიური შემოსავალი თითოეულ მოსახლეზე დაახლოებით 3,600 აშშ დოლარს შეადგენდა⁴ (მსგავსად მცირე რესურსების მქონე სომხეთისა). მაშინ როცა, იგივე მაჩვენებელი უმრავლეს ყოფილ საბჭოთა ქვეყანაში გაცილებით მაღალი იყო (იხილეთ დიაგრამა 1). უფრო მეტიც, მედიანური მომხმარებელი საშუალოსთან შედარებით ბევრად უფრო ღარიბია, რაც არ ჩანს ერთ მოსახლეზე საშუალო შემოსავალის მაჩვენებელში.

მშპ-ს გაზრდასთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია შემოსავლების დიფერენციაციის დაბალანსებაც. ამჟამად, ჯინის კოეფიციენტი საქართველოში 40-ზე მეტია, რაც რეგიონში სხვა ქვეყნების მაჩვენებლებს აღემატება (მაგალითად, ჯინის კოეფიციენტი სომხეთში არის დაახლოებით 31, ხოლო აზერბაიჯანში - 34⁵). როგორც დიაგრამაზე ჩანს, ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის უთანასწორობის მაჩვენებელი საქართველოში ყველაზე მაღალია, მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით.

დიაგრამა 2: ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში შემოსავლების უთანასწორობის მაჩვენებელი (ჯინის კოეფიციენტი), 2001-2012⁶



⁴ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo


⁵ მსოფლიო ბანკის მონაცემები <http://data.worldbank.org/indicator/SI.POV.GINI>

⁶ მსოფლიო ბანკის მონაცემები <http://data.worldbank.org/indicator/SI.POV.GINI>

ბოლოდროინდელი ემპირიული კვლევებიდან ჩანს, რომ ქვეყნებში, სადაც შედარებით ნაკლებია თითოეულ მოსახლეზე შემოსავალი და ადგილი აქვს შემოსავლების დიფერენციაციას, წინსვლა საგრძნობლად ფერხდება. შედეგად, სოციალური უკმაყოფილება იწვევს სოციო-პოლიტიკურ არასტაბილურობას, რაც თავის მხრივ ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების განხორციელებას აფერხებს. მსგავსი სურათია საქართველოშიც. ISET-ის პროფესორების მაიკლ ფუნცივისა და იაროსლავა ბაბიჩის-ის მიერ 2012 წელს ჩატარებული „ზრდის დიაგნოსტიკა“ კვლევის მიხედვით, პოლიტიკური არასტაბილურობა და სხვა რისკ-ფაქტორები წარმოადგენდნენ გრძელვადიან პერსპექტივაში, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შეფერხების ძირითად მიზეზებს. ვინაიდან, სიღარიბისა და შემოსავლების დიფერენციაციის პრობლემები დიდ ზეგავლენას ახდენენ პოლიტიკურ და ინსტიტუციონალურ სტაბილურობაზე, ქართველმა კანონმდებლებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ ამ პრობლემების აღმოფხვრას.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ყველა განვითარებადი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია. ამ მხრივ, არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს. საქართველოს სურს, თავი დაადწიოს სიღარიბეს და დაეწიოს მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებულ რეგიონებს. ამისათვის საჭიროა გარე რესურსები, განსაკუთრებით მაშინ, როცა შიდა/ადგილობრივი დანაზოგები ძალიან მცირეა, როგორც ეს საქართველოს შემთხვევაშია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გულისხმობს არა მხოლოდ ეკონომიკისათვის ხელმისაწვდომ კაპიტალს, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, უცხოელი ინვესტორების მიერ საქართველოს ეკონომიკისათვის გამოცხადებულ ნდობას.

დიაგრამა 3: სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა (რეგისტრირებული სიღარიბე)⁷



დღესდღეობით საქართველოში სიღარიბის დასაძლევად მიმდინარე განვითარების პროგრამების ხელშეწყობით, სიღარიბის დონემ ურბანულ დასახლებებში გარკვეულწილად დაიწია, ხოლო სოფლად ეს პრობლემა კვლავ აქტუალურია.

სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემების მიხედვით ბოლო წლების განმავლობაში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რაოდენობა 430,000-ს აღემატება (დიაგრამა 3). საქართველოს ხელისუფლება ახლო მომავლში მიზნად ისახავს, სამუშაო ადგილების შექმნით მოსახლეობის შემოსავლების გაზრდას, რაც სიღარიბის დაძლევას შეუწყობს ხელს. თუმცა, შეზღუდული რესურსების პირობებში, ხელისუფლებამ არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის სექტორის გაძლიერებაზე უნდა იზრუნოს, არამედ მასში არსებული ქვე-სექტორებისა და ასევე, დღის წესრიგში სხვა მიმართულებების განვითარებაც უნდა დააყენოს.

⁷ სოციალური მომსახურების სააგენტო http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=610

სოფლების ურბანულ დასახლებებთან დამაკავშირებელი გზები გეოგრაფიული მდებარეობის გამო ხშირად გაუმართავია, რაც იქ მაცხოვრებლებს, ბაზრებზე პროდუქტის გასაღების პრობლემას უქმნის. საქსტატის 2011 წლის შინამეურნეობების კვლევის მონაცემების მიხედვით, სოფლის მეურნეობის პროდუქტის გაყიდვებით მიღებული თვიური შემოსავალი ძალიან დაბალია და თითოეულ კომლზე რეგიონების მიხედვით, 22–190 ლარს შორის მერყეობს. აქედან გამომდინარე, კეთილდღეობის მაჩვენებლის გაზრდისათვის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი, შეიძლება შიდა გზების მოწესრიგება იყოს, რათა სოფლები უკეთ დაუკავშირდნენ ქალაქებს. ამის კარგი მაგალითია სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე გამავალი გზის რეაბილიტაცია. 2 წლის განმავლობაში 209 მლნ დოლარად შეფასებული პროექტი ყველაზე მსხვილი ინვესტიცია იყო, რომელიც საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდში ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციამ (MCC) განახორციელა. შედეგად, 2009–2011 წლებში, აღნიშნულ რეგიონში საშუალო ოჯახის შემოსავალი უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე საქართველოს ნებისმიერ სხვა რეგიონში. 2011 წელს სამცხე-ჯავახეთში ოჯახის საშუალო თვიურმა შემოსავალმა 857 ლარი შეადგინა, რაც ყველა სხვა რეგიონზე მაღალი იყო. მაშინ, როცა ეს რეგიონი 2009 წელს მე-5 ადგილზე იყო (ცხრილი 1).

ცხრილი 1: საშუალო თვიური შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე (ლარი)⁸

	2009	2010	2011	2012	2013
სამცხე-ჯავახეთი	516	713	857	868	873
მცხეთა-მთიანეთი	418	552	631	585	602
შიდა ქართლი	489	592	682	693	798
გურია	446	529	614	590	705
სამეგრელო	545	639	697	741	796


⁸ საქსტატი, შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევა

აჭარა	599	634	742	831	934
იმერეთი	582	625	707	794	863
კახეთი	441	540	531	723	851
ქვემო ქართლი	469	505	559	600	728
თბილისი	702	800	814	939	1071
საქართველო, სულ	569	651	706	788	887

მომდევნო წლებში, მსგავსი მნიშვნელობის ინვესტიციები სამცხე-ჯავახეთში არ განხორციელებულა და შესაბამისად, 2012-2013 წლებში, შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავალი უმნიშვნელოდ გაიზარდა. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტის გაყიდვებით მიღებული შემოსავალი სამცხე-ჯავახეთში ყველაზე მაღალია (163 ლარი ერთ ოჯახზე, 2013 წლის მონაცემებით).

აგრეთვე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ გზების მოწესრიგებისთვის გაწეული ინვესტიციები არსებითად არ შეცვლის დასაქმების ოფიციალურ მაჩვენებელს, რადგანა სოფლის მოსახლეობის 93.5% ისედაც დასაქმებულად ითვლება (იხ. დიაგრამა 4), თუმცა მათი შემოსავალი ხშირ შემთხვევაში საარსებო მინიმუმზე დაბალია. ასე რომ, დღესდღეობით საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებლის გამოთვლასთან დაკავშირებული მიდგომები კამათის საგანია.

დიაგრამა 4: უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის ჭრილში (%), 2003-2013⁹




საქსტატის მიერ წარმოდგენილი, 2011 წლის სოფლის საგზაო ინფრასტრუქტურის აღწერა გვამცნობს რეგიონებში მოსახლეობის პრობლემების შესახებ, რაც მათ მიერ მოწეული აგროპროდუქტის ბაზრებზე გასაყიდად გატანის სირთულეში მდგომარეობს, ცუდი გზებისა და ძვირი მომსახურების გამო. შესაბამისად, ურბანული დასახლებებიდან მოშორებით ყოფნა სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს სოფლის მოსახლეობისთვის. საგზაო ინფრასტრუქტურაში ინვესტიცია შეამცირებს სატრანსპორტო დანახარჯებს და ხელს შეუწყობს ვაჭრობისა და წარმოების განვითარებას.

საქართველოს სოფლის მეურნეობა დაბალი მწარმოებლურობის შედეგად ძალიან ნელა ვითარდებოდა. 2004-2013 წლებში რეალური მშპ საშუალოდ 5.9%-ით

⁹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo

იზრდებოდა, თუმცა სოფლის მეურნეობაში მშპ 0.6%-ით შემცირდა¹⁰. პრაქტიკულად, ამ მაჩვენებლის ზედიზედ გაუმჯობესების პრეცედენტი არ ყოფილა.

დიაგრამა 5: მთლიანი შიდა პროდუქტი მუდმივ 2003 წლის ფასებში (მლნ ლარი)¹¹




სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში თანდათანობით მცირდებოდა და 2013 წელს 9,4% შეადგინა, მაშინ, როდესაც იგივე მაჩვენებელი 2003 წელს დაახლოებით 20% იყო. საქართველოს ეკონომიკაში, ბოლო წლების განმავლობაში სხვა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები არ მომხდარა. განსაკუთრებით კი, 2006 წლის მერე მშპ-ს სტრუქტურა თითქმის არ შეცვლილა. მიუხედავად სამუშაო ძალის სიჭარბისა ამ სექტორში, სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში, ერთ-ერთი ყველაზე დაბალი იყო დიაგრამაზე ნაჩვენებ ეკონომიკის სხვა წამყვან სექტორებთან შედარებით. 2006-2013 წლებში სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 8-13% ინტერვალში მერყეობდა. ეკონომიკის

¹⁰ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის მონაცემები

¹¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მთლიანი შიდა პროდუქტის ცხრილები

მამოძრავებელ ძალად კი დამამუშავებელი მრეწველობა და ვაჭრობა მთლიან შიდა პროდუქტში თანაბარი 17,3% წილით გვევლინება.

დიაგრამა 6: მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურა (პროცენტობით)¹²



საშუალო წლიური მოსავალიც ცვალებადი იყო და 2010 წლის ჩათვლით შემცირების ტენდენცია ჰქონდა. გაუმჯობესება შეინიშნებოდა მომდევნო წლებში, თუმცა 2013 წელს, 1990 წელთან შედარებით დამუშავებული ფართობების მოცულობა 2-ჯერ ნაკლები იყო. თუ 1990 წელს მუშავდებოდა 700 ათასი ჰა მიწა, 2012-2013 წლებში შესაბამისად, 260 და 310 ჰა-ზე მიწა დამუშავდა. ამან მკვეთრი გავლენა მოახდინა საოჯახო მეურნეობებში კვების პროდუქტების წარმოებაზე.

¹² საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მშპ-ს ცხრილები

ცხრილი 2: სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები (საკუთრების ყველა ფორმის მეურნეობებში; ათასი ჰა)¹³


	1990	1995	2000	2005	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
ნათესი ფართობი, სულ, მათ შორის:	702	453	611	540	297	329	290	257	262	260	311
მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურები	270	260	386	355	206	236	217	191	191	187	236
კარტოფილი, ბოსტნეული და ბალჩეული	64	52	83	85	54	41	42	48	45	53	49

მდგომარეობას ისიც ამწვავებს, რომ მოსახლეობის დაახლოებით 46% სოფლად ცხოვრობს¹⁴ და აგრარულ სექტორში დასაქმებული საოჯახო მეურნეობები შეადგენენ მთელი სამუშაო ძალის თითქმის ნახევარს. აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობა საქართველოს ეკონომიკის საკვანძო სფეროა არა მარტო ეკონომიკური, არამედ სოციალური კუთხითაც. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში დაბალია, სოფლად მცხოვრებ ოჯახთა შემოსავლების 45% სწორედ სოფლის მეურნეობაზე მოდის. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2013 წლის მონაცემების მიხედვით, დასაქმებულთა 52%, რაც მთლიანი სამუშაო ძალის 43%-ს შეადგენს, სწორედ სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული.

¹³ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, წლიური პუბლიკაციები (2013)

¹⁴ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლების ცხრილები (2013), http://geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo

დიაგრამა 7: სოფლის მოსახლეობა პროცენტობით მთელს მოსახლეობასთან¹⁵




საქართველოს სოფლის მეურნეობა, დღევანდელთან შედარებით, საბჭოთა კავშირის დროს უკეთეს მდგომარეობაში იყო. მიუხედავად ტექნოლოგიური პროგრესისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა თითქმის მთელს მსოფლიოში, საქართველომ სოფლის მეურნეობის დარგში, რეგრესი განიცადა. 1990 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლამდე, საქართველოში მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა აღემატებოდა 4 მილიონს, დღესდღეობით კი ოდნავ აღემატება 1 მილიონს. საბჭოთა კავშირის დროს, საქართველო იყო: ჩაის, ციტრუსების, ფოთლოვანი ხისა და ღვინის ძირითადი მიმწოდებელი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი საქართველოში ამ პროდუქტის წარმოება 85%-ით შემცირდა.

¹⁵ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლები http://geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაწყებული მიწის რეფორმების შედეგად, გაიზარდა კერძო საკუთრებაში მიწების რაოდენობა, თუმცა დაშლილ და დანაწევრებულ მეურნეობებში პროდუქტიულობა ძალიან შემცირდა. 2005 წელს დაწყებული სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგად დაფიქსირდა 726,021 საოჯახო მეურნეობა, რომელთა საშუალო ფართობი 1.37 ჰა-ს შეადგენდა და 16,000 საოჯახო მეურნეობა, რომელთაც 4 ჰექტარი ან მეტი ფართობი ჰქონდათ და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 40%-ზე მეტს აკონტროლებდნენ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის შინამეურნეობების კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით გავაანალიზეთ დამუშავებული მიწის ფართობების განაწილება (დიაგრამა 8). როგორც დიაგრამაზეა ნაჩვენები, მოსახლეობის სრული უმრავლესობა 2 ჰა-ზე მცირე მიწის ნაკვეთს ამუშავებს. დამუშავებული მიწის ნაკვეთების ზომა მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოს რეგიონებს შორის.

დიაგრამა 8: დამუშავებული მიწის ნაკვეთების განაწილება.¹⁶

¹⁶ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, შინამეურნეობების კვლევა http://geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo



აღნიშნული პრობლემების გამო, ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქტი არ არის მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, რადგან საქართველო ამ მიმართულებით ჩამორჩება სხვა ქვეყნებს პროდუქტიულობაში და დღემდე განიცდის სტრუქტურულ რღვევას, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ დაიწყო. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული მიწის რეფორმისა, ვერ განვითარდა არსებული, თვითმოსხმარებაზე ორიენტირებული შინამეურნეობები და მათ ვერ შეიძინეს კომერციული ხასიათი, რაც მოყვანილი პროდუქტის რეალიზებას გულისხმობს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ, 2013 წელს ჩატარებული შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ანალიზით დავადგინეთ, რომ საქართველოს რეგიონების მიხედვით, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, მთლიანი შემოსავლის 4-19% შორის მერყეობს. სოფლის მეურნეობაში, ყველაზე მაღალი ხარისხის კომერციალიზაცია დაფიქსირდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში – სასოფლო სამეურნეო პროდუქტის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის წილი, აქ 19%-ს შეადგენს. მეორეა ადგილზეა კახეთი 11%-იანი წილით. ეს ნიშნავს, რომ სამცხე-ჯავახეთელი ფერმერები სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვიდან

დაახლოებით 2-ჯერ მეტ შემოსავალს იღებენ, ვიდრე ამას კახეთის სოფლის მეურნეები ახერხებენ. რაც შეეხება სხვა რეგიონებს, ისინი სამცხე-ჯავახეთს საკმაოდ ჩამორჩებიან. მაგალითად, აჭარაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლი მთლიანი შემოსავლის მხოლოდ 4%-ია. მიუხედავად რეგიონებს შორის ასეთი დიდი განსხვავებისა, სოფლის მეურნეობის კომერციალიზაციის ხარისხი მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებული ქვეყნების მაჩვენებელს. საქართველოში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებობენ სოფლად მცხოვრები ოჯახები, რომლებიც არასდროს გასულან ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გასაყიდად. მცირე ფერმერები ძირითადად ორიენტირებულნი არიან შიდა მოხმარებაზე და მოიხმარენ საკუთარი, წარმოებული პროდუქტის უდიდეს ნაწილს.

როგორ შეიძლება სოფლის მეურნეობა გადაერთოს თვითმოხმარებიდან პროდუქციის გაყიდვაზე? ეს არის პიტერ ბაუერის (2000)¹⁷ მთავარი კითხვა ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. ბაუერმა აღნიშნა შემდეგი:

საარსებო მეურნეობის განვითარების ზრდა გულისხმობს სავაჭრო საქმიანობას. ეს ნათელია ძალიან მარტივ დონეზე. არ არსებობს გაყიდვისთვის გამიზნული წარმოება ბაზრისა და მასთან დამაკავშირებელი ხელმისაწვდომი არხის გარეშე. მწარმოებლებს ასევე სჭირდებათ წარმოებისთვის საჭირო შესყიდვების გაკეთება, როგორცაა მარტივი ხელსაწყოები და მოწყობილობები. ისინი არ აწარმოებენ პროდუქციას გაყიდვისათვის, თუ კი ვერ შეძლებენ გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლით საჭირო საქონლისა და მომსახურების შექენას. წარმოებისათვის საჭირო რესურსებისა და სტიმულის მომცემი საქონლის შესყიდვა, ასევე საქონლის წარმოება გაყიდვისათვის, თავის მხრივ, უშუალოდ კრედიტის საკითხს უკავშირდება. კრედიტი აუცილებელია ამ რესურსების შესყიდვისათვის, რომლებიც საჭიროა, სხვადასხვა კულტურების მოსაყვანად, როგორც სეზონური კულტურების, ისე ნელად მზარდი ხეებისთვის. ხშირად,

¹⁷ Bauer, Peter (2000). From Subsistence to Exchange and Other Essays. Princeton University Press, Princeton and Oxford


კრედიტი მოსავლის აღებამდე მწარმოებელთა ფინანსური უზრუნველყოფისთვის ხდება საჭირო. ამგვარი დაფინანსებისათვის ეფექტურ და მოსახერხებელ წყაროსა და არხს ვაჭრები წარმოადგენენ. ასეთ შემთხვევაში, ხდება სასაქონლე კულტურების, ვაჭრობისა და კრედიტის დაკავშირება.

ვაჭრობის მნიშვნელობა შორს სცდება ამ დამაკავშირებელ მილსადენის ფუნქციას. კონტაქტი ვაჭრებთან და ვაჭრობა ხელს უწყობს ახალი იდეების გავრცელებას, ქცევის რეჟიმისა და წარმოების მეთოდების ჩამოყალიბებას. გარესავაჭრო კონტაქტები, ხშირად პირველები გვიჩვენებენ შესაძლო ცვლილებებს უკეთესობისკენ.

ეს მოსაზრებები საქართველოს შემთხვევაში ფრიად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით, თუ დავფიქრდებით რეგიონალურ ვაჭრობასა და ბაზარის ხელმისაწვდომობაზე.

დიაგრამა 9: დასაქმება სოფლის მეურნეობაში და სექტორის პროცენტული წილი მშპ-ში¹⁸

¹⁸ მსოფლიო ბანკის მონაცემები, 2013



საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის არასახარბიელო მდგომარეობა სხვა ქვეყნებთან შედარებით, კარგად ჩანს დიაგრამაზე 9. თითოეული წერტილი აღნიშნავს ერთ აღმოსავლეთ ევროპულ ან პოსტსაბჭოთა ქვეყანას. ჰორიზონტალურ ღერძზე გადაზომილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წილი მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ), ხოლო ვერტიკალური ღერძი გვიჩვენებს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა პროცენტულ წილს მთლიან დასაქმებაში. დიაგრამის მიხედვით, საქართველოს აშკარად გამორჩეული ადგილი უკავია, თუმცა, ეს გამორჩეულობა სახარბიელო არ არის. ძლიერ აგრარულ ქვეყანას უნდა ეკავოს ადგილი ნახაზის ქვემოთ ნაწილში და მარჯვნივ, საქართველო კი მდებარეობს მარცხნივ და ზემოთ: სოფლის მეურნეობაზე მოდის დასაქმებულთა 50 %-ზე მეტი და მისი წილი მშპ-ში 8%-ს ოდნავ აღემატება.

1974 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუციის თანახმად, კვების უსაფრთხოების მინიმალური დონე 80-85%-ს უნდა შეადგენდეს. დღეს, ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით შიდა ბაზრის მხოლოდ 12-15% კმაყოფილდება და ხორცი თვითურუნველყოფის კოეფიციენტი 2012 წელს 36%-ს, ბოსტნეულით – 78%-ს, ხოლო ხორბლით თვითურუნველყოფის კოეფიციენტი კი - მხოლოდ 9%-ს შეადგენდა. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის

საარსებო პირობები სოფლის მეურნეობაზე და მოკიდებული. სოფლად არსებული დაბალი მწარმოებლურობა კი წარმოშობს მასობრივ სიღარიბეს.

2013 წლისთვის საქართველოს სოფლის მეურნეობას ახასიათებდა ისეთი ტენდენციები, რომლებიც არ შეესაბამებოდა ქვეყნის ევროინტეგრაციულ გეზს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კლება წლების განმავლობაში, დაბალი მოსავლიანობა ჰექტრების მიხედვით, გამოუყენებელი სასოფლო-სამეურნეო მიწების დიდი რაოდენობა, ქვეყნის სურსათით თვითუზრუნველყოფის უკიდურესად დაბალი მაჩვენებელი, უყურადღებოდ მიტოვებული მცირემიწიანი ფერმები, სოფლად სიღარიბის გამო ქვეყანაში სიღარიბის მაჩვენებლების გაუარესება, მიწის ბაზრის მოუწესრიგებლობა, და მრავალი ზემოთ გაანალიზებული ფაქტორი ქვეყნის რისკებს ზრდიდა. ამავე დროს, ყველა შეფასებითა და წარსული გამოცდილებითაც, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების კარგი შესაძლებლობები აქვს. სოფლის მეურნეობის მდგომარეობას საქართველოში მრავალი კვლევა მიეძღვნა, რომელთაგან ერთ-ერთ ყველაზე ახალია საიმონ ეფლების მიერ ჩატარებული კვლევა საქართველოს სოფლის მეურნეობის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, შესაძლებლობებსა და საფრთხეებზე (ე.წ. SWOT ანალიზი) და ამის საფუძველზე განხილულია განვითარების პერსპექტივა. ძლიერ მხარეებში დასახელებულია მისაღები მოგების (15%) გადასახადი აგრო ბიზნესებისთვის, ხელსაყრელი კლიმატური პირობები, კარგი სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო დამაკავშირებელი გზების არსებობა, წყლის რესურსების სიუხვე, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები (DCFTA ევროპასთან, GSP ამერიკასა და იაპონიასთან და თავისუფალი ვაჭრობა თურქეთთან). საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების შემაფერხებელ სუსტ მხარეებს შორის უპირველესია ადამიანური რესურსები, თანამედროვე ცოდნისა და უნარ-ჩვევების ნაკლებობა, რაც თავის მხრივ გამოწვეულია მოშლილი პროფესიული განათლების სისტემით. სუსტ მხარეებში ავტორს ასევე დასახელებული აქვს მოუწესრიგებელი მიწის ბაზარი, მუშაობის ეთიკა (სამუშაო კანონმდებლობის მიხედვით დაშვებულია 24 დღიანი შვებულება, ამასთან ერთად წელიწადში გვაქვს 16 დასვენების დღე სხვადასხვა დღესასწაულებზე), სოფლად მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა (გზები, ელექტროენერჯისა და გაზის მიწოდება), საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების

არარსებობა, სამაცივრე და სასაწყოზე მეურნეობების არარსებობა, აგრო დაზღვევის განვითარებელი სისტემა, და ა.შ. ამ პრობლემების ფონზე განვითარების მრავალი შესაძლებლობაა. არსებული დაბალი კუნკურენციის ფონზე, სწორი მენეჯმენტით და ტექნოლოგიების დანერგვით მომგებიანი აგრო ბიზნესის განვითარება მარტივად მიღწევადია. განვითარების შესაძლებლობები მრავალი მიმართულებითაა: სამაცივრე, საშრობი და სასაწყოზე მეურნეობების მოწყობა, ხილის დამუშავება, ზამთარში წარმოების ხელშეწყობა ისეთი პროდუქტების რომლებიც ძლიერ სეზონურია (რძე, ყველი), სასათბურე მეურნეობების მოწყობა, და ა.შ. ავტორის შეფასებით, საქართველოში სწორი მენეჯმენტის და საკმარისი ინვესტიციების პირობებში აგრობიზნესს სხვადასხვა მიმართულებით შესაძლებელია 35-70%-იანი შიდა უკუგების განაკვეთი ჰქონდეს. მომგებიანობის ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აჭარბებს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის შესაძლებლობებს. სოფლის მეურნეობის განვითარების საფრთხეებს შორის დასახელებულია არასწორი პილიტიკა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენასთან დაკავშირებით, რაც აფერხებს უცხოური ინვესტიციების შემოდინებას ამ სექტორში, არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია და კონფლიქტური ზონების არსებობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის მეზობლად.

საქართველოში სოფლის მეურნეობის დაბალი პროდუქტიულობის პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი გზა სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების განხორციელებაა. სოფლის მეურნეობაში კაპიტალის ფორმირება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ნოუ-ჰაუს შემოტანა და განათლების ამაღლება ცნობილი ექსპერტული მოსაზრებებია, რომლებიც სადავო არავისთვისაა. ამასთან ერთად, რიგი ექსპერტები თანხმდებიან, რომ პროდუქტიულობის ამაღლებისთვის აუცილებელია დანაწევრებული ფერმერული მეურნეობების გამსხვილება . ექსპერტების გათვლებით, მთელი ქვეყნის მასშტაბით რომ განხორციელდეს სასოფლო რესურსების კონსოლიდაცია, მთლიანად სოფლის მეურნეობის სექტორს მხოლოდ 45,000 სრული განაკვეთის სამუშაო ადგილის შევსება დასჭირდება, დამსაქმებლების ჩათვლით. დამატებით 270,000 მუშახელი იქნება საჭირო ლოგისტიკის, კონტრაქტული სამუშაოების, საკვების გადასამუშავებელი

საწარმოებისა და მომსახურების მიმართულებით . ამ რაოდენობის სამუშაო ადგილები სოფლის ზრდასრული მოსახლეობის მხოლოდ მესამედზე ნაკლებს თუ დაასაქმებს. შესაბამისად, ცალკე აღებული სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ზრუნვა არაეფექტიანია, როცა პარალელურად სხვა სექტორები არ ვითარდება.

12 მიწის ბაზრის განვითარების ანალიზი

როგორც უკვე ავნიშნეთ, ფრაგმენტირებული საქართველოს სოფლის მეურნეობა დაბალი პროდუქტიულობით გამოირჩევა. სოფლად მაცხოვრებელთა დიდ ნაწილს არ უდირს თავისი მცირე ზომის მიწის დამუშავება, არარენტაბელურია მანქანა დანადგარების შექენაც, რაც პროდუქტიულობას აამაღლებდა. რიგ შემთხვევებში, სოფლად მაცხოვრებელთა მიწა დაუმუშავებელი რჩება, რადგან ურბანულ ადგილებს მიაშურებენ სამსახურის საშოვნელად. მდგომარეობის უკეთ შესაფასებლად მნიშვნელოვანია გავანალიზოთ სოფლის მეურნეობაში ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსის - მიწის ბაზრის განვითარება. მიწის რეფორმა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენაა, რომელიც მიმდინარე პროცესშია და ჯერ არ დასრულებულა.

საქართველოში მიწის რეფორმამ სათავე დაუდო მიწის კერძო საკუთრებისა და მიწის ბაზრის წარმოშობას. მიწის რეფორმა 90-იანი წლებიდან დაიწყო. ჩამოყალიბდა 850,000 ჰა საპრივატიზაციო მიწის ფონდი, რომელიც მოიცავდა საოჯახო ნაკვეთების 200,000 ჰა-ს და დამატებით 650,000 ჰა-ს, რომელიც უნდა დამატებოდა არსებულ საოჯახო ნაკვეთებს. საპრივატიზაციო ფონდი შეადგენდა მთელი სასოფლო-სამეურნეო ფართობის 30%-ზე ნაკლებს და მასში შედიოდა სახნავი და მრავალწლიანი კულტურების ფართობები. საპრივატიზაციო პროგრამით მიწა მოსახლეობას უფასოდ გადაეცემოდა.

გლეხებს შეეძლოთ, საბჭოთა პერიოდიდან დაწყებული მათ გამგებლობაში არსებული 0.25 ჰა მიწის ნაკვეთები მაქსიმუმ 12 ჰა-მდე გაეზარდათ. მათ, ვინც სოფლად ცხოვრობდა, დაემატათ 1 ჰა მიწა, ხოლო ქალაქად მაცხოვრებლებმა, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ სოფელთან, დასამუშავებლად მიიღეს 0.25 ჰა, ქალაქის იმ მოსახლეობას კი, რომელსაც მიწა მხოლოდ საცხოვრებლად

სჭირდებოდა, ერგო მხოლოდ 0.15 ჰა მიწა. მეცხოველეობაში დასაქმებულ გლეხებს 5 ჰა-მდე მიწის ფართი გადაეცათ.

მიწის პრივატიზების პარალელურად საქართველოში ხორციელდებოდა ტრადიციული ძველი ტიპის მსხვილი მეურნეობების დანაწევრება და პარალიზება. არსებული მსხვილი მეურნეობები, რომლებიც მიწის მთლიანი მოცულობის 90%-მდე ფლობდა, დაიშალა. ცხადია, რომ პრივატიზების შედეგად მსხვილი სოციალისტური ტიპის მიწათსარგებლობის სისტემა დაიშალა და ორიენტაცია გაკეთდა მცირე ფერმერული მეურნეობების განვითარებაზე. საკმაოდ მაღალი სიღარიბისა და უმუშევრობის პირობებში მიწების განაწილება ემსახურებოდა მხოლოდ შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და გრძელვადიანი შედეგები არ იყო გათვლილი.

საქართველოს მიწის საერთო ფონდი 7628.4 ათასი ჰექტარია, აქედან, 39.6% სასოფლო-სამეურნეო სავარგულია, 26.5% - სახნავი, 8.7% მრავალწლიან ნარგავებზე მოდის, 4.8% - სათიბებზე და 59.4% კი - საძოვრებზე.

ცხრილი 3: საქართველოს მიწის ფონდი (ათასი ჰა)¹⁹

	საერთო ფართობი	სასოფლო-სამეურნეო სავარგული	სახნავი	მრავალწლიანი ნარგავები	სათიბი	საძოვარი
ფართობი სულ:	7628.4	3025.8	801.8	263.8	143.8	1796.6

¹⁹ ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა საქართველოში 2012. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, გვ. 14.


კერძო საკუთრებაში გადაცემული მიწა	948.9	767.3	438.5	180.5	44.5	84.5
სახელმწიფო საკუთრების მიწა	6679.5	2258.5	363.3	83.3	99.8	1712.1

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის გარკვეულ ნაწილს მოიხმარს ადგილობრივი მოსახლეობა, სახელმწიფო საკუთრების დაახლოებით ერთი მესამედი კი ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე იყო იჯარით გაცემული.

“სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის შესახებ” (2005 წ.) და “ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარების შესახებ” (2007 წ.) კანონების შესაბამისად, დაიწყო მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემის ახალი ეტაპი. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზება ხორციელდებოდა როგორც აუქციონით, ისე პირდაპირი მიყიდვისა და კონკურენტული შერჩევის წესით.

ამ კანონებმა ხელი შეუწყო ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო მიწების საკუთრების უფლებათა აღიარებასა და მათ პრივატიზებას. ამასთან, “მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის” რეფორმირებამ და მიწების პრივატიზაციისა და ყიდვა-გაყიდვის საჯარო რეესტრში რეგისტრირებამ გააადვილა მიწების საკუთრებითი და იპოთეკით დატვირთვის საკითხების მოგვარება. მიუხედავად ამისა, მაინც ვერ მოხდა სოფლის მეურნეობაში პროდუქტიულობის ამაღლება და წლების მანძილზე სოფლად სიღარიბე კვლავ ნომერი პირველ პრობლემად რჩებოდა.

დიაგრამა 10: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების მიხედვით (პროცენტული წილი)²⁰



ამ მდგომარეობის გამოსწორება ნაწილობრივ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვით იყო შესაძლებელი. თუმცა, როგორც დიაგრამა 10 გვიჩვენებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. 2013 წლის მონაცემების მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მხოლოდ 1.3% იყო მიმართული სოფლის მეურნეობაში, მაშინ, როცა დამამუშავებელ მრეწველობის წილი 10% იყო, მშენებლობის - 15%, ხოლო ენერგეტიკული სექტორის - 26%. დიაგრამაზე არ არის აღნიშნული საფინანსო სექტორი, რომელიც მოიცავს საბანკო, მიკროსაფინანსო და სადაზღვევო ორგანიზაციებში განხორციელებულ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემებსაც. ასევე, არ არის ნაჩვენები ვაჭრობა, განათლება, კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება. საფინანსო სექტორს 2013 წლის

²⁰ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo

მონაცემით პირაპირი ინვესტიციების 18% ერგო. დანარჩენმა სექტორებმა, ერთად აღებული, 16.5% შეადგინეს.

ამ გარემოებებმა კიდევ ერთხელ დააყენა საკითხი მიწების რეგულირების და არარეზიდენტი მოქალაქეებისათვის მათი მიყიდვის შესახებ. შესაბამისად, დადგა საკითხი, თუ რა სტიმულია საჭირო საიმისოდ, რომ მოზიდული იქნეს ინვესტიციები და გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება, არის თუ არა მიწების გაყიდვა, მათ შორის უცხო ქვეყნის რეზიდენტებზე ამ პრობლემის გადაწყვეტა. 2010-2012 წლებში, კანონმდებლობაში შეტანილი შესაბამისი ცვლილებების შედეგად, განსაკუთრებით გაიზარდა იმ უცხოელი ინვესტორების რაოდენობა, რომლებმაც შეისყიდეს მიწები საქართველოში.

საქართველოში მიწების გაყიდვა ორ მიზანს ემსახურებოდა: 1. შრომის ნაყოფიერების ზრდას; 2. ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დაცვას. შრომის ნაყოფიერების ზრდისა და მაღალმექანიზებული წარმოების დანერგვის მიზნით უნდა გაზრდილიყო მეურნეობების საშუალო ზომები, ხელი უნდა შეწყობოდა მისი გადიდების ტენდენციას და მიწების კონსოლიდაციას. ეს პროცესი ორიენტირებული უნდა ყოფილიყო ფერმერული მეურნეობის კომერციული განვითარებისაკენ.

მსოფლიო გამოცდილებით არ მოიპოვება მიწების დენაციონალიზაციის, განსახელმწიფოებრიობის ეფექტური მოდელის შერჩევის მზა რეცეპტები. ყველა ქვეყანა ინდივიდუალურად უდგება ამ პრობლემის გადაჭრას, გამომდინარე იმ მიზნებიდან და მისიდან, რომელსაც ისინი აკისრებენ სოფლის მეურნეობის განვითარებას. დასავლეთ ევროპული ქვეყნების კანონმდებლობა, ძირითადად, სიფრთხილით ეკიდება იურიდიული პირებისთვის მიწის მიყიდვის საკითხს. ქვეყნების უმრავლესობაში მიწის ყიდვა შეუძლიათ მხოლოდ ფიზიკურ პირებს, რომლებიც არიან ადგილობრივი მაცხოვრებლები. ამასთან, განსაზღვრულია ქვედა და ზედა მაქსიმალური ზღვრებიც, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნაკვეთების გადაჭარბებული ფრაგმენტიზაცია. მაგალითად, დანიაში მიწის კანონმდებლობით საკუთარი და იჯარით აღებული მიწის ფართობი 150 ჰა-ს არ უნდა აღემატებოდეს. კანონმდებლობა არ უშვებს არც ლატიფუნდიების შექმნას ან მიწებით სპეკულაციას

და არც მათ არარაციონალურ დანაწევრებას. ამგვარი პოლიტიკა მნიშვნელოვნად განაპირობებს დანიის სოფლის მეურნეობის ეფექტურ ფუნქციობას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნის კანონმდებლობა საკმაოდ ლიბერალურადაა მიჩნეული, უცხოელი რეზიდენტისათვის რთულია მიწის ყიდვა. ქვეყნის არარეზიდენტ პირს არ შეუძლია იყიდოს უძრავი ქონება, თუ იგი, სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში, არ იყო დანიის მოქალაქე ან არ არის ევროკავშირის მოქალაქე, რომელიც დასაქმებულია დანიაში ან ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის მოქალაქეა, მაგრამ მიღებული აქვს უფლება, აწარმოოს ბიზნესი. ქვეყანაში არსებობს ე.წ. „ანტიგერმანული წესები“, რომლებიც მიმართულია იქით, რომ ქვეყანაში უძრავი ქონების გაყიდვით არ მოხდეს გერმანელი ხალხით ქვეყნის „გადაღება“²¹.

შვეიცარიაში კი “კანონი მიწის საკუთრების შესახებ” (1994 წ.) აღგენს ერთი მეურნეობის მინიმალურ და მაქსიმალურ საზღვრებს. მინიმალურმა ზომამ უნდა უზრუნველყოს ერთი ადამიანის დასაქმება, მაქსიმალურად კი ითვლება ნაკვეთი, რომელიც უზრუნველყოფს ნორმალური შემოსავლების დონეს 2,5-3 დასაქმებულისთვის. დაბლობ, ვაკე ადგილებში მინიმალური ფართობის ზომაა 5-7,5 ჰა. იჯარით აღებისას მიწის მინიმალური ზომა უნდა უზრუნველყოფდეს 1,5 მომუშავეს დასაქმებას. შვეიცარიაში უძრავი ქონების გაყიდვა უცხოელ რეზიდენტებზე ნებადართულია მხოლოდ რამდენიმე კანტონში. კანტონების მიხედვით დაწესებულია სხვადასხვა კვოტები უცხოელი ინვესტორებისთვის. უცხოელებს შეუძლიათ მხოლოდ ერთი ერთეული მიწის ყიდვა. ამასთან, მიწების შესყიდვა შეუძლიათ მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეებს ან მათ, ვისაც აქვს ქვეყანაში ბიზნესის წარმოების ნებართვა²².

ნორვეგიაში აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთ მიზანია რეგიონების მოსახლეობისგან დაცლის შეფერხება და ტერიტორიების გაუკაცრიელებისაგან დაზღვევა. ორიენტაცია აღებულია მესაკუთრე ფერმერის შენარჩუნებისაკენ. კანონმდებლობა ზღუდავს ნაკვეთების დანაწევრებას, ხოლო იჯარა

²¹ <http://www.globalpropertyguide.com/Europe/Denmark/Buying-Guide>

²² http://www.expatica.com/ch/housing/buying/How-to-rent-and-buy-a-house-in-Switzerland_3570.html

რეგლამენტირებულია. უცხოელებს შეუძლიათ იყიდონ მიწები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონცესიურ შეთანხმებას გააფორმებენ ხელისუფლებასთან²³.

ირლანდიაში, გამომდინარე ისტორიული დაპირისპირებით ინგლისელ “ლენდლორდებსა” და მეიჯარე ირლანდიელებს შორის, მიწის იჯარა ეროვნული სულის დამაკნინებელ მოვლენადაა მიჩნეული. აგრარული პოლიტიკა აქ ორიენტირებულია მესაკუთრე ფერმერზე. იჯარის მიღების უფლებას ესაჭიროება მთავრობის განსაკუთრებული ნებართვა. უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორები თანაბარ პირობებში არიან.

ნიდერლანდებში დაშრობილი მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი ეკუთვნის სახელმწიფოს და გაიცემა ხანგრძლივი იჯარის საფუძველზე. ამავე დროს, იზღუდება მიწის გადაჭარბებული კონცენტრაცია და ცალკეული პირების ხელში დიდი ფართობების მოქცევა. როგორც ირლანდიაში, ასევე, ნიდერლანდებშიც უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორები თანაბარ პირობებში არიან.

საფრანგეთში უცხოელი ინვესტორებისთვის არ არსებობს არავითარი შეზღუდვა. კანონმდებლობა მოითხოვს მიწის ყოველი ყიდვა-გაყიდვისას ან იჯარით გაცემისას განსაკუთრებულ სამთავრობო ნებართვას. მეურნეობა უნდა უზრუნველყოფდეს მინიმუმ ორი ადამიანის დასაქმებას. ამგვარ მინიმალურ ზომად 25 ჰა-ია მიჩნეული.

გერმანიაში, მიწის ფრაგმენტაციის აღკვეთის მიზნით, გასაყიდი ან იჯარით გასაცემი ნაკვეთი არ უნდა იყოს 1 ჰა-ზე ნაკლები; მაქსიმალურ ზომად 400-500 ჰა-ია მიჩნეული.

მიწის ბაზრისადმი უფრო ლიბერალური დამოკიდებულებაა აშშ-ში, ავსტრალიასა და კანადაში, ასევე, დიდ ბრიტანეთში, ბელგიასა და საბერძნეთში, სადაც სახელმწიფო იტოვებს ჩარევის უფლებას განსაკუთრებულ პირობებში, მაგალითად, ეკოლოგიური პრობლემის წარმოქმნისას.

ევროკავშირის ახალ წევრებს (ჩეხეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, უნგრეთი, პოლონეთი და სლოვაკია) მიეცათ 7-დან 12 წლამდე სატრანზიტო პერიოდი, რომლის

²³ <http://www.state.gov/e/eb/rls/othr/ics/2012/191212.htm>

განმავლობაში მათ შეუძლიათ, არ მიყიდონ მიწები უცხოელებს. სლოვაკეთში, ლიტვასა და ლატვიაში უცხოელი იყიდის მიწას, თუ ამ ქვეყნის მოქალაქე მეუღლე ჰყავს, თვითონ ცხოვრობს ამ ქვეყანაში ან ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას არანაკლებ სამი წლის განმავლობაში. იურიდიულ პირებს კი მხოლოდ მაშინ ეზღუდებათ მიწის შეძენის უფლება, თუ მათი საკონტროლო პაკეტი უცხოელის ხელშია. სლოვაკეთში იურიდიულ პირებზე აკრძალვები საერთოდ არ მოქმედებს. აღსანიშნავია, რომ ლიტვაში ლიტველზე დაქორწინებულ უცხოელს მხოლოდ თანასაკუთრების უფლება აქვს²⁴. ესტონეთში შეზღუდვა დამოკიდებულია მიწის სიდიდეზე, 10 ჰა-მდე მიწის ნაკვეთის შეძენა შეუზღუდავია, ხოლო 10 ჰა-ზე მეტის შეძენა დასაშვებია, თუ უცხოელი ესტონელზეა დაქორწინებული ან ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას არანაკლებ 3 წლის განმავლობაში. იურიდიულ პირებზე შეზღუდვა არ არსებობს. მიწის შესყიდვა ზემოაღნიშნული გამონაკლისების შემთხვევაში მაინც დასაშვებია, თუ ადგილობრივი გამგებელი გასცემს შესაბამის ნებართვას. უნგრეთში უცხოელი იყიდის მიწას, თუ უნგრელი მეუღლე ჰყავს ან თუ ცხოვრობს უნგრეთში ან ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას არანაკლებ 3 წლის განმავლობაში. თუმცა, იურიდიულ პირებს, ზოგადად, მიუხედავად რეგისტრაციისა, ეკრძალებათ სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა, გარდა მიწებისა, რომლებიც გამოიყენება ფერმერული შენობებისათვის და არა – დასამუშავებლად. ლატვიაში მიწა მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიყიდება, თუ უცხოელი რეზიდენტი ქვეყანაში ცხოვრობს არანაკლებ 3 წელი და მიწის ნაკვეთში მისი წილი მცირეა²⁵. პოლონეთში ევროკავშირის წევრი ქვეყნების რეზიდენტებს შეუძლიათ შეიძინონ მხოლოდ 1 ჰა-მდე მიწა, ხოლო რუმინეთში კი უცხოელებზე შეიძლება გაიყიდოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მხოლოდ 6%. უნგრეთში შესაძლებელია მხოლოდ 300 ჰა-მდე მიწის იჯარით აღება.

დღეს თანამედროვე მაღალმექანიზებული წარმოების დანერგვასთან ერთად ადგილი აქვს მეურნეობების საშუალო ზომების გადიდების ტენდენციას და

²⁴ <http://transparency.ge/en/node/3221>

²⁵ Sales Market Regulations for Agricultural Land in EU Member States and Candidate Countries. by Pavel Ciaian, d'Artis Kancs, Jo Swinnen, Kristine Van Herck and Liesbet Vranken. No. 14, February 2012, www.ceps.eu/ceps/dld/6621/pdf

მიწების კონსოლიდაციას, ევროკავშირის ქვეყნებში სტიმული ეძლევა მცირე მეურნეობების უფრო მსხვილი მეურნეობებისთვის მიყიდვის პროცესს და იგი ორიენტირებულია ფერმერული მეურნეობების კომერციული განვითარებისაკენ. ევროკავშირში საშუალო ზომის ფერმერული მეურნეობის საშუალო ფართობი 2010 წელს 14.1 ჰა-ს შეადგენდა.

ცხრილი 4: მიწების საშუალო ზომა, 2010²⁶

ქვეყანა	მიწების საშუალო მფლობელობა, ჰა	ქვეყანა	მიწების საშუალო მფლობელობა, ჰა
ევროკავშირი	14.1	ლიტვა	13.7
ბელგია	31.7	ლუქსემბურგი	59.3
ბულგარეთი	9.8	უნგრეთი	8.0
ჩეხეთი	152.4	ნიდერლანდები	26.0
დანია	64.6	ავსტრია	19.5
გერმანია	55.8	პოლონეთი	9.6
ესტონეთი	47.7	პორტუგალია	12.0
ირლანდია	32.3	რუმინეთი	3.4
საბერძნეთი	5.8	სლოვენია	6.4
ესპანეთი	24.0	სლოვაკია	28.1
საფრანგეთი	52.6	ფინეთი	35.9
იტალია	7.9	შვედეთი	43.5
კვიპროსი	3.1	ინგლისი	78.6
ლატვია	21.5	ნორვეგია	21.6

ამგვარად, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა ახორციელებს მიწის ბაზრის მკაცრ კონტროლს და რეგულირებას, რაც ორიენტირებულია მეურნეობის ეფექტიანობაზე, დასაქმებაზე, სოციალურ, დემოგრაფიულ და

²⁶ <http://ec.europa.eu/eurostat/web/main/home>

ეკოლოგიურ მიზნებზე. ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებში მიწების უცხოელი ინვესტორებისათვის მიყიდვა გარკვეულწილად შეზღუდულია, რაც შეიძწლიანი ტრანსფორმაციის პერიოდით არის განპირობებული.

ქართველ კანონმდებელს სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისებასთან დაკავშირებული რეგულაციების შემოღების დღიდან საკმაოდ დიდ თავსატეხს უჩენდა სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელების მიერ შექენის საკითხი. ამას მოწმობს რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც კარგად არის აღწერილი “ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია თბილისი” კვლევაში. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონში განხორციელებული თითქმის ყველა ცვლილებისას ახალ ფორმულირებას იძენდა მიწის საკუთრების მარეგულირებელი ნორმაც.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისებასთან დაკავშირებული ნორმატიული ბაზის ზოგადი ანალიზისას იკვეთება სახელმწიფოს პოზიცია, სადაც ერთი მხრივ, მთავრობას სურს შეზღუდოს ან საერთოდ აკრძალოს უცხოელების მიერ მიწის შექენა და, მეორე მხრივ, ქართული კანონმდებლობა მიუსადაგოს დასავლურ დემოკრატიულ და ლიბერალურ ღირებულებებს.

კანონის 1996 წლის 22 მარტის რედაქცია განსაზღვრავდა, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში გადაცემა მხოლოდ საქართველოს მოქალაქისათვის იყო შესაძლებელი. საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირს და უცხო ქვეყნის მოქალაქეს ასეთი კატეგორიის მიწა მხოლოდ იჯარით შეიძლებოდა გადასცემოდა.

2000 წლიდან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებსაც ეძლევათ. ანუ მაშინ, როდესაც კანონის ერთი დებულება კრძალავს საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირის მიერ მიწის შექენის შესაძლებლობას, მეორე დებულება ირიბად ამის შესაძლებლობას იძლევა, ამისთვის მხოლოდ იურიდიული პირის დარეგისტრირებაა საჭირო.

2003 წლის 20 ივნისს განხორციელებული ცვლილებებით დაკონკრეტდა, რომ იურიდიული პირი, რომელსაც მიწის შეძენა სურს, სხვა მოთხოვნებთან ერთად, აუცილებელია, თავის ძირითად საქმიანობას სოფლის მეურნეობის სფეროში ახორციელებდეს. სიტყვა „ძირითადში“ იგულისხმება, რომ ასეთი ორგანიზაცია თავისი შემოსავლების 50%-ზე მეტს სოფლის მეურნეობის სფეროდან უნდა იღებდეს.

საკმაოდ კომპლექსური ცვლილებები განხორციელდა 2007 წელს, რამაც საბოლოო ჯამში კანონმდებლისთვის უარყოფითი შედეგი გამოიღო და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით იძულებული გახდა, მთელი რიგი დებულებების ფორმულირებები შეეცვალა. საბოლოოდ, კანონის შესაბამის თავში ითქვა: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება აქვთ როგორც საქართველოს მოქალაქეს, კომლს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, ასევე... უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს“²⁷. ამით კანონმდებლებმა გააუქმეს ის მოთხოვნა, რომელიც მიწის შეძენის მსურველ იურიდიულ პირს ძირითადად სოფლის მეურნეობის სფეროში საქმიანობას ავალდებულებდა. რატომღუნდა გაუგებარია, თუ უცხოელის მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ქონა სახელმწიფოსათვის რისკების შემცველი იყო, რატომ არ შეიძლება უცხოელის მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ საკუთრების შეძენის შემთხვევაში იმავე ხასიათისა და ხარისხის რისკებს ეარსება. ჯერ იყო მცდელობა, რომ აეკრძალათ უცხოელისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა იმ პირობებში, როდესაც ამავე უცხოელს შესაძლებლობა ჰქონდა, მის კონტროლქვეშ მყოფი იურიდიული პირის საშუალებით ეყიდა მიწა. თუმცა, ოდნავ მოგვიანებით, 2012 წლის კანონში აღნიშნული დებულება შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება აქვთ როგორც საქართველოს მოქალაქეს, კომლს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ

²⁷ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე www.matsne.gov.ge

იურიდიულ პირს, ასევე უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, ამასთანავე, რომელიც მათ მემკვიდრეობით მიიღეს“²⁸.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ კანონში შემდეგი ცვლილება 2013 განხორციელდა, რამაც საკმაოდ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. გთავაზობთ კანონპროექტის მიღების მიზნის, მიზეზისა და მისი არსის ვერსიას უცვლელად:

„კანონპროექტის მიღების მიზეზი:

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებს მიწას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მცირემიწიანი აგრარული ქვეყნებისათვის. აღნიშნული სფეროს საჯარო სამართლებრივი მოწესრიგება და დარგში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

საქართველო არის მცირემიწიანი სახელმწიფო, ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ მოდის 0.24 ჰა დამუშავების პროცესში მყოფი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, შესაბამისად, სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ქართული სოფლის სპეციფიკის, მისი დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური და ეთნიკურ-დემოგრაფიული პრობლემების გათვალისწინებით. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა არის სასიცოცხლოდ აუცილებელი სივრცე, წარმოების უაღტერნატივო საშუალება, რომელიც არსებითად განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხს.

მოცემულ ეტაპზე საქართველოს მთავრობის მიზანია აღნიშნულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გადახედვა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კადასტრისა და მიწათმოწყობის ერთიანი სისტემის ორგანიზება და დარგის საჯარო სამართლებრივი მოწესრიგება, რომელიც სხვადასხვა უწყებებისა და ექსპერტების ჩართულობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების

²⁸ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1690469>

რეკომენდაციებისა და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე უნდა იქნეს განსაზღვრული და, ამდენად, გარკვეულ ვადებთან არის დაკავშირებული. დღევანდელი მდგომარეობით, არსებობს მიწების არარაციონალურად გასხვისების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს სახელმწიფოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე, გარემოს დაცვასა და ქვეყნის უშიშროებაზე, ასევე, შესაძლოა, მნიშვნელოვნად დააზარალოს სოფლის ადგილობრივი მცხოვრებლები. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული გარკვეული პერიოდით, 2017 წლის 1 იანვრამდე, სახელმწიფოს მიერ შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებამდე, შეჩერებულ იქნას ზემოხსენებული პუნქტის მოქმედება და უცხოელებსა და უცხო ქვეყანაში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს შეუჩერდეთ მიწებზე საკუთრების უფლების მოპოვება. სახელმწიფო ამ შემთხვევაში მოქმედებს ეროვნული და საზოგადოებრივი მიზანშეწონილობის კუთხით.

კანონპროექტის მიზანი:

ქვეყნის უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, ეკონომიკისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების სტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით, კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის იმ ნაწილის მოქმედების შეჩერება, რომელიც ითვალისწინებს უცხოელებისა და უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკუთრების უფლების მინიჭებას. ამ უფლების გარკვეული ვადით შეზღუდვის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოს საჯარო ინტერესი, უზრუნველყოს მიწის რაციონალური გამოყენების საფუძველზე ორგანიზებული მეურნეობა და აგრარული სტრუქტურის გაუმჯობესება, ასევე შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებამდე და საკადასტრო მონაცემების მოწესრიგებამდე, თავიდან იქნეს აცილებული მიწების არარაციონალურად გასხვისება და იაფი მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ მასობრივი შესყიდვა.

კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება, სუვერენიტეტი, კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა. ამ მიზნების

მისაღწევად უცხო ქვეყნის მოქალაქეს დროებით ეზღუდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე საკუთრების მოპოვების უფლება, ვიდრე არ ჩამოყალიბდება სახელმწიფოს მკაფიო სტრატეგია ამ მიმართულებით.

კანონპროექტის მიზანს ასევე წარმოადგენს საქართველოს მთავრობის მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის მიზნით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო რეგულირების განსაზღვრა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებთან დაკავშირებული ურთიერთობების საჯარო სამართლებრივი მოწესრიგება. ასევე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კადასტრისა და მიწათმოწყობის ერთიანი სისტემის ორგანიზება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკადასტრო მონაცემების სრულყოფის მიზნით.

კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია საკუთრების უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი. შესაბამისად, შესაძლებელია როგორც სარგებლობის უფლების, ისე თავისუფალი განკარგვის უფლების შეზღუდვა გარკვეული დროით და პირობებით ისე, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი. კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებით კი უცხოელებსა და უცხო ქვეყანაში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს გარკვეული ვადით ეზღუდებათ საკუთრების უფლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე.

სწორედ საზოგადოებრივი საჭიროების არსებობა იძლევა საკუთრების უფლების შეზღუდვის/შეჩერების კონსტიტუციურ-სამართლებრივ ლეგიტიმაციას. კანონმდებელი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“ შეიძლება მოქმედებდეს, როდესაც მას ამოძრავებს საზოგადოებისთვის ან მისი ნაწილისათვის დადებითი შედეგების მომტანი მიზნები.

მოცემულ შემთხვევაში საზოგადოებრივი საჭიროების მიზნებისთვის სახეზეა რამდენიმე ლეგიტიმური საჯარო ინტერესი, მათ შორის, დარგში არსებული

პოლიტიკის შემუშავება და მიწის მასობრივი გასხვისების პრევენცია და კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილება ემსახურება მათ დაცვას.

ამასთან, მოქმედი კანონმდებლობით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს არ ეზღუდებათ უფლება, ინვესტიცია განახორციელონ სოფლის მეურნეობის სფეროში და იჯარით აიღონ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ვინაიდან იგი სრულად ექცევა საქართველოს იურისდიქციაში, მონაწილეობს სამართლებრივ ურთიერთობებში და სამართლებრივი ვალდებულებები აქვს საქართველოს სახელმწიფოს წინაშე.

კანონპროექტის არსი:

კანონპროექტი ითვალისწინებს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის იმ ნაწილის მოქმედების 2017 წლის 1 იანვრამდე შეჩერებას, რომელიც ითვალისწინებს უცხოელებისა და უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირებისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკუთრების უფლების მინიჭებას.

კანონპროექტით საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის მიზნით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო რეგულირების განსაზღვრა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებთან დაკავშირებული ურთიერთობების საჯარო სამართლებრივი მოწესრიგება, ასევე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კადასტრისა და მიწათმოწყობის ერთიანი სისტემის ორგანიზება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკადასტრო მონაცემების სრულყოფის მიზნით.”

საერთო ჯამში, საპარლამენტო კომიტეტის მიერ მოყვანილი არგუმენტებიდან ნაწილი უარყოფილი იქნა და ნაწილი კი გაითვალისწინეს. საბოლოოდ, მუხლი შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდა და დღემდე ეს ვერსიაა ძალაში:

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (მათ შორის, მემკვიდრეობით მიღებულის) საკუთრების უფლება აქვთ:

ა) საქართველოს მოქალაქეს, კომლს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს მოქალაქის მიერ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს;

ბ) უცხოელს, საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უცხოელის მიერ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს.“

კანონმა დააკონკრეტა, გარდა იმისა, რომ საქართველოში მიწის შეძენის მსურველი იურიდიული პირი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად საქართველოში უნდა იყოს რეგისტრირებული, დამატებით აუცილებელია, რომ ასეთი იურიდიული პირი საქართველოს მოქალაქის მიერ იყოს რეგისტრირებული. მართალია, რომ ეს კანონი უცხოელს, საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს მიწის შეძენის შესაძლებლობას აძლევს, მაგრამ ამავე კანონის გარდამავალი დებულებების თავში წერია რომ ეს უფლება შეჩერდება 2014 წლის 31 დეკემბრამდე, რათა ამ პერიოდში მთავრობამ უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის მიზნით და ა.შ. კანონმდებელმა, საბოლოოდ, 2014 წლის 31 დეკემბრამდე გამოაცხადეს მორატორიუმი²⁹.

აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, გიგლა აგულაშივილის განცხადებით, ზუსტი სტატისტიკური მონაცემები უცხოელებზე მიწების გასხვისების შესახებ არ არსებობს, თუმცა, არაოფიციალური ცნობებით, დაახლოებით, 30 ათას ჰექტარზეა საუბარი. მისივე თქმით, უცხოელების ინტერესი

²⁹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32998>

მიწის შექენისადმი 2012 წლიდან არის გააქტიურებული³⁰. 2014 წლის ივნისში საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ წარდგენილი საკონსტიტუციო სარჩელი საქმეზე „მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“ საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შექენაზე საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 31 დეკემბრამდე გამოცხადებული მორატორიუმი (დროებითი აკრძალვა), რადგან იგი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც საკუთრების და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია, ასევე, დაუშვებელია საკუთრების, მისი შექენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. გამოცხადებული მორატორიუმი უცხოელებს განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმს უწესებდა და მათ დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებდა. აღნიშნული შეზღუდვა პრობლემებს უქმნიდა უცხოელ ინვესტორებსაც, რომელთა ქვეყანაში მოზიდვა მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის. ოფიციალურად, საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინების გამოცხადების მომენტიდან გაუქმებულია ნორმები, რომლებიც კრძალავს უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების შექენას. თუმცა, რეალურად ვერ ხერხდებოდა უცხოელების მიერ მიწის შექენა სხვადასხვა ხელისშემშლელი ფაქტორების გამო.

2015 წლის დასაწყისში შემუშავებულ კანონის პროექტში³¹ განიხილავენ დაშვებას, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფლობის უფლება მიეცეს უცხოელს თუ ის გარკვეულ პირობებს აკმაყოფილებს. კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება აქვთ:

³⁰ <http://civil.ge/geo/article.php?id=27077>

³¹ პარლამენტის უწყებანი, №007, 30.04.96, გვ. 17 (ან <http://www.amcham.ge/res/various/DRAFT-Agri-Ownership-Law-GEO-March-31-with-explanatory-note.pdf>)

ა) სახელმწიფოს, ადგილობრივ თვითმმართველობას, საჯარო სამართლის იურიდიულ

პირს, საქართველოს მოქალაქეს, კომლს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს,

ბ) უცხოელს, თუ ის აკმაყოფილებს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ პირობას:

ბ.ა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მიღებული აქვს მემკვიდრეობის გზით;

ბ.ბ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა არის მისი საქართველოს მოქალაქესთან

ქორწინების ან საქართველოს მოქალაქის ან მოქალაქეების მონაწილეობით არსებული კომლის წევრობის შედეგად მოპოვებული თანასაკუთრების ობიექტი. განქორწინების/კომლიდან გასვლის შემთხვევაში უცხოელი ინარჩუნებს წილს თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე, თუ ის აკმაყოფილებს უცხოელის მიმართ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებისთვის ამ პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირობებს;

ბ.გ) გააჩნია „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვა;

ცვლილებების ასეთი ვრცელი ანალიზი ნათლად გვაჩვენებს პრობლემის არსს. შემუშავებული კანონპროექტმა წესით უნდა მოხსნას დისკრიმინაციული მდგომარეობა და ხელი შეუწყოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას სოფლის მეურნეობაში, თუმცა, პასუხი კითხვაზე, რეალურად შეეძლება თუ არა უცხოელს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა დამატებითი წინააღობების გარეშე, ბუნდოვანია და ამას კანონის აღსრულება და პრაქტიკა გვიჩვენებს. როგორც გავაანალიზეთ, მიუხედავად იმისა, რომ სხვა ქვეყნებშიც

არსებობს გარკვეული შეზღუდვები, რეგულაციები ნაკლებად მკაცრია და ტოვებს გარკვეული გამონაკლისების შესაძლებლობას. საქართველოს შემთხვევაში კი დამაჯერებელი დასაბუთების გარეშე ძალზე ხისტი და ყოველისმომცველი აკრძალვა გაუმართლებელი იყო. საქართველოს მთავრობის მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მიწის კადასტრის ორგანიზება ცალსახად დადებითი ინიციატივაა, რაც მიწათმოქმედების ერთიანი სისტემის ორგანიზებას და საბოლოო ჯამში მიწის ბაზრის განვითარებას შეუწყობს ხელს, თუმცა, ამ პროცესში არ უნდა დაზარალდეს ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები. ინვესტორების მოზიდვა კი მზარდი ეკონომიკის პირობებში მთავრობის უმნიშვნელოვანესი ინტერესი უნდა იყოს.

როგორც გავაანალიზეთ, ერთჯერადი სარგებლის გარდა, სოფლის მეურნეობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლით შეიძლება დამატებითი სარგებლის მიღება. მაგალითად, ასეთმა ინვესტიციამ შეიძლება გამოიწვიოს ახალი ტექნოლოგიებისა და წარმოების მეთოდების დანერგვა, რაც გამოიწვევს მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობის ზრდას სოფლის მეურნეობაში, რამაც თავის მხრივ შესაძლოა გამოიწვიოს ინვესტიციები ინოვაციასა და გადამამუშავებელ წარმოებაში.

ასევე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით არ აქვს მნიშვნელობა ინვესტორი არის უცხოეთის თუ საქართველოს მოქალაქე. ნებაყოფლობითი გაცვლით, ვიდრე ის ხორციელდება სრულიად გამჭვირვალედ, საკუთრებისა და მიწის გამოყენების უფლებების დაცვით, გაცვლაში მონაწილე ყველა მხარემ შეიძლება მიიღოს სარგებელი.

ზემოთ განხილული ეკონომიკური პერსპექტივა სრულიად ეწინააღმდეგება ამ ხედვას, ვინც უცხოურ ინვესტიციას განიხილავს როგორც „შემოსევას“ ქართულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე. ასეთი ხედვა უგულვებელყოფს იმ პოტენციურ სარგებელს, რას უცხოურმა ინვესტიციამ შეიძლება მოიტანოს სოფლის მეურნეობის სექტორში, თუ ის იფუნქციონირებს გამართული პირობებით.

1.3 აგრო დაზღვევა და ფინანსურ რესურსებზე წვდომის ანალიზი

სასოფლო-სამეურნეო კრედიტების ხელმისაწვდომობა სოფლის მეურნეობაში ინვესტირების, და, შესაბამისად, დარგის განვითარების აუცილებელი პირობაა. თუმცა ეფექტური სასოფლო სამეურნეო დაფინანსების სისტემის შექმნა ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, სადაც ფინანსური ბაზარი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, ხოლო სოფლის მეურნეობა შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებლობის, პრიმიტიული ტექნოლოგიების გამოყენებისა და საჭირო ინფორმაციის შეზღუდული მისაწვდომობის გამო დაბალრენტაბელური, მაღალრისკიანი და არასტაბილური სექტორია. სასესხო გარანტიების ნაკლებობა და დაბალრენტაბელურობა ის მიზეზებია, რომელთა გამოც ბანკები სასოფლო-სამეურნეო სექტორს მაღალი რისკის სფეროდ მიიჩნევენ და რომლებიც, შესაბამისად, სოფლის მეურნეობის ფინანსური ბაზრის ჩამოყალიბებას უშლიან ხელს.

ეფექტური სასოფლო-სამეურნეო დაფინანსების სისტემა გადამწყვეტ როლს ასრულებს გეგმური სოფლის მეურნეობის საბაზრო სოფლის მეურნეობად გარდაქმნაში. სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ სოფლის მეურნეობაში სექტორის წარმატებული ტრანსფორმაციისათვის პრივატიზაცია დარგის ამავედროულ რესტრუქტურისა და უკავშირდებოდეს. ამ შემთხვევაში რესტრუქტურისა და სოფლის მეურნეობის სფეროში ახალი მოკლე, საშუალო და ხანგრძლივადიანი ინვესტიციების მოზიდვის საჭიროებას გულისხმობს. შესაბამისად, ახლად შექმნილმა სასოფლო მეურნეობებმა ან მათმა ახალმა მფლობელებმა საკუთარ მეურნეობებში ინვესტიციები ფინანსური ბაზრიდან მოზიდული კაპიტალით უნდა განახორციელონ. ეს კი მყარი სასოფლო-სამეურნეო ფინანსური ბაზრის არსებობის გარეშე ვერ მოხდება. ქმედითი სასოფლო-სამეურნეო ფინანსური ბაზრის არარსებობის შემთხვევაში სოფლის მეურნეობის სექტორის მოდერნიზაცია დიდი ხნით გადაიდება და საბაზრო ეკონომიკასთან მის ადაპტაციას ბევრად მეტი დრო დასჭირდება, ვიდრე ეკონომიკის სხვა დარგებს.

სოფლის მეურნეობის დაცემას მცირე რაოდენობის პირდაპირ უცხოური ინვესტიციებთან ერთად, ასევე, განაპირობებდა მისი დაბალი წილი საბანკო სესხებში, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში 1-დან 2%-მდე მერყეობდა. ადგილობრივი საბანკო სისტემა არ იყო მოწადინებული, გაეცა გრძელვადიანი

კრედიტები. ბანკები კვლავ ფოკუსირებულნი იყვნენ მოკლევადიან სავაჭრო დაფინანსებაზე. ასეთი დაბალი მაჩვენებელი მეტყველებდა ამ სექტორის მაღალ რისკსა და დაბალ მომგებიანობაზე.

აგრარულ სექტორში კრედიტების გაცემას სხვადასხვა ფაქტორი აფერხებდა. ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი იყო სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზარი და, შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო მიწები ძალიან დაბალლიკვიდური იყო; სასოფლო-სამეურნეო მიწების მაღალი ფრაგმენტაციის გამო მცირე მეწარმეობა მაღალრისკიანი ხდებოდა, კომერციული საკრედიტო ორგანიზაციები კი, ჩვეულებრივ, ფოკუსირებას მსხვილ ფერმერებზე ახდენდნენ. განუვითარებელი იყო სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა, როგორცაა: სასაწყობე და სამაცივრე ნაგებობები; გადამამუშავებელი ქარხნები; სარწყავი და სადრენაჟო სისტემები; სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების პარკები და სხვ. ასევე, მნიშვნელოვანი პრობლემა იყო მეცხოველეობაში: არამდგრადი საკვები ბაზა; საძოვრების არასწორი მენეჯმენტი; მიწის დასამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო აღჭურვილობის დეფიციტი; სასუქებისა და თესვების სიძვირე და ა.შ. ამავე დროს, ფერმების ტექნიკა და ტექნოლოგიები საჭიროებდა მოდერნიზაციას. მიწების მცირე ნაკვეთებად დაყოფა ართულებდა მანქანა-მოწყობილობების ეფექტურ გამოყენებას, განსაკუთრებით ხორბლისა და სხვა ერთწლიანი კულტურების წარმოებაში. გაყიდვის სუსტი მეთოდები (ფერმერებს არ ჰყავდათ მუდმივი მიმწოდებლები და კლიენტები) და სასაწყობეო ინფრასტრუქტურის არარსებობა ზრდიდა დანახარჯებს. საინვესტიციო თანხების სიმცირის გამო ფერმერები ყიდულობდნენ დაბალი ღირებულების უხარისხო თესვას და სხვა ნედლეულს, რაც აისახებოდა საბოლოო პროდუქტის ხარისხსა და რაოდენობაზე. არსებული განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, არამდგრადი ლოგისტიკა, ვაჭრობის არასაკმარისი ხელშეწყობა ზრდიდა წარმოების რისკებს და ართულებდა პროდუქტის რეალიზაციას. ეს ფაქტორები კი თავისთავად იწვევდა სასესხო პირობების გაუარესებას. ფერმერების დაბალ მწარმოებლურობას განაპირობებდა მათი ღირებულების მოკლე ჯაჭვი, რაც აფერხებდა ინვესტიციების მიღების შესაძლებლობებს. მცირე ბიუჯეტის მქონე ფერმერები არ იყვნენ ვერტიკალურად ძლიერად ინტეგრირებულნი, ფერმერებსა და კლიენტებს შორის არ იყო მტკიცე კავშირი; მათ არ ჰყავდათ მუდმივი კლიენტები,

შესყიდვებიც შედარებით ძვირი იყო. ამ პრობლემებს ემატებოდა ისიც, რომ სახელმწიფო პოლიტიკა არ იძლეოდა სტიმულს ფერმების გამსხვილებისათვის. საგადასახადო კოდექსის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებული 5 ჰა-ზე ნაკლები მიწა გათავისუფლებულია მიწის გადასახადისგან, რაც აფერხებდა მცირე მიწების გაერთიანებას კოოპერატივში, რადგან ამ შემთხვევაში მიწა დაიბეგრებოდა. ეს პრობლემა ნაწილობრივ მოგვარდა საქართველოში ევროპული სამეზობლოს „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის“ (ENPARD) პროგრამის განხორციელებით, რომლის დეტალებსაც მომდევნო ქვეთავში განვიხილავთ, თუმცა შეიძლება მოკლედ ითქვას, რომ შედეგებზე საუბარი ჯერ ცოტა ნაადრევია.

ზემოაღნიშნული ფაქტორები განაპირობებდა სასოფლო-სამეურნეო სფეროში სესხების გაცემის უკიდურეს შეზღუდვას, ბანკების მიერ მიკროსესხების გაცემისაგან თავის შეკავებას, გრძელვადიანი კრედიტების არარსებობას, მაღალ საპროცენტო განაკვეთებსა და სხვ. მცირე ინვესტიციები და საბანკო კრედიტებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები მნიშვნელოვნად ამცირებდა ტექნოლოგიების გამოყენებისა და წარმოების შესაძლებლობების გაფართოების შანსებს.

2013 წელს საქართველოში რეალური საპროცენტო განაკვეთი მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით 14%-ს შეადგენდა. ამ მაჩვენებლის მიხედვით საქართველოში პოსტკომუნისტურ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით არასახარბიელო მდგომარეობაა. ბოლო მონაცემებით, ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რეალური საპროცენტო განაკვეთი დაფიქსირდა უკრაინაში (15,3%), რაც მეტწილად განპირობებულია რეგიონში 2013 წლის ბოლოს შექმნილი არასტაბილური მდგომარეობით. მანამდე, უკრაინა ერთ-ერთ მოწინავე ადგილს იკავებდა. მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში რეალური საპროცენტო განაკვეთები შესაბამისად 12,4 და 17 პროცენტია. სასოფლო-სამეურნეო სექტორში ეს განაკვეთები ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე სხვა სექტორებში. ამის გამო, ფერმერებს უმეტესწილად საკუთარი ხარჯით უხდებათ საქმიანობა.

ცხრილი 5: რეალური საპროცენტო განაკვეთი ქვეყნების მიხედვით³²

	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
საქართველო	16.0	16.7	19.7	12.7	8.9	7.9	6.7	7.6	20.3	6.7	4.8	13.4	14.3
სომხეთი	21.7	18.3	15.6	11.6	14.3	11.4	12.7	10.4	15.8	10.6	12.9	18.7	12.4
აზერბაიჯანი	16.8	13.8	8.9	6.8	0.8	5.9	-1.5	-6.3	48.1	6.1	-2.9	16.7	17.0
ესტონეთი	1.2	1.9	1.4	1.1	-1.1	-3.4	-4.6	3.0	9.2	7.4	3.0	2.3	0.4
ლატვია	9.3	4.2	1.8	0.4	-3.7	-2.4	-7.8	-2.2	18.0	12.2	-0.1	1.9	4.5
ყირგიზეთი	27.9	22.3	14.6	23.0	18.2	12.6	9.1	-1.9	18.3	19.5	14.5	3.8	14.0
მოლდოვა	14.8	12.5	3.9	12.0	9.1	4.1	2.6	10.8	18.0	4.8	6.7	5.1	8.0
ჩეხეთი	2.4	4.0	5.0	1.9	6.1	5.0	2.4	4.3	3.6	7.6	6.7	3.7	3.0
უკრაინა	20.3	19.2	8.9	2.0	-6.7	0.3	-7.2	-8.6	6.9	1.9	1.4	9.5	15.3
აშშ	4.5	3.1	2.1	1.6	2.9	4.7	5.3	3.1	2.5	2.0	1.3	1.5	1.7

კრედიტებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები და გრძელვადიანი კრედიტების არარსებობა განპირობებული იყო სოფლად უძრავი ქონების (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო მიწის) დაბალი ლიკვიდურობით. ბანკებს არ სურდათ, რომ სესხები გაეცათ მოძრავი ან არამატერიალური ქონების უზრუნველყოფით, რადგან ასეთი სესხების გაცემა დაკავშირებულია ქონებაზე უფლებამოსილების დელეგირების მაღალ დანახარჯებთან და მისი რეალიზაციის გაჭიანურებულ და ძვირადღირებულ პროცედურებთან. მიწის ბაზრების არარსებობა მსესხებლებს ურთულებდა შესაძლებლობას, გამოეყენებინათ მიწა სასოფლო-სამეურნეო სესხის უზრუნველსაყოფად.


³² მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა

რაც შეეხება, მიკრო და სპეციალიზებულ საკრედიტო ორგანიზაციებს, მათ უმეტესწილად სუსტი ორგანიზაციული გარემო აქვთ და ფუნქციონირებენ ინსტიტუციური მხარდაჭერის გარეშე, ამიტომ უძღურნი არიან, სერიოზული ზემოქმედება მოახდინონ სოფლის მეურნეობის სფეროში კრედიტების გაცემის პროცესზე. თავის მხრივ, კომერციული ბანკების მოხელეთა გაუთვითცნობიერებლობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრობლემებში იწვევს უნდობლობას ამ სექტორის მიმართ. ისინი თავს იკავებენ, მხარი დაუჭირონ ფერმერებს და კრედიტები გასცენ ამ დარგში.

ამ გარემოებას ემატება ისიც, რომ ფერმერები ამინდის პირობების, მავნებელ-დაავადებების, ბაზარზე ვითარების ცვლილებისა და მრავალი სხვა საწარმოო რისკის წინაშე დგანან. ეს ფაქტორები რისკის ქვეშ აყენებს მათი შემოსავლების სტაბილურობას. საქართველოში 16 სადაზღვევო კომპანიაა, მაგრამ მათგან მხოლოდ ორი ახორციელებს სოფლის მეურნეობის დაზღვევას. საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე "აგროდაზღვევის" პროდუქტი მხოლოდ ორ კომპანიას "ჯიპიაი კოლდინგს" და "აღდაგი ბისიაის" გამოაქვს. სასოფლო-სამეურნეო დაზღვევა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული, საწარმოო რისკების მესამე პირებისთვის გადაცემის საუკეთესო ფინანსური ინსტრუმენტია, მაგრამ ამჟამად საქართველოში ფერმერები ამ ინსტრუმენტს სასოფლო-სამეურნეო რისკების შესამცირებლად ვერ იყენებენ.

სოფლის მეურნეობაში საინვესტიციო კაპიტალის შემოსვლისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო დაკრედიტებისა და დაზღვევის სისტემის განვითარება. სწორედ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა გრძელვადიანი ეფექტის მქონე სტრუქტურული ხასიათის რეფორმა. ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2014 წელს სოფლის მეურნეობაზე კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მხოლოდ დაახლოებით 3% მოდის მიუხედავად ვალუტისა.

დიაგრამა 11: კომერციული ბანკების მიერ საანგარიშო პერიოდში რეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები საქმიანობის სახეების მიხედვით³³



დავით ჩარკვიანი თავის კვლევაში “სასოფლო-სამეურნეო კრედიტებისა და დაზღვევის კვლევის შედეგები”, მიუთითებს რომ სასოფლო-სამეურნეო კრედიტი ფერმერთა დიდი ნაწილისთვის არ იყო ხელმისაწვდომი. ხელმისაწვდომობაში ფერმერები გულისხმობდნენ კრედიტის აღების შეუძლებლობას მისი არარსებობის ან საკრედიტო ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული ისეთი პირობების გამო, როგორც არ იყო მისაღები, პირველ რიგში, პროცენტის სიდიდითა და სესხის მოკლევადიანობით. გამოკითხული მსხვილი, საშუალო და მცირე ფერმერების დაახლოებით 97%-მა სასოფლო-სამეურნეო სესხის აღების მთავარ დაბრკოლებად კრედიტზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი დაასახელა, ხოლო დაახლოებით 30% მიიჩნევს, რომ ძირითადი პრობლემა სესხის გარანტიით უზრუნველყოფაა. გარდა აგროკრედიტებისა, კვლევა ითვალისწინებდა საქართველოს სოფლის მეურნეობის დაზღვევის პრობლემების შესწავლასაც. ამ კუთხით ფერმერების გამოკითხვისას

³³ საქართველოს ეროვნული ბანკი, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

ძირითადი აქცენტი გაკეთდა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის შესახებ ინფორმირებულობასა და ამ სადაზღვევო პროდუქტის მიმართ მათს დამოკიდებულებაზე. გამოკითხულთაგან 65%-მა განაცხადა, რომ მათ იციან ამ პროდუქტის არსებობა. 35%-მა მიუთითა, რომ არაფერი სმენიათ აგროდაზღვევის შესახებ. ამასთან, რესპოდენტთა 96% ფიქრობს, რომ დაზღვევა აუცილებელია.

2014 წლის 1 სექტემბრიდან, საქართველოში სახელმწიფო აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამა ამოქმედდა, რომელიც 2015 წლის 1 სექტემბრამდე იმუშავებს. ეს არის საპილოტე პროექტი, რომელიც მოიაზრებს გარკვეულ დაფინანსებას აგროდაზღვევის შემთხვევაში. შესაბამისად, აგროდაზღვევა ვრცელდება ყველა პროდუქტზე და სუბსიდირება 70%-დან 90%-მდე ხორციელდება, ზოგ შემთხვევაში კი - 95%-მდეც. თანადაფინანსებას სახელმწიფო ახორციელებს. 2014 წელს პროგრამის ბიუჯეტი 5 მილიონი ლარი იყო. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში აგროდაზღვევა სიახლეა და ამ მიმართულებით, სადაზღვევო კომპანიები მხოლოდ ბოლო ორი წლის განმავლობაში გააქტიურდნენ, ამიტომ, ეს სფერო ჯერჯერობით სულაც არ არის მომგებიანი სადაზღვევო კომპანიებისათვის. ამავე დროს, დაზღვევის მიმართ უნდობლობა გლეხებსა და ფერმერებს შორისაც შეინიშნება.

საქართველოში რეალურად არსებობდა აგროდაზღვევის მოთხოვნა და მისასაღმებელია, რომ აგროდაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების მიმართულებით სახელმწიფო ჩაერთო. თუმცა, ამ ეტაპზე, აუცილებელია ფერმერთა გადამზადება, აგროდაზღვევის საკითხებზე ცნობადობის ამაღლება და ინფორმირება, რათა მაქსიმალური შედეგი იქნეს მიღწეული. საქართველოში სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აგროდაზღვევის სისტემის ამოქმედება. აგროდაზღვევა სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას დაეხმარება სტიქიური მოვლენებით მიყენებული ზარალი საგრძნობლად შეამციროს, რაც სტაბილურს გახდის მათ შემოსავლებს. აგროდაზღვევის ამოქმედება სოფლის მეურნეობის სექტორის მიმართ საფინანსო ინსტიტუტების ინტერესს გაზრდის. ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი გახდება ფინანსური რესურსი, რაც დარგის სტაბილურ განვითარებას შეუწყობს ხელს.

1.4 სოფლის მეურნეობაში მიმდინარე პროექტებისა და პროგრამების მიმოხილვა

საქართველო ერთერთია იმ ქვეყნებს შორის, სადაც საშემოსავლო გადასახადი ძალზე დაბალია. ამის გარდა, საქართველოში სამი თავისუფალი ეკონომიკური ზონაა და საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია საერთაშორისო ინდექსების მიხედვით.

“საერთაშორისო გამჭვირვალობის” მიერ გამოქვეყნებულ კორუფციის აღქმის ინდექსში³⁴ (CPI) საქართველოს 100 შესაძლებელიდან 52 ქულა აქვს მინიჭებული. ამ მონაცემით ის 175 ქვეყნდან 50-ე ადგილზეა. CPI მსოფლიოს მასშტაბით კორუფციის ყველაზე ფართოდ გამოყენებული მაჩვენებელია, რომელიც ქვეყნებს იმის მიხედვით აფასებს, თუ რამდენად კორუმპირებულად არის აღქმული იქ საჯარო სექტორი. ანგარიში ეფუძნება მაღალი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ გამოკითხვებს და კორუფციის შეფასებებს. Heritage Foundation-ის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2015“-ის თანახმად, საქართველოს სარეიტინგო ქულა 0.4 პუნქტით გაუმჯობესდა წინა წელთან შედარებით და 73.0 ქულა შეადგინა³⁵. საქართველო მსოფლიოს 178 ქვეყანას შორის კვლავ 22-ე პოზიციაზეა „უმეტესად თავისუფალი“ სტატუსით. 2014 წელს, საქართველო 22-ე ადგილს იკავებდა 72.6 ქულით. 2015 წლის შეფასებით, საქართველო, ევროპის რეგიონში 43 ქვეყანას შორის 1 ადგილით დაწინაურდა და მე-11 ადგილს იკავებს. საქართველოს რეიტინგი ინდექსის 10-დან 7 კომპონენტშია გაუმჯობესებული, ხოლო 4 კომპონენტში გაუმჯობესდა როგორც სარეიტინგო ქულა, ასევე პოზიციები. საქართველოს რეიტინგი გაუმჯობესებულია შემდეგ 7 კომპონენტში: კორუფციისგან თავისუფლება, ფისკალური თავისუფლება, მთავრობის დანახარჯები, ბიზნესის თავისუფლება, მონეტარული თავისუფლება, ვაჭრობის თავისუფლება და ფინანსური თავისუფლება. საქართველოს ქულები (ისევე როგორც რეიტინგი) გაუმჯობესებულია შემდეგ 4 კომპონენტში: კორუფციისგან

³⁴ <http://transparency.ge/en/node/889>

³⁵ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და

<https://ici.ge/news/ekonomikuri-tavisuflebis-indeqsi-2015-si-saqartvelos-reitingi-10-dan-7-komponentsi-gaumjobesda.html>

თავისუფლება, მთავრობის დანახარჯები, ბიზნესის თავისუფლება და მონეტარული თავისუფლება. Heritage Foundation-ის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ ქულები უცვლელი დარჩა, საქართველოს რეიტინგი 2 კომპონენტში - ვაჭრობის თავისუფლება და ფინანსური თავისუფლება - გაუმჯობესდა. 2015 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში საქართველო ვაჭრობის თავისუფლების კომპონენტში, 178 ქვეყანას შორის პირველ ათეულშია და მე-7 ადგილს იკავებს.

2015 წლისთვის ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგში 189 ქვეყანას შორის საქართველომ 15-ე პოზიცია დაიკავა. Doing Business არის მსოფლიო ბანკის ჯგუფის ნაწილი, რომლის ანგარიშიც ქვეყნდება ყოველწლიურად. მსოფლიო ბანკი ბიზნესის კეთების რეიტინგს ათი სხვადასხვა ინდიკატორით ადგენს და აფასებს იმ რეგულირებებს, რომელიც აძლიერებს ან აფერხებს ბიზნეს-საქმიანობას. მათ შორის არის ბიზნესის კეთების დაწყების სიმარტივე, ინვესტიციების დაცვა, გადასახადების გადახდა, კრედიტის აღება, ქონების რეგისტრაცია, მშენებლობის ნებართვის გაცემა და სხვა.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით 2014-2015 წლებში, საქართველო 69-ე პოზიციაზე იმყოფება, მისი სარეიტინგო ქულა 4,22 შეადგენს (ზომიერი მაჩვენებელი). საქართველომ პოზიცია 3 საფეხურით გაიუმჯობესა. ამ მაჩვენებლით საქართველო გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მეორე საფეხურზე იმყოფება ოცდაათ სხვა ქვეყანასთან ერთად.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, წესით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკლებობას არ უნდა უჩიოდეს ეკონომიკის არცერთი სექტორი. თუმცა, როგორც ვნახეთ სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტიციების რაოდენობა მწირია ზემოთ გაანალიზებული მიზეზების გამო და აუცილებელია მთავრობის მხრიდან დამატებითი ძალისხმევა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაზრდისათვის 2012 წელს არჩულმა ახალმა მთავრობამ დააარსა საქართველოს თანაინვესტირების ფონდი (GCF), რომელიც მთლიანად კერძო დამფინანსებლების მფლობელობაშია. ფონდის მიზანია საუკეთესო სტრატეგიული ინვესტორების მოზიდვა ქვეყანაში და ინვესტორებისთვის მაღალი უკუგების მაჩვენებლის უზრუნველყოფა. როგორც ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, კერძო

ინვესტორების მხრიდან ფონდში ჩაირიცხა 6 მილიარდი დოლარი, რაც დაახლოებით საქართველოს მშპ-ს 38%-ს შეადგენს. მომდევნო 5 წლის განმავლობაში ფონდის კაპიტალის 80% დაიხარჯება საქართველოში ეკონომიკური პროექტების განხორციელებაში, ხოლო 20% საერთაშორისო ინვესტიციებს მოხმარდება. მაშასადამე, ფონდის მიერ საქართველოში ყოველწლიურად საშუალოდ 1.6 მილიარდი ლარის ოდენობის ინვესტიციები განხორციელდება. საქართველოს ხელისუფლებისთვის ეს წამოწყება შიდა ეკონომიკური პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი ინიციატივაა.

საქართველოში ინფრასტრუქტურისა და ბიზნეს პროექტების განსახორციელებლად აუცილებელი მსხვილი დაფინანსების მისაღებად GCF-მა შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს. GCF-ი თავისი არსით უნიკალური ფონდია, რომლის შესაძლებლობებიც მკვეთრად აღემატება მცირე მეწილის შესაძლებლობებს (სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებული საპარტნიორო ფონდისგან განსხვავებით) და შეუძლია საჭიროების შემთხვევაში საინვესტიციო პროგრამის 75% დააფინანსოს. ეს შესაძლებელს გახდის უფრო მეტი საინვესტიციო პროექტების განხორციელებას, რაც შესაბამისად პოზიტიურად აისახება საქართველოს ეკონომიკაზე და დასაქმების მაჩვენებელზე. ჯამში სამომავლო სურათი ასეთია:

- ფონდის საინვესტიციო პერიოდი – ხუთი წელი;
- ფონდის კაპიტალის სულ მცირე 80% ადგილობრივ ინვესტიციებში ჩაიდება;
- 20%-ით დაფინანსდება საზღვარგარეთ საქართველოსთან დაკავშირებული პროექტები.
- საინვესტიციო პროექტები
- საინვესტიციო პროექტის მინიმუმი განისაზღვრება \$5 მილიონით;
- ფონდის თანამონაწილეობა განისაზღვრება 25–75%-იანი წილით;

"ჩვენ სიხარულით ავლნიშნავთ საქართველოს თანაინვესტირების ფონდის დაარსებას და მზად ვართ საქმიანობის დასაწყებად. მომავალი ხუთი წლის

განმავლობაში ჩვენ ვგეგმავთ 6 მილიარდის ინვესტიციების ჩადებას საქართველოს ეკონომიკაში. საქართველოში მაშტაბური პროექტების განსახორციელებლად ჩვენ მოვიძიეთ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური კაპიტალი. ჩვენ გვწამს, რომ ჩ გაამყარებს ინვესტორთა ნდობას ჩვენი ქვეყნის მიმართ და დიდად შეუწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას", განაცხადა ფონდის გენერალურმა დირექტორმა–გიორგი ბაჩიაშვილმა

ფონდი პრიორიტეტს მიანიჭებს შემდეგ მიმართულებებში მომუშავე კომპანიების დაფინანსებას:

- ენერჯეტიკა – დაახლოებით § 3 მილიარდი
- ტურიზმი – დაახლოებით § 1 მილიარდი
- სოფლის მეურნეობა – დაახლოებით § 0.5 მილიარდი
- წარმოება – დაახლოებით § 1.5 მილიარდი
- სხვა სექტორები – დაახლოებით § 0.5 მილიარდი
- ფონდის როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში
- მსხვილი საერთაშორისო მეწარმეების მოზიდვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაზრდის ხარჯზე ეკონომიკის სტიმულირება.
- ჯანსაღი ბიზნეს–გარემოს ჩამოყალიბება და ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის ხელშეწყობა, საფინანსო ტრანზაქციების გაზრდა.
- მმართველი პოზიციებზე დასაქმებულთა პროფესიული უნარ–ჩვევების ამაღლება, ახალი კომპანიების მიერ სამუშაო ადგილების შექმნა.
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებასთან ერთად ახალი ტექნოლოგიებისა და "ნოუ–ჰაუს" დანერგვის ხარჯზე წარმოების გაზრდა.
- ეფექტური და კონკურენტუნარიანი ბიზნესი გააუმჯობესებს ექსპორტის პოტენციალს და შეამცირებს იმპორტზე მოთხოვნას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ნედლეულზე მოთხოვნის გაზრდას.

2013 წლის დასაწყისში, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით, დაფუძნდა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი³⁶, რომელიც ახორციელებს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის მნიშვნელოვან ორ პროექტს, ესენია „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“ და „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“. საწყის ეტაპზე ფონდში თანხების შეტანა მოხდა შემომწირველი ორი კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ: სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი და საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“. ფონდში თანხების აკუმულირება ხდება განსახორციელებელი პროექტების საჭიროებიდან გამომდინარე და ფონდის მთავარი მიზანია, სხვადასხვა პროექტის განხორციელებით სოფლის მეურნეობის განვითარება. 2013 წლის მდგომარეობით, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის 80% არ იყო რეგისტრირებული. ამიტომ, საგაზაფხულო პროგრამის ფარგლებში, ნოემბერ-დეკემბერში მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა მიწათმესაკუთრეთა აღწერა კარდაკარის პრინციპით. შეიქმნა საინფორმაციო ბაზა და მოხდა ადგილებზე მონაცემთა მეორადი გადამოწმება და ინფორმაციის შედარება საჯარო რეესტრთან . მცირემიწიანი ფერმერებისთვის, შემუშავდა სხვადასხვა ტიპის დახმარების პაკეტი. საერთო ჯამში მთავრობა და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი დაეხმარა 640,000-ზე მეტ მიწის მესაკუთრეს, ვისაც საკუთრებაში აქვს 0-დან 5 ჰექტრის ჩათვლით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. მცირემიწიანი ფერმერებმა სასოფლო-სამეურნეო ბარათის ფორმით მიიღეს მათ სარგებლობაში არსებული მიწის ფართობის კატეგორიის შესაბამისი სარგებელი. სულ მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტის განხორციელების ღირებულება დაახლოებით 180 მლნ ლარით განისაზღვრა. სასოფლო-სამეურნეო ბარათი სხვადასხვა სახის იყო, კერძოდ: 0.25 ჰექტარზე მცირე ზომის მიწის მესაკუთრეებმა, რომელთა კუთვნილ ნაკვეთებშიც ტექნიკის შესვლა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, მიიღეს 100 ლარის ღირებულების ნომინალური სასოფლო-სამეურნეო ბარათი, რომლითაც შეეძლოთ შესაბამისი ღირებულების

³⁶ http://www.government.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=252&info_id=35540

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პროდუქტის და ინვენტარის შექმნა; 0.25 ჰა-დან 1.25 ჰა-ს ჩათვლით მიწათმესაკუთრებმა (ეს არის ბენეფიციართა ძირითადი ჯგუფი), რომელთაც გააჩნიათ სახნავი ფართობი, მიღეს კომბინირებულ სასოფლო-სამეურნეო ბარათი 510 ლარის ღირებულებით 1 ჰექტარზე გადაანგარიშებით. 1 ჰა-ზე გასაცემი კომბინირებული სასოფლო-სამეურნეო ბარათი შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: ნიადაგის ხვნა ხნულის დადისკვა/გაფხვიერება; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პროდუქტი და ინვენტარი - 300 ლარის ღირებულებით. იმ ფერმერებმა, რომელთაც აქვთ ანალოგიური ზომის მრავალწლიანი ნარგაობა, მიღეს სასოფლო-სამეურნეო ბარათი 510 ლარის ღირებულებით 1 ჰექტარზე გადაანგარიშებით, რომლითაც შეეძლოთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პროდუქტის და ინვენტარის შექმნა მომწოდებლებისგან; 1.25 ჰა-დან 5 ჰა-მდე სახნავი ფართობის, ან მხოლოდ მრავალწლიანი ნარგაობის მქონე ფერმერებმა მიიღეს 640 ლარის ღირებულების ნომინალურ სასოფლო-სამეურნეო ბარათი, რომლითაც შეეძლოთ მხოლოდ შესაბამისი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პროდუქტის და ინვენტარის შექმნა მომწოდებლებისგან.

„შელავათიანი აგროკრედიტის პროექტი“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამუშავების და შენახვა-რეალიზაციის გაუმჯობესების. აღნიშნული პროექტი მეწარმეებს იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფს. პროექტი 2013 წლის 27 მარტს დაიწყო და შემდეგ კომპონენტებს მოიცავს:

1. *უპროცენტო სასაქონლო კრედიტი* (განვადება) მცირე ფერმერებისთვის - 0%; უპროცენტო განვადება მოქმედებს 6-თვიან პერიოდზე, მაქსიმალური თანხა შეადგენს 5000 ლარს.

დღეს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის უმეტეს ნაწილს აწარმოებენ ფერმერული/გლეხური მეურნეობები. ამგვარი მეურნეობების ტექნიკური აღჭურვა მწირია, ისინი ეფუძნებიან ძირითადად ხელის იარაღებს და, იშვიათად, დაქირავებული ტექნიკის გამოყენებას; მათ არ აქვთ კრედიტის აღების შესაძლებლობა; სწორედ ამიტომ, მცირე ფერმერებისთვის მსგავსი პრობლემების გადაჭრის კარგ ინსტრუმენტს წარმოადგენს უპროცენტო სასაქონლო კრედიტი.

სააგენტოს მიერ საფინანსო ინსტიტუტებთან და საწარმოო საშუალებების (სათესლე და სარგავი მასალა, პესტიციდები, ვეტპრეპარატები და ა.შ.) მომწოდებლებთან მოლაპარაკების საფუძველზე, ორგანიზაციებსა და მაღაზიებს შორის ფორმდება ხელშეკრულებები, რომლის თანახმადაც, მაღაზია უწერს ფერმერს შესასყიდი პროდუქტის საფასურის ანგარიშს (ინვოისს), რომელსაც ანაზღაურებს საფინანსო ინსტიტუტი.

საფინანსო ინსტიტუტსა და მაღაზიას შორის მოლაპარაკების შედეგად, ფერმერს/მეწარმეს საშუალება ეძლევა, პროდუქტის წარმოების სრული ციკლის განმავლობაში, გამოიტანოს მაღაზიიდან მისთვის საჭირო საწარმოო საშუალებები (სათესლე და სარგავი მასალა, პესტიციდები, ვეტპრეპარატები, (კომპონენტის ფარგლებში სასუქის შექენა გათვალისწინებული არ იყო)).

სეზონის დასრულების შემდეგ, ფერმერი/მეწარმე გადაუხდის სასაქონლო კრედიტს საფინანსო ინსტიტუტს, სესხის დამტკიცების მომენტიდან, ფერმერის მიერ მიღებული საქონლის ჯამური ოდენობის შესაბამისად, დამატებითი პროცენტის დარიცხვის გარეშე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უპროცენტო სასაქონლო კრედიტი (განვადება) არ ვრცელდება სასუქებზე.

ფერმერს აღნიშნული სესხის/განვადების დასაფარად 6 თვე ეძლევა. 6 თვეში, თანხის ვერ დაფარვის შემთხვევაში, მას დაემატება თვეში 3%.

2. შეღავათიანი აგრო კრედიტი საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის - არაუმეტეს 8%-ის (საბრუნავი საშუალებების, მარაგებისა და ნაწილობრივ ძირითადი საშუალებების შესყიდვის დაფინანსება), სესხები 5000-დან 100 000 ლარამდე გაიცემა, საბრუნავი საშუალებებისთვის არაუმეტეს 18 თვით, ძირითადი საშუალებებისთვის არაუმეტეს 60 თვით.

საშუალო და მსხვილი ფერმერების შემთხვევაში, საქმე გვაქვს ჩამოყალიბებულ მეწარმესთან (ფერმერთან), რომლის შემოსავლების ძირითადი ნაწილი აგროსაქმიანობაა. პროექტი ითვალისწინებს საფინანსო ინსტიტუტების მიერ დაწესებული სესხის საპროცენტო განაკვეთის გარკვეული ნაწილის დაფინანსებას

სააგენტოს მიერ. მეწარმისთვის, ფერმერისთვის სესხი იქნება არაუმეტეს წლიური 8%-ის. ერთ ბენეფიციარზე გაცემული შეღავათიანი სესხების ჯამური თანხა განისაზღვრება 5 000 ლარიდან 100 000 ლარამდე. იმისთვის, რომ პოტენციურმა ბენეფიციარმა ისარგებლოს შეღავათიანი აგროკრედიტით, იგი უნდა აკმაყოფილებდეს საფინანსო ინსტიტუტის მიერ ასეთი ტიპის სესხების გაცემის წინაპირობებს და წინამდებარე პროექტის მოთხოვნებს. ამ კომპონენტში სესხი გაიცემა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დასაფინანსებლად, შემდეგი მიზნობრიობით: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საბრუნავი საშუალებების დაფინანსება (მათ შორის: ერთწლიანი კულტურების სათესი და სარგავი მასალის, პესტიციდების, სასუქების, არასანაშენე და მოზარდი პირუტყვის, ფრინველის, თევზის და მათი საკვების, ფუტკრის ოჯახის და სკების, ვეტპრეპარატების შექენა, შრომითი რესურსების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების დაქირავება, სხვადასხვა სახის ინვენტარის შექენა); სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საშუალებების დაფინანსება (მათ შორის: სანაშენე და პროდუქტიული პირუტყვის, ფრინველის და თევზის შექენა, სათბურის აშენება, სარწყავი სისტემების მოწყობა); კრედიტის ვადა დამოკიდებულია მის მიზნობრიობაზე და განისაზღვრება შემდეგნაირად: საბრუნავი საშუალებების დაფინანსება მეცენარეობისათვის (მათ შორის: ერთწლიანი კულტურების სათესი და სარგავი მასალის, პესტიციდების, სასუქების, სხვადასხვა სახის ინვენტარის შექენა; შრომითი რესურსების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების დაქირავება) - არაუმეტეს 12 თვის; საბრუნავი საშუალებების დაფინანსება მეცხოველეობისთვის (მათ შორის: არასანაშენე და მოზარდი პირუტყვის, ფრინველის, თევზის და მათი საკვების, ფუტკრის ოჯახის და სკების, ვეტპრეპარატების, სხვადასხვა სახის ინვენტარის შექენა; შრომითი რესურსების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების დაქირავება) - არაუმეტეს 18 თვის; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საშუალებების დაფინანსება (მათ შორის: სანაშენე და პროდუქტიული პირუტყვის, ფრინველის და თევზის შექენა, სათბურის აშენება, სარწყავი სისტემების მოწყობა) - არაუმეტეს 60 თვის.

3. შეღავათიანი აგრო კრედიტი სასოფლო - სამეურნეო საწარმოებისთვის არაუმეტეს 3%-ის (ძირითადი საშუალებების და ტექნოლოგიების დაფინანსება ხანგრძლივი პერიოდით) სესხის მინიმალური თანხა 30 000 აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო მაქსიმალური 600 000 აშშ დოლარს და გაიცემა არაუმეტეს 84 თვით. საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია სესხის მოცულობაზე და არ აღემატება 15%-ს, საიდანაც 12%-ს ფარავს სააგენტო.

სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მიღებული მოსავლის დამატებითი ღირებულების შემქმნელი ინფრასტრუქტურის არსებობა. ამ მიზნით, შეიქმნა შესაბამისი ინსტრუმენტი შეღავათიანი კრედიტის სახით, რომელიც გულისხმობს მოსავლის აღების შემდგომი, ნებისმიერი სახის პროდუქტის გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის (შემნახველი, სასაწყობე, დამფასოებელი, სამაცივრე მეურნეობები და გადამამუშავებელი საწარმოები), ასევე, სხვა ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტების (თანამედროვე ფერმები, სასათბურე მეურნეობები, სარწყავი სისტემები) განვითარების ინიციატივების იაფი და გრძელვადიანი ფულადი რესურსით მხარდაჭერას. 2013 წელს ამ კომპონენტში იგეგმება არანაკლებ 60 საწარმოს დაფინანსება. იმისთვის, რომ პოტენციურმა ბენეფიციარმა ისარგებლოს შეღავათიანი აგროკრედიტით, იგი უნდა აკმაყოფილებდეს საფინანსო ინსტიტუტის, ბანკის მიერ ასეთი ტიპის სესხების გაცემის წინაპირობებს. ამ კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნა და არსებული საწარმოების ტექნოლოგიური გადაიარაღება, მათ შორის: გადამამუშავებელი საწარმოები, ინფრასტრუქტურული საწარმოები, ინტენსიური ტიპის პირველადი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები. ამ კომპონენტით სასესხო თანხა განისაზღვრება 30 000 აშშ დოლარიდან 600 000 აშშ დოლარამდე, ვადა - არაუმეტეს 84 თვე. საფინანსო ინსტიტუტის მიერ დადგენილი საპროცენტო განაკვეთების სესხის გრაფიკის შესაბამისად, მსესხებლის პარალელურად სააგენტო გადაიხდის. შესაბამისად, მეწარმისთვის, მსესხებლისთვის ეს სესხი იქნება არაუმეტეს 3 %-ისა.

4. შეღავათიანი აგროლიზინგი - არაუმეტეს 3%-ის (სოფლის მეურნეობის პროდუქტის დამატებითი ღირებულების შემქმნელი ინფრასტრუქტურის

განვითარება). კომპონენტი ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოებისთვის მხოლოდ მანქანა-დანადგარების დაფინანსებას. მაქსიმალური თანხა შეადგენს 600 000 აშშ დოლარს, ვადა 84 თვეს. საპროცენტო განაკვეთი არ აღემატება 15%-ს, საიდანაც სააგენტო ფარავს 12%-ს.

5. შეღავათიანი აგროკრედიტი ყურძნის გადამამუშავებელი კომპანიებისათვის, რომელიც ითვალისწინებს მეღვინეობა-მევენახეობის სექტორისთვის შეღავათიან სესხს მხოლოდ ყურძნის შესასყიდად. ამ ტიპის სესხების მაქსიმალური ვადა შეადგენს 15 თვეს, სესხის მოცულობა 10 მლნ ლარს, ხოლო საპროცენტო განაკვეთი 15%-ს, საიდანაც 9%-ს ფარავს სააგენტო.

6. შეღავათიანი აგროკრედიტი ციტრუსის ექსპორტიორი და გადამამუშავებელი კომპანიებისათვის. სესხის მაქსიმალური თანხა შეადგენს 10 მლნ ლარს და გაიცემა მაქსიმუმ 4 თვით, საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია კრედიტის მოცულობაზე და არ აღემატება 15 %-ს, აქედან 9 %-ს ფარავს სააგენტო. კომპონენტის მთლიანი ბიუჯეტი 30 000 000 ლარია.

7. შეღავათიანი აგროკრედიტი თანმხვედრი გრანტით დაფინანსებული სოფლის მეურნეობის პროდუქტის გადამამუშავებელი საწარმოებისათვის. აღნიშნული საწარმოები უნდა შეიქმნას ეკონომიკურად ნაკლებად აქტიურ რაიონებში. სესხის მაქსიმალური ვადაა 120 თვე, თანხა 500 000 აშშ დოლარი, ხოლო საპროცენტო განაკვეთი 14%, საიდანაც სააგენტო ფარავს 12%-ს.

ერთი განსახილველი პროექტის ღირებულება არ უნდა შეადგენდეს 200 000 აშშ დოლარზე ნაკლებს და არ უნდა აღემატებოდეს 1 000 000 აშშ დოლარს, საიდანაც დასაშვებია მაქსიმუმ 50%-ის ოდენობის საბანკო სესხით ან სალიზინგო გარიგებით დაფინანსება

8. აწარმოე საქართველოში - სესხი მხოლოდ ახალი საწარმოს შექმნისთვის არანაკლებ 600 000 აშშ დოლარის და არაუმეტეს 2 000 000 აშშ დოლარის ოდენობით. სესხის ძირითად თანხაზე საშეღავათო პერიოდი 18 თვიდან 24 თვემდე.

სესხი გაიცემა მხოლოდ ახალი საწარმოს შექმნისთვის. ერთი სესხის მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 600 000 აშშ დოლარი და არაუმეტეს 2 000 000 აშშ დოლარი.

გაცემული სესხების საშეღავათო პერიოდი ძირითად თანხაზე; ძირითადი საშუალებებისთვის - არანაკლებ 24 თვე; საბრუნავი საშუალებებისთვის - არანაკლებ 18 თვე.

სესხის საპროცენტო განაკვეთები პირველი 24 თვის განმავლობაში იქნება: 600 000 აშშ დოლარიდან 1 000 000 აშშ დოლარის ჩათვლით - არაუმეტეს 12%. 1 000 000 აშშ დოლარიდან 2 000 000 აშშ დოლარის ჩათვლით - არაუმეტეს 11%. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო განახორციელებს საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსებას წლიური 10%-ის ოდენობით, სესხის გაცემიდან მხოლოდ 24 თვის განმავლობაში. სააგენტო მოახდენს პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხების ძირითადი თანხის მთლიანი მოცულობის 30%-ის მეორად უზრუნველყოფას სესხის გაცემიდან პირველი 4 წლის მანძილზე.

გარდა სამთავრობო პროგრამებისა, სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა დონორების მხრიდან. განსაკუთრებით ევროპასთან ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება ევროინტეგრაციული აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხად იქცა 2012 წელს, მას შემდეგ, რაც ამოქმედდა ევროკავშირის დახმარების პროგრამა ENPARD-Georgia. ამას წინ უძღოდა საქართველოს მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის მიღება, რაც ევროკავშირმა დახმარების გაწევის წინაპირობად წამოაყენა. მანამდე, ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულების (DCFTA) ხელმოწერისათვის მზადების პროცესში, მხოლოდ სოფლის მეურნეობის ცალკეული საკითხები განიხილებოდა, დაკავშირებული სურსათის უვნებლობასა და ქვეყნის საზღვრებზე სანიტარულ და ფიტოსანიტარულ კონტროლთან.

ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა შემდეგ მიზნებს ისახავს:

1. სურსათის სტაბილური მოწოდება მისაღებ ფასად;
2. ფერმერებისთვის ღირსეული ცხოვრების სტანდარტის უზრუნველყოფა;

3. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნაყოფიერების გაზრდა ტექნიკური პროგრესის გზით;
4. წარმოების რაციონალური სისტემის განვითარება, რომელიც რესურსებს ეფექტიანად გამოიყენებს.

ეს ფუნდამენტური ამოცანები ესადაგება საქართველოს, თუმცა უნდა დაეუმატოთ ორი სპეციფიკური მიზანი: ა) სურსათით თვითუზრუნველყოფა და ბ) სიღარიბის დაძლევა. სურსათზე მოთხოვნის პროგნოზის თანახმად, თუ უახლოეს ათწლეულებში მისი წარმოება არ გაორმაგდება, მსოფლიო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. კარგი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის მქონე ქვეყნებს შორის სურსათის წარმოებაზე თავისი წილი პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოსაც.

თანამედროვე მსოფლიოში, სადაც მოსახლეობა 2050 წლისთვის 9 მილიარდს მიაღწევს, ხოლო ეკონომიკა სულ უფრო ინტეგრირებული ხდება, უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გლობალური მდგრადობა. ევროკავშირი, როგორც სასოფლო-სამეურნეო და კვების პროდუქტების უმსხვილესი მწარმოებელი, 1 ტრილიონ ევროზე მეტი წლიური მოცულობით და ამავე დროს უდიდესი სასოფლო-სამეურნეო კვლევითი პოტენციალის მფლობელი, თავს მოვალედ მიიჩნევს იზრუნოს სოფლის მეურნეობის მდგრადობაზე გლობალურად. მას შეუძლია წვლილი შეიტანოს მოქმედი ფაქტორების ურთიერთკავშირისა და ზეგავლენის შესწავლასა და მათთან ადაპტაციის გზების გამონახვაში. ამან განაპირობა ევროკავშირის სოფლის მეურნეობის პროგრამების გააქტიურება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც. პროგრამები პრაქტიკული გამოყენების სფეროსთან ერთად ეხება სასოფლო-სამეურნეო კვლევის მხარდაჭერას.

2012 წელს ამუშავდა ევროკავშირის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის (), რომელიც აღიარებს სოფლის მეურნეობის მნიშვნელობას სურსათის უსაფრთხოების, მდგრადი წარმოებისა და სოფლად დასაქმების თვალსაზრისით. ამასთან ერთად, სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება აღიარებულ იქნა უმნიშვნელოვანეს მრავალმხრივ ინიციატივად მთლიანად აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში. პროგრამის ხანგრძლივობა ხუთი წელია (2012 წლის იანვარი - 2016

წლის იანვარი) და იგი მიმართულია: სოფლად მცხოვრები ფერმერებისათვის საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრების ჩამოყალიბებაზე, ხელისუფლებისთვის დახმარების გაწევაზე ისეთი კანონების მიღებაში, რომლებიც ხელს შეუწყობს კოოპერაციას ფერმერებს შორის, და სოფლის განვითარების მიზნით გრანტების გაცემაზე ფერმერებისთვის მასშტაბზე ორიენტირებული ეკონომიკის განვითარებაში დახმარების გასაწევად. პროგრამა მიზნად ისახავს ტექნიკური დახმარების გაღრმავებას სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის, რათა გაძლიერდეს სამინისტროს შესაძლებლობა, გაატაროს საქართველოს სოფლის მეურნეობის სტრატეგიით გათვალისწინებული რეფორმები 2014-2020 წლებში. აღნიშნული სტრატეგია საქართველოს მთავრობამ 2012 წლის მაისში მიიღო. პროგრამა ENPARD საქართველოსთვის 52 მილიონ ევროს ითვალისწინებს. ბიუჯეტი შემდეგნაირად არის დაყოფილი:

- 24 მილიონი ევრო - ბიუჯეტის დახმარება. ბიუჯეტის დახმარება გამოიყოფა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა შეასრულებს იმ პირობებს, რომელთა შესახებ მოილაპარაკეს ევროკომისიამ და საქართველოს მთავრობამ. ეს პირობებია:
 - პოლიტიკის გაუმჯობესება და იმგვარი კანონების მიღება, რომლებიც ხელს შეუწყობს ფერმერებისა და სოფლად მოღვაწე მეწარმეების კონკურენტუნარიანობის გაზრდას;
 - სოფლის მეურნეობის სექტორისთვის განვითარების ხელშეწყობის სისტემის ორგანიზება რაიონული დონის საკონსულტაციო და საინფორმაციო ცენტრებზე დაყრდნობით. აღნიშნული სისტემის მიზანია ფერმერთა ცოდნის გაუმჯობესება სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული საუკეთესო პრაქტიკის, ახალი ტექნოლოგიების და ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრებზე არსებული მოთხოვნის/მიწოდების შესახებ;
 - სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოდერნიზება, რაც გააუმჯობესებს მის საქმიანობას და პოზიტიურ ზემოქმედებას მოახდენს სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ ზრდაზე.

- 15 მილიონი ევრო გრანტების სახით, რომლებიც მიენიჭა ოთხ კონსორციუმს: Oxfam (დიდი ბრიტანეთი), Care (ავსტრია), People in Need და Mercy Corps (შოტლანდია). ეს კონსორციუმები აერთიანებენ 16 ქართულ და საერთაშორისო ორგანიზაციას, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო ასოციაციებს და აკადემიურ დაწესებულებებს. აკადემიურ დაწესებულებებს შორისაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის კვლევითი ინსტიტუტი. პროექტები დახმარებას გაუწევს 160-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნას, რომლებსაც გაეწევათ ტექნიკური დახმარება ახალი შესაძლებლობების განვითარებისათვის. გრანტები ასევე ითვალისწინებს პირდაპირ ინვესტიციებს და მოიცავს საქართველოს 45 რაიონს.

- 3 მილიონი ევრო შემოწირულობის ხელშეკრულებების სახით აჭარის რეგიონში განხორციელდება ერთობლივი პროგრამა გაეროს განვითარების პროგრამის თანადაფინანსებით. გაეროს განვითარების პროგრამა ამ კომპონენტს 300,000 ევროთი დააფინანსებს. აღნიშნული ერთობლივი პროგრამა:

- გაზრდის და გააუმჯობესებს ძირითად მომსახურებებს მცირე ფერმერებისთვის;

- ხელს შეუწყობს ბიზნესზე ორიენტირებული მცირე ფერმერების ჯგუფების, ასოციაციებისა და ფერმერებს შორის მოგებაზე დამყარებული თანამშრომლობითი საქმიანობის სხვა ფორმების შექმნას და განვითარებას;

- ჩატარდება აჭარაში სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემებისა და საჭიროებების ინტენსიური შესწავლა და კვლევები, რაც მიზნად ისახავს აჭარის სოფლის მეურნეობის რეგიონული სამინისტროს ახალი მოდელის შემუშავებას და განხორციელებას. ეს მოდელი ადაპტირებული უნდა იყოს სექტორის ახალი საჭიროებებისადმი და უზრუნველყოს მიმზიდველი გარემო კერძო ინვესტიციებისათვის.

ENPARD პროექტის შედეგები უკვე სახეზეა. მათი დაფინანსებით ნინოწმინდასა და ახალქალაქში გაიხსნა ფერმერთა საკონსულტაციო 2 ცენტრი, რომელიც 2013 წლიდან ფუნქციონირებს და სულ 7 თანამშრომელი ყავს (აქედან 5 ეთნიკურად

სომეხია). საკონსულტაციო ცენტრები სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაშია და რეგიონის ფერმერებს დახმარებას უწევს აგროსფეროსთან დაკავშირებულ საკითხებში. 2014 წელს გაიხსნა ENPARD-ის ადგილობრივი ოფისი, რომელსაც კურირებს პროგრამის პარტნიორი ორგანიზაცია „მერსი ქორი“, სადაც ასევე, ეთნიკურად სომხები არიან დასაქმებული. ENPARD-ის ადგილობრივი ოფისი კოოპერატივის შექმნით დაინტერესებულ მცირე ფერმერებს რეგულარულად უტარებს ტრენინგებს ბიზნესის ორგანიზების საკითხებში. 2014 წელს „მერსი ქორის“ მეორე ნინოწმინდასა და ახალქალაქში ჩატარდა გამოკითხვა/შეფასება აგროწარმოების საკითხებში. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 20 სოფლის 200-მდე ფერმერმა. გამოკითხვის მიზანი იყო რეგიონის სოფლის მეურნეობის სიტუაციის შეფასება და ამ სფეროში არსებული გამოწვევების გამოვლენა. ENPARD-ის მხარდაჭერითა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ძალისხმევით წარმოებული საინფორმაციო კამპანიის შედეგად, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში შეიქმნა 36 მცირე ფერმერული კოოპერატივი. 2014 წელს „მერსი ქორის“ დახმარებით ნინოწმინდისა და ახალქალაქის 8 მცირე ფერმერულ კოოპერატივს ჩაუტარდა ტრენინგები ბიზნესის ადმინისტრირების, გენდერის საკითხებსა და სხვა თემებზე. 2015 წლის თებერვალში 2 კოოპერატივი (32 ფერმერი) გახდა ENPARD-ის პროგრამის პირველი გამარჯვებული და საჩუქრად გადაეცა მატერიალური აქტივები: 1 ტრაქტორი, ტრაქტორის 3 მისაბმელი და 38 ტონა უმაღლესი ხარისხის კარტოფილის თესლი. ENPARD-ის დახმარებით გამოიცა და გავრცელდა სომხურენოვანი გზამკვლევი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ. 2014 წელს ასოციაციამ „ახალქალაქის კარტოფილი“ მოიპოვა გეოგრაფიული მაჩვენებლის ნიშანი. ახალქალაქის კარტოფილის ტექნიკური მახასიათებლების მაჩვენებელი დოკუმენტაცია 2015 წელს ოფიციალური აღიარებისთვის ბრუსელში გაიგზავნა.

2014 წელს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებისადმი მიძღვნილ შეხვედრებში საქართველოს 52 რაიონიდან სულ 17,231 ფერმერმა მიიღო მონაწილეობა. აქედან 30% ქალი ფერმერები იყვნენ. შეიქმნა 399 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელთა წევრების მთლიანი რაოდენობა 3,000-ია. კოოპერატივში გაერთიანებული ფერმერებიდან 28% ქალებზე მოდის. 2014 წელს

კოოპერატივების მიერ ათვისებულ იქნა 20,000 ჰექტარი მიწა. კოოპერატივების მიერ შეიქმნა 16,500 ტონა სოფლის მეურნეობის დოვლათი. აქედან 5,600 ტონა ციტრუსზე მოდის, 3,600 ტონა კარტოფილზე და 2,500 ტონა რძეზე. 2014 წელს ENPARD-ის საგრანტო კონკურსში მონაწილეობა მიიღო 711 სასოფლო კოოპერატივმა და სხვა ფერმერულმა გაერთიანებამ. (მთლიანობაში 6,400 ფერმერმა). ENPARD-ის პარტნიორების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში 214 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა მიიღო მონაწილეობა. ტრენინგების მიზანი იყო ფერმერებისთვის ბიზნეს გეგმის შედგენის, კოოპერატივების ორგანიზების და სხვა საკითხების სწავლება. ENPARD-ის გრანტისთვის 35 სასოფლო სამეურნეო კოოპერატივი შეირჩა. გამარჯვებულებს გადაეცათ ისეთი ფინანსური აქტივები, როგორცაა ტრაქტორები, სატვირთო მანქანები, სათესი ტექნიკა და სხვა აღჭურვილობა.

მცირე ფერმერებს უნარების განვითარების შესაძლებლობა მიეცათ. ENPARD-ის მხარდაჭერით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 52 რაიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი შექმნა. ცენტრები სრული დატვირთვით მუშაობს და მასში დასაქმებულია 300-მდე ექსპერტი სოფლის მეურნეობის დარგში. ENPARD-ის პარტნიორების დახმარებით საქართველოს 8 რაიონში 10 სადემონსტრაციო ნაკვეთი შეიქმნა. ENPARD-ის მიერ დაფინანსებული აჭარის აგრო-სერვის ცენტრის მეშვეობით 20,000 ფერმერი იღებს რეგულარულ საკონსულტაციო მომსახურებას. ENPARD-ის მიერ დაფინანსებული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების მომსახურებით საქართველოს 1000 ფერმერი სარგებლობს. სოფლის მეურნეობის სფეროს საჯარო სამსახურების (სამინისტრო, კოოპერატივების განვითარების სააგენტო, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო) 400 თანამშრომელი გადამზადდა ENPARD-ის პროგრამაში ჩართული პარტნიორების მიერ: FAO, UNDP და სხვები. აქტიური კონსულტაციების ფონზე მოხდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სტრატეგიის გადახედვა. ჩამოყალიბდა და სრული დატვირთვით ფუნქციონირებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკანონმდებლო განყოფილება. ENPARD-ის დახმარებით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარდა სოფლის მეურნეობის აღწერა. ENPARD-ის პროგრამის დახმარებით შეიქმნა და განვითარდა ეროვნული საბაზრო ფასების საინფორმაციო სისტემა. 2014 წელს გამოცხადდა ტენდერი გრანტისთვის სოფლის მეურნეობის

დარგში არსებული უმაღლესი სასწავლებლებისა და სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტების მხარდასაჭერად. გამოქვეყნდა 20 ზე მეტი კვლევა და ანგარიში სოფლის მეურნეობის დარგში. დარეგულირდა და განვითარდა გეოგრაფიული ინდიკატორების საკითხი (GI). ENPARD-ის დახმარებით ოთხმა თვითმართვადმა ღვინის მწარმოებელმა ფერმერულმა ორგანიზაცია მოიპოვა გეოგრაფიული მაჩვენებელი ნიშანი. კიდევ ოთხი 4 სხვა პროდუქტის მწარმოებელი ფერმერული ორგანიზაცია გეოგრაფიული მაჩვენებლის მოპოვების პროცესშია.

2015 წლის იანვარში ევროპის სამეზობლოს პროგრამის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ფარგლებში 35 მცირე ფერმერული კოოპერატივი გრანტით დაჯილდოვდა. ფერმერებს მატერიალური აქტივების სახით გადაეცათ ტრაქტორები, სატვირთო მანქანები, სახნავ-სათესი მოწყობილობები და სხვა აღჭურვილობა. ENPARD-ის საგრანტო კონკურსში მონაწილეობა მიიღო 700-ზე მეტმა მცირე ფერმერულმა ჯგუფმა, რომელთაგან მეორე ტურისთვის შეირჩა 200-ზე მეტი ჯგუფი, რომელმაც გამოავლინა ბიზნესზე ორიენტირებულობა და კოოპერაციის პოტენციალი. შერჩეულმა ფერმერულმა ჯგუფებმა წარმატებით გაიარეს ტრენინგები ბიზნეს-გეგმის შედგენასა და კოოპერატივების ორგანიზებაში. საგრანტო სქემა მიზნად ისახავდა საქართველოს სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებას სხვადასხვა დონეზე. ევროკავშირის ელჩმა, იანოშ ჰერმანმა აღნიშნა: „ ეს არის კონკრეტული ნაბიჯი, რომელიც გადაიდგა მცირე ფერმერების პროდუქტის წარმოების გაზრდისა და მათთვის ბაზრებზე წვდომის გამარტივების მიზნით“.

ENPARD-ი ასევე ახორციელებს საქართველოს მთავრობის პირდაპირ ფინანსურ მხარდაჭერას სოფლის მეურნეობის სფეროში სტრატეგიის განხორციელებისათვის და უზრუნველყოფს ცოდნისა და უახლესი მიდგომების გაზიარებას სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთვის. ევროკავშირის მხარდაჭერის ფარგლებში 2013 წელს საქართველოში მიღებულ იქნა კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ. ამ დროისთვის, ევროპული მაგალითის მიხედვით 350-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია დარეგისტრირებული. ბიზნესზე ორიენტირებული

კოოპერატივები თანამედროვე სოფლის მეურნეობაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ მთელს მსოფლიოში. მცირე ფერმერების უმრავლესობა ევროპაში კოოპერატივებში არიან გაერთიანებულნი; ევროპაში სოფლის მეურნეობის სფეროში ნაწარმის დიდი ნაწილი სწორედ კოოპერატივების მიერაა წარმოებული.

განხილული პროექტები და პროგრამები საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებას და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას უწყობს ხელს. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთლიანი გამოშვების ზრდა სწორედ ამ პროექტებისა და პროგრამების დამსახურებაა მეტწილად. 2013 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთლიანი გამოშვება 3,210 მლნ ლარს შეადგენდა, რაც დაახლოებით 400 მლნ ლარით მეტია წინა წელთან შედარებით. 2015 წლის დაუზუსტებელი მონაცემებით³⁷ სოფლის მეურნეობის მთლიანი გამოშვება აჭარბებს 3,300 მლნ ლარს. ამასთან ერთად, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის მთლიანი გამოშვება 248 მლნ ლარით არის გაზრდილი 2013 წელს წინა წელთან შედარებით. შესაბამისად, აგრობიზნესის მთლიანი გამოშვების წილი ქვეყნის პროდუქციის მთლიან გამოშვებაში 17.7%-მდე გაიზარდა 2013 წლის მონაცემებით. ეს მაჩვენებელი 2011-2012 წლებში 17.1-16.9% შეადგენდა შესაბამისად.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაწყებული მიწის რეფორმების შედეგად გაიზარდა კერძო საკუთრებაში მიწების რაოდენობა, თუმცა, დაშლილ და დანაწევრებულ მეურნეობებში პროდუქტიულობა ძალიან შემცირდა. მრავალ სხვა პრობლემასთან ერთად, ურბანული დასახლებებიდან მოშორებით ყოფნა სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდა სოფლის მოსახლეობისთვის. რიგ შემთხვევებში საგზაო ინფრასტრუქტურაში ინვესტიციამ შეამცირა სატრანსპორტო დანახარჯები და ხელი შეუწყო ვაჭრობისა და წარმოების განვითარებას, როგორც ეს სამცხე ჯავახეთის მაგალითზე დავინახეთ. ზოგადად, სოფლის მეურნეობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მწირი რაოდენობით იღებოდა ბოლო წლების მანძილზე, რაც ამ სექტორის განვითარებას კიდევ უფრო აფარხებდა. მნიშვნელოვანი


³⁷ დაუზუსტებელი შეფასებები გამოქვეყნდება 2015 წლის 16 ნოემბერს.

ცვლილებები მოხდა 2013-2014 წლებში. ამჟამად მრავალი სოფლის მეურნეობის ხელშემწეობი სახელმწიფო და დონორთა პროგრამები, თუმცა, ამ ეტაპზე ნაადრევია სრულ შედეგებზე საუბარი.

იდეა, რომ მეტისმეტად ბევრი ქართველია ჩარჩენილი სოფლის მეურნეობაში, სააკაშვილის მთავრობის რეფორმების მთავარ პრინციპად იქცა. იმ დროს, პოლიტიკოსები ხშირად აედერებდნენ არგუმენტს იმის შესახებ, რომ არცერთ განვითარებულ ქვეყანაში აღემატება სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა საშუალო ძალის 3-4%-ს. ამ მართებული შენიშვნიდან გამოტანილი დასკვნა კი ის გახლდათ, რომ საქართველომ განვითარებისათვის მიწების სწრაფი კონსოლიდაცია და ურბანიზაცია უნდა მოახდინოს. შედეგად მივიღეთ ლაზიკას მსგავსი პროექტები, სოფლის მეურნეობის შემცირებული ბიუჯეტი და აგრარული პოლიტიკის უგულებელყოფა. 2012 წლამდე, სოფლის მაცხოვრებლებზე სუბსიდიების გაცემა სხვა არაფერი იყო, თუ არა წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილება, სოციალური დახმარების თვალსაზრისით და არა სოფლის განვითარებისკენ გადადგმული ნაბიჯი. 2012 წლიდან მოყოლებული მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი და რომლის ფარგლებში ზემოთ აღწერილი მრავალი პროგრამა განხორციელდა.

დიაგრამა 12: სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი (მლნ ლარი)³⁸

³⁸ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო ბიუჯეტი, შესრულების ანგარიშები <http://mof.gov.ge/>



სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2013 წელს 50 მილიონამდე ლარი დაიხარჯა, რომელიც საქართველოს რეგიონებზე გადანაწილდა. იგივე მოცულობის თანხა დაიხარჯა 2012 წელსაც. ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდისათვის აუცილებელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების შეძენა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სერვის ცენტრების (მექანიზაციის სერვის-ცენტრები) დაარსება, ექსტენციის სადგურები/კვლევითი ცენტრების დაფუძნება, რეგიონებში არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და ტექნოლოგიური მოწყობილობების განახლება, არსებული სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია და სათანადო ტექნიკის შეძენა, ქართული აგროსასურსათო პროდუქციის, ღვინისა და სამზარეულოს პოპულარიზაცია, ხილისა და ბოსტნეულის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით წარმოების სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა. (რეგიონების მიხედვით 2013 წელს გაწეული ხარჯები იხილეთ დანართში გ). ასევე, სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ფარგლებში განხორციელებული და მიმდინარე პროექტების გაცნობა-დათვალიერების, ექსტენციის სადგურებში ფერმერთათვის ახალი ტექნოლოგიების შესახებ კვალიფიციური ინფორმაციის მიწოდების მიზნით ბოლო წლებში დაიხარჯა მილიონობით ლარი.

სოფლის მეურნეობა დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორია საქართველოს ეკონომიკაში. ამას, ერთი მხრივ, ტრადიციული ევრაზიული საექსპორტო ბაზრების გახსნა უწყობს ხელს, მეორე მხრივ კი ზემოთ აღწერილი მთავრობისა და დონორების ინიციატივების სიუხვე, რომელიც მხარს უჭერს მიწის რეგისტრაციის პროცესის დასრულებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, იაფ კრედიტსა და სხვა მომსახურებებზე წვდომას.

რატომ შეიძლება, რომ სოფლის მეურნეობა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელ ძალად გადაიქცეს? ამის პირველი მიზეზი ის არის, რომ ქვეყანას ბევრი ალტერნატივა არ გააჩნია. ძნელად, მაგრამ ქვეყანამ ისწავლა, რომ რთულია ახლადჩამოყალიბებული სამრეწველო და მომსახურებების მიმწოდებელი ფირმების შენარჩუნება ღია გლობალურ ეკონომიკაში, განსაკუთრებით კი კვალიფიციური და დისციპლინირებული სამუშაო ძალის ნაკლებობის პირობებში. თუმცა, ასევე არსებობს ბევრი სხვა მიზეზი იმისა, თუ რატომ შეიძლება გახდეს სოფლის მეურნეობა ქართული ეკონომიკის ლოკომოტივი.

პირველი, შეიძლება ბევრს მიაჩნდეს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა უფრო სოციალური უსაფრთხოების ქსელია ასიათასობით არასათანადოდ დასაქმებული ინდივიდისათვის, მაგრამ ეს არის სექტორი, სადაც ჯერ კიდევ შეიძლება დიდი შედეგის მიღწევა მცირე ძალისხმევით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროდუქტულობის ზრდა მოკრძალებული ფინანსური ინვესტიციების, ორგანიზაციული და პროცესუალური საკითხების დახვეწითაც მიიღწევა.

მეორე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ აღმოსავლეთ აზიის ბევრმა ეკონომიკამ მაღალ ეკონომიკურ ზრდას საწყის ეტაპზე სწორედ სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარებით მიაღწია. სასოფლო-სამეურნეო ნაყოფიერების ზრდამ შედეგად მოიტანა ინვესტიციები ურბანულ დასახლებებში მსუბუქი მრეწველობის განვითარებაში და ასე მთელი ძალით ამოქმედდა შრომის „მიმზიდველი“ და „განმზიდველი“³⁹. ექსპორტზე ორიენტირებული ინდუსტრიალიზაცია შეიძლება გამოწვევა იყოს საქართველოსნაირი ქვეყნისათვის, სოფლის მეურნეობის

³⁹ <http://www10.iadb.org/intal/intalcdi/PE/2013/12599.pdf>

ნაყოფიერების ზრდით გამოწვეული ეკონომიკური კეთილდღეობა კი სხვა სექტორების (რომელთა წინასწარმეტყველებაც თითქმის შეუძლებელია) ბუნებრივ განვითარებას უყრის საფუძველს.

მესამე, გლობალური ტენდენციების გათვალისწინებით, მოთხოვნა მზარდია სოფლის მეურნეობის დიფერენცირებულ (როგორც პირველად, ასევე გადამამუშავებულ) პროდუქტებზე. ამის მაგალითებია აშშ-ში ახლადგაჩენილი პატარა ლუდის ქარხნები, აგროტურიზმი და სურსათის მოძრაობა იტალიაში და ა.შ. საქართველოს ამ კუთხით რიგი უპირატესობები აქვს, როგორცაა ნიადაგი და კლიმატური პირობები, უნიკალური კულტურა და ტრადიციები. ამ უპირატესობების გამოყენებით, ქვეყანას აქვს პოტენციალი შექმნას განსაკუთრებული და მაღალი ღირებულების მქონე, გეოგრაფიულად დომინირებული პროდუქტები, ჩაერთოს გადამამუშავებელი მრეწველობის ინოვაციურ პროცესებში და მისდიოს ორგანულ სოფლის მეურნეობას.

მეოთხე, გლეხების ჭარბი პროდუქციის თანდათან კომერციალიზაცია სოფლის მაცხოვრებლებს სიღარიბის დაძლევაშიც დაეხმარებოდა და თანამედროვე კომერციულ საზოგადოებაში ფუნქციონირების უნარებსაც შესძენდა.

არსებობს რამდენიმე მიზეზი იმისა, თუ რატომ შეიძლება გახდეს სოფლის მეურნეობაზე ხანგრძლივი დამოკიდებულება მაღალი ცხოვრების დონის მიღწევის ეფექტური გზა. ერთი მიზეზი ფარდობითი დანახარჯების ცნობილი არგუმენტია. მეორე, ნაკლებად ცნობილი მიზეზია ის, რომ გასაყიდი აგრარული პროდუქციის წარმოება უფრო ახლოს დგას ტრადიციულ მეთოდებთან, ვიდრე ნაძალადევი და სუბსიდირებული ინდუსტრიალიზაცია. ბევრ ასეთ ქვეყანაში სოფლის მეურნეობა მთავარი დასაქმების სფერო იყო საუკუნეების, თუ არა ათასწლეულების განმავლობაში. შესაბამისად, საარსებო წარმოებიდან გაცვლით ეკონომიკაზე გადასვლა გასაყიდად განკუთვნილი წარმოებით უფრო მარტივია, რადგან არ მოითხოვს ახალი მეთოდებისა და ტექნიკის შესწავლას. გასაყიდად განკუთვნილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოყვანის რამდენიმეწლიანი პრაქტიკის შემდეგ ხალხი თანდათან ეჩვევა ფულის ეკონომიკაში არსებულ გზებს, ინსტიტუტებსა და დამოკიდებულებებს. ეს კი, თავის მხრივ, ეფექტური ინდუსტრიალიზაციის

პროცესის საფუძველია. საარსებო ეკონომიკიდან ფულის ეკონომიკაზე გადასვლის ამ პროცესში, რაც ფართოდ გავრცელებულია ღარიბ ქვეყნებში, გასაყიდად წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია და ეფექტური ინდუსტრიალიზაცია ურთიერთშემავსებლები ხდება. სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ურთიერთსაწინააღმდეგო და ხელის შემშლელ დარგებად განხილვა მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როცა ანალიზისას ეკონომიკური განვითარების ისტორიას უგულებელყოფენ.

აგრარული პროდუქტებისა და მასთან დაკავშირებული აგრობიზნეს საქმიანობების დიფერენციაცია სწორედ ის ძალაა, რომელიც მსოფლიოში დღესდღეობით ყველაზე საინტერესო და წარმატებული შემთხვევების საფუძველს წარმოადგენს. გლობალურ მსოფლიოში ჰომოგენური პროდუქციის მასობრივ წარმოებას ნულოვან მოგებად მიყვავართ, კარგად გატკეპნილ გზებს ბევრის შემოთავაზება აღარ შეუძლია. მნიშვნელობა აქვს იმას, რომ რასაც შენ აწარმოებ, მისი კოპირება არ უნდა იყოს მარტივი. საქართველომ და სხვა განვითარებადმა ქვეყნებმა ახალი ტრიუკები უნდა მოსინჯონ საკუთარ ძლიერ მხარეებსა და უნიკალურობაზე დაყრდნობით.

საქართველოსთვის საბედნიეროდ, ქვეყნის ისტორია, კულტურა, ბიომრავალფეროვნება და სასოფლო-სამეურნეო ტრადიციები, მას უფრო უკეთეს პირობებში აყენებს, ვიდრე უბრალოდ მაღალმოსავლიანი „თანამედროვე“ კულტურების იმპორტი და ამ სტანდარტული პროდუქტების მასშტაბური (კაპიტალტევადი) სასოფლო-სამეურნეო წარმოება მოუტანდა. საქართველოს შეუძლია მაღალი დამატებული ღირებულების (უფრო შრომატევად) სეგმენტში საერთაშორისო ბაზარზე ნიშის პოვნა და საკუთარი სისუსტის (სოფლებში ჭარბი სამუშაო ძალის) ძლიერ მხარედ გადაქცევა.

სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად შესაბამისი პოლიტიკური ინსტრუმენტის „გამოჭედვა“ ამბიციური მიზანია და შესაბამისად, მეტი ანალიზია საჭირო ნებისმიერი ახალი ინიციატივის წამოწყებამდე. კერძო სექტორის მიერ გადასახადებიდან ამოღებული შემოსავლებით პოტენციურად არაპროდუქტული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების სუბსიდირება, ცალსახაა, რომ თავიდან უნდა

ავიცილოთ. თუმცა, ნაშრომში მოცემულ ანალიზით ვაჩვენებთ, რომ სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლია ქვეყნის გრძელვადიან ინკლუზიურ ეკონომიკურ განვითარებაში.

2 ინვესტიციების შედეგების შემაფასებელი კვლევების მიმოხილვა

ამ თავში განხილულია არსებული კვლევები, რომლებშიც ასახულია სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტიციების შედეგების შეფასება, ასევე, გაანალიზებულია მათი როლი შემოსავლების უთანასწორობის პრობლემის გადაჭრაში. მასალების მიმოხილვა საინტერესოა ორი თვალსაზრისით; ერთი მხრივ, გეცნობით სხვადასხვა დროს სხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევის შედეგებს და ასევე, თვალნათელი ხდება ის მეთოდოლოგიები, რომლებზე დაყრდნობითაც ამა თუ იმ მაჩვენებელს ითვლიან. თავის ბოლოს განვიხილავთ საქართველოში, სოფლის მეურნეობაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რამდენიმე შემთხვევას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ინვესტიციების მნიშვნელობაზე არაერთი ღირებული ნაშრომი დაწერილა. პროფესორი მ.ნაცვალაძე თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ “სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მყარი შესაძლებლობები და გარანტიები სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით. აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაში, მთავრობის როლი სწორედ სტრატეგიის ჩამოყალიბებაში მდგომარეობს.” იმავე ნაშრომში, სხვადასხვა კულტურების წარმოების ანალიზზე დაყრდნობით, ავტორი მიუთითებს რომ დარგის გადარჩენისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამამუშავებელი თანამედროვე ფაბრიკების მშენებლობა, რისთვისაც საჭირო ინვესტიციები შესაძლოა მთავრობის გრძელვადიანი სესხით დაფინანსდეს. ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითად თხილის წარმოება არის დასახელებული, რომელიც საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანი დარგი გახდა ამ სეგმენტში განხორციელებული ინვესტიციების წყალობით და დღეს თხილის წარმოებას შეუძლია არსებულ მზარდ მოთხოვნაზე რეაგირების მოხდენა.

2.1 არჩევანი სიღარიბის აღმოფხვრასა და სწრაფ ეკონომიკურ ზრდას შორის

როგორც ზემოთ განვიხილეთ, 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდში, საქართველომ დიდი საგარეო ფინანსური დახმარება მიიღო. ამ დახმარების ხარჯზე გარკვეულწილად დაიწყო ეკონომიკის წინსვლა, მაგრამ არსებითად ვერ მოხდა სიღარიბის დაძლევა და დასაქმების პრობლემის გადაჭრა. ამგვარი შედეგების ანალიზისთვის ჩატარებულმა სხვადასხვა კვლევამ ცხადყო, რომ ურბანული განვითარების ნაცვლად სოფლის მეურნეობის განვითარება უნდა ყოფილიყო პრიორიტეტი. მაგალითად, დოროშისა და თარლოუს მიერ ჩატარებულმა კვლევამ (2011)⁴⁰ აჩვენა, რომ ეთიოპიის ურბანულ განვითარებაში ჩადებულმა ინვესტიციებმა ვერ უზრუნველყო ღარიბი მოსახლეობის (როგორც, სოფლად, ისე ქალაქად) კეთილდღეობის მაჩვენებლის სასიკეთოდ შეცვლა, თუმცა მთლიანობაში, გარკვეული წინსვლა დაფიქსირდა. ასეთი შედეგები მეტწილად გამოწვეული იყო რესურსების გაღივებით, სოფლიდან ურბანული დასახლებებში, რამაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი შემცირება გამოიწვია და გაზარდა ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქტზე. მსგავსი შედეგები განსაკუთრებით მწვავეა იმ ქვეყნებისთვის, სადაც მოსახლეობის უმეტესობის შემოსავალი საარსებო მინიმუმის ქვემოთაა. საპირისპირო შემთხვევაში, როცა ინვესტიციები ხორციელდება სოფლის მეურნეობის განვითარებაში, მთლიანად ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი არცთუ ისე სწრაფად იზრდება, თუმცა მოსახლეობის კეთილდღეობა სოფლად და ქალაქებშიც შესამჩნევად უმჯობესდება.

დებოვიცმა, სხვა მკვლევარებთან ერთად (2012)⁴¹ პაკისტანის მაგალითზე, სადაც ეკონომიკის საფუძველი სოფლის მეურნეობაა, ანალოგიური შედეგები მიიღო. სოფლის მეურნეობის გარდა, სხვა სექტორებში კაპიტალის ჩადება, ზოგადად ეკონომიკას ასტიმულირებს, თუმცა ღარიბი ოჯახებისთვის სარგებლიანობის მაჩვენებელი დაბალია. თუ მიზანი სიღარიბის დაძლევა და დასაქმების პრობლემის გადაჭრაა, ინვესტიციები სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამებს უნდა

⁴⁰ Urbanization and Economic Transformation: A CGE Analysis for Ethiopia , Paul Dorosh and James Thurlow, 2011

⁴¹ Debowicz, Dario. "Poverty, Income Distribution and CGE Micro-Simulation Modelling: Does Individual Behaviour Matter?." Available at SSRN 2161403(2012).

მოხმარდეს. კვლევების ავტორები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ წარმოების დაჩქარებული წინსვლა უზრუნველყოფს საშუალო ოჯახის შემოსავლის გაზრდას, განსაკუთრებით კი, ღარიბ მოსახლეობაში. სოფლის მეურნეობის განვითარება ხელს შეუწყობს როგორც სამეურნეო, ისე, არასამეურნეო დარგში დასაქმებულთა შემოსავლებისა და წარმოების მაჩვენებლის გაზრდას. მეტი პროდუქტი შეამცირებს ფასებს და აღმოფხვრის საკვების დეფიციტს. საქართველოს მსგავსად, პაკისტანის მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი ნელ-ნელა მცირდება, როცა ღარიბი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სოფლადაა დასახლებული. ამგვარად, აგროწარმოების ხელშეწყობა ამ ტიპის ქვეყნებში ძალზედ მნიშვნელოვანია.

აზისმა (1997)⁴² ინდონეზიისათვის შექმნა CGE მოდელი, რომელიც ასახავდა განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმების გავლენას მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებსა და შემოსავლების გადანაწილებაზე ქალაქად და სოფლად მცხოვრებ ოჯახებს შორის. სტატიკურ და დინამიკურ სიმულაციებზე დაყრდნობით გამოაშკარავდა, რომ პოლიტიკამ, რომელმაც იქონია პოზიტიური გავლენა ინდონეზიის მაკროეკონომიკურ მდგომარეობაზე, იმავდროულად უმნიშვნელოდ გააუარესა შემოსავლების გადანაწილება.

ბენინმა და სხვა მკვლევარებმა (2008)⁴³ უგანდისთვის შექმნეს CGE მოდელი, რომლის საფუძველზეც გაანალიზდა კავშირი ეკონომიკურ ზრდასა და სიღარიბის დაძლევის შორის მაკრო და მიკრო-ეკონომიკურ დონეებზე. მათი ნაშრომი, ასევე მოიცავს, სოფლის მეურნეობის სექტორში, სახელმწიფოს მიერ დასახული მიზნების მისაღწევად საჭირო რესურსების შეფასებას. მათ ანალიზზე დაყრდნობით, აგროწარმოების მდგრადი განვითარებისთვის საჭიროა უფრო მეტი და ეფექტური

⁴² Azis, Iwan J. "Impacts of economic reform on rural-urban welfare: a general equilibrium framework." *Review of Urban & Regional Development Studies* 9.1 (1997)

⁴³ Benin, Samuel, James Thurlow, Xinshen Diao, Allen Kebba, and Nelson Ofwono. *Agricultural growth and investment options for poverty reduction in Uganda*. Free downloads from IFPRI, 2008.

ინვესტიციების განხორციელება სოფლის მეურნეობაში და, ასევე, სახელმწიფო დანახარჯების ოპტიმიზაცია. დასახული მიზნების მისაღწევად აუცილებელია სახელმწიფო ბიუჯეტის მეხუთედის სოფლის მეურნეობის სექტორში ჩადება, რაც შესაძლებელია შეამცირებს საარსებო მინიმუმის ზღვარზე დაბლა მყოფი მოსახლეობის რიცხვს და გააუმჯობესებს ცხოვრების დონეს ურბანულ და რურალურ დასახლებებში.

2012 წელს „ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია თბილისის“ მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში, შეჯამებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში განვითარების პრობლემები. შესაბამისად, ავტორებმა გააკეთეს დასკვნა, რომ ამ დარგის ჩავარდნა ქმნის სკეპტიციზმის საფუძველს, შეუძლია თუ არა სოფლის მეურნეობას, შეასრულოს სიღარიბის დაძლევის მთავარი როლი და გახდეს შინამეურნეობების შემოსავლების ზრდის წყარო. ამ სკეპტიციზმის შედეგად შეიქმნა მისი განვითარების კიდევ უფრო არასახარბიელო პირობები და მხოლოდ მიზერული ინვესტიციები იდება სოფლის მეურნეობის ფიზიკურ, ინსტიტუციურ და ადამიანურ რესურსებში.

2.2 ინფრასტრუქტურის განვითარება

კლასიკური თეორიის წარმომადგენლები ეკონომიკური განვითარების ზრდას განიხილავდნენ, როგორც პროცესს, რომელიც მოითხოვდა წარმოების ფაქტორების გადანაწილებას დაბალი შრომის მწარმოებლურობით გამორჩეული, ტრადიციული სოფლის მეურნეობის სექტორიდან მაღალტექნოლოგიურ სექტორებში. ძველ პერიოდში (XVIII-XIX სს), სოფლის მეურნეობას ეკისრებოდა პასიური როლი და განიხილებოდა, როგორც მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფისა და დასაქმების დარგი. გარდა ამისა, არსებობდა იმის მოლოდინი, რომ სოფლის მეურნეობის, როგორც განვითარების ტრადიციული დარგის, მნიშვნელობა არსებითად შემცირდებოდა იმის მიხედვით, თუ როგორ წარიმართებოდა ქვეყნის ტრანსფორმაცია საწყისი ტრადიციული ეკონომიკიდან თანამედროვე ეკონომიკაში.

სოფლის მეურნეობის როლი, ძირითადად, დაკავშირებული იყო იმ პროდუქტის წარმოებასთან, რომელიც პირდაპირ დააკმაყოფილებდა ადამიანის საარსებო მოთხოვნილებებს. რამდენადაც სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოება აერთიანებდა ადამიანის ძალისხმევას ბუნებრივი რესურსების გამოყენებისას, მიჩნეული იყო, რომ მისი განვითარება შესაძლებელია სხვა ეკონომიკური საქმიანობისგან დამოუკიდებლად. თუმცა რეალურად, სოფლის მეურნეობის დამოკიდებულება მიწის შეზღუდულ რაოდენობასთან იმას ნიშნავდა, რომ მისი შემდგომი გაფართოება ყოველთვის იქნებოდა შეზღუდული. იგი კლებად მწარმოებლურობის სფეროა (რობერტ მალთუსი), ამიტომ არსებობდა სერიოზული არგუმენტი იმისა, რომ სამუშაო ძალის ზრდასთან ერთად, სოფლის მეურნეობის დარგი იმავე პროპორციით ვერ გაიზრდებოდა. გარდა ამისა, სამუშაო ძალის დასაქმებას შეზღუდავდა ამ დარგში ტექნოლოგიების დანერგვა. რეალურად ნათელი იყო, რომ მოსახლეობის ზრდასთან ერთად, გაიზრდებოდა მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე, რაც, თავის მხრივ, აუცილებელს გახდიდა მოსახლეობის ზრდის პარალელურად, სოფლის მეურნეობის ზრდას. ეს გარემოებები საფუძვლად დაედო სოფლის მეურნეობის წინააღმდეგობრივი განვითარების აღიარებას. ნათელი იყო, რომ იგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დარგია. მე-19 საუკუნის დასაწყისში კლასიკური თეორეტიკოსები ამტკიცებდნენ,

რომ შრომის ნაყოფიერება სოფლის მეურნეობაში მრეწველობასთან შედარებით დაბალია. სოფლის მეურნეობის ჩამორჩენას განსაზღვრავდა ერნს ენგელის კანონი⁴⁴, რომლის თანახმად, შემოსავლების ზრდასთან ერთად, მცირდება დანახარჯები კვებაზე. ეს კი, ფაქტობრივად, იმის აღიარებას ნიშნავდა, რომ სასოფლო-სამეურნეო ჭარბწარმოებას ადგილი ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მისი მწარმოებლურობა გადააჭარბებდა მოსახლეობის ზრდას. ეს ფაქტორი იძლეოდა იმის დასაბუთების საფუძველს, რომ კაპიტალდაბანდებები სოფლის მეურნეობიდან უნდა გადანაცვლებულიყო სამრეწველო სფეროში. ეს მოსაზრება დღესაც აქტუალურია.

ესტაშიტმა და სხვებმა (2012)⁴⁵ შეისწავლეს ინფრასტრუქტურული განვითარებისთვის კაპიტალ-დაბანდების შედეგები აფრიკის 6 ქვეყანაში. სიმულაციები შედგა, დაფინანსების ხუთი სხვადასხვა ალტერნატივისთვის, ოთხი მიმართულებით: არასამეწარმეო სექტორში, საგზაო ინფრასტრუქტურის, ელექტრო და ტელეკომუნიკაციების სფეროებში. კვლევამ აჩვენა, რომ მიმდინარე ანგარიშის დასაბალანსებლად უფრო მეტი სარგებლის მომტანია საგარეო ფინანსური დახმარების გამოყენება ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტების დასაფინანსებლად. ამ ნაბიჯით წარმოებაც იზრდება, თუმცა ფასებზე გავლენა უმნიშვნელოა და ამ გავლენის მაჩვენებელი ცვლადია ქვეყნებისა და დაფინანსების წყაროს შესაბამისად.

ფაქტია, რომ სოფლად არახელსაყრელი პირობების გამო, ხალხი ურბანულ დასახლებებს ეტანება. დოროშმა და თარლოუმ (2011)⁴⁶ სიმულაციებზე დაყრდნობით აჩვენეს, რომ ეკონომიკური ზრდა მეტ მდგრადობას შეიძენს ურბანიზაციის პროცესების კვალდაკვალ, რის შედეგადაც კეთილდღეობის

⁴⁴ <http://faculty.washington.edu/krumme/resources/engel.html>

⁴⁵ Estache, Antonio, Jean-François Perrault, and Luc Savard. "The impact of infrastructure spending in Sub-Saharan Africa: a CGE modelling approach." *Economics Research International* 2012 (2012).

⁴⁶ Dorosh, Paul, and James Thurlow. *Urbanization and Economic Transformation: A CGE Analysis for Ethiopia*. ESSPII Working Paper 14, September, 2011.

მაჩვენებელი სოფლადაც შეიცვლება უკეთესობისკენ და სოფლებსა და ქალაქებს შორის არსებული უთანასწორობა შემცირდება. აღნიშნულის მისაღწევად საჭიროა ურბანულ განვითარებაში ინვესტირება, თუმცა აქაც მიგვიითბებენ, რომ სახელმწიფო რესურსების ამ მიმართულებით ხარჯვა ეკონომიკას გააძლიერებს, მაგრამ ღარიბი მოსახლეობისთვის საშუალოვადიან პერიოდში მდგომარეობა უმნიშვნელოდ შეიცვლება.

საქართველოში ვაჭრობის ლიბერალიზაციას კეთილდღეობის მაჩვენებელი, უკეთესობისკენ უნდა შეეცვალა. ეკონომიკური ზრდა ნამდვილად დაფიქსირდა, თუმცა შემოსავლების უთანასწორობასა და დასაქმების პრობლემის მოგვარებაზე ნაკლებად აისახა. ეს შედეგები პანდა და განეშ-კუმარის (2009)⁴⁷ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების ანალოგიურია, რომლებიც აანალიზებენ ინდოეთში ვაჭრობის ლიბერალიზაციის გავლენას ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდაზე, სიღარიბესა და საკვებით უზრუნველყოფაზე.

წლების განმავლობაში ეკონომისტები აღნიშნავდნენ, რომ სახელმწიფო ინფრასტრუქტურაში ინვესტირება დადებითად აისახება ეკონომიკის კერძო სექტორის განვითარებაზეც (ბარო; 1991⁴⁸). მას შემდეგ, რაც ასკაუერმა (1989)⁴⁹ და მუნელმა (1990)⁵⁰, პირველებმა განაცხადეს საჯარო სექტორის მნიშვნელოვანი როლის შესახებ, ინფრასტრუქტურის დაფინანსებაში ეკონომიკის სტიმულაციისთვის, მრავალი ნაშრომი მიექდვნა ამ თემის განხილვას. ესტაშემ

⁴⁷ Panda, Manoj, and A. Ganesh-Kumar. Trade liberalization, poverty, and food security in India. Free downloads from IFPRI, 2009.

⁴⁸ Barro, Robert J. "Economic growth in a cross section of countries." *The quarterly journal of economics* 106, no. 2 (1991): 407-443.

⁴⁹ Aschauer, David Alan. "Is public expenditure productive?." *Journal of monetary economics* 23, no. 2 (1989): 177-200.

⁵⁰ Munnell, Alicia H. "Why has productivity growth declined? Productivity and public investment." *New England Economic Review* 30 (1990): 3-22.

(2008)⁵¹ შენიშნა, რომ ინფრასტრუქტურის თემა ძირითადი კვლევის საგანია ეკონომისტებისათვის. ბევრი მკვლევარი ამტკიცებდა, რომ ინფრასტრუქტურის სექტორის გაჯერება ინვესტიციებით ამ მიმართულებას გადააქცევს ეკონომიკის ლოკომოტივად და გრძელვადიან პერსპექტივაში შეამცირებს სიღარიბის მაჩვენებელს. ფოსტერისა და ბრიცენო-გარმენდიას (2010)⁵² ბოლოდროინდელ კვლევით ანგარიშში ჩანს, რომ აფრიკის ეკონომიკის წინსვლაში ინფრასტრუქტურული განვითარების წილი ნახევარია. ავტორები ამტკიცებენ, რომ გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა დაახქარებს ურბანიზაციის პროცესებს და ხელს შეუწყობს რეგიონალურ ინტეგრაციას. სხვა მკვლევრები კი თვლიან, რომ საფინანსო დახმარების გაზრდა ნეგატიურ მაკროეკონომიკურ შედეგებს გამოიღებს, კერძოდ, საუბარია "ჰოლანდიურ დაავადებაზე"⁵³.

ასევე მნიშვნელოვანია დაისვას შეკითხვა: შეამცირებს, თუ გაზრდის კერძო ინვესტიციებს, საჯარო ფინანსების ინფრასტრუქტურაში ხარჯვა?! ევექტური დაფინანსების სქემის შემუშავებაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ინფრასტრუქტურის განვითარების დაგეგმვისას. ესტაშე და სხვებმა (2012)⁵⁴ სტანდარტული CGE მოდელის გამოყენებით შეისწავლეს ინფრასტრუქტურის განვითარების შედეგები, ექვს აფრიკულ ქვეყანაში. მათ შეადარეს სხვადასხვა

⁵¹ Estache, Antonio. "Infrastructure and development: A survey of recent and upcoming issues." In *Annual World Bank Conference on Development Economics—Global 2007: Rethinking Infrastructure for Development*, pp. 47-82. 2008.

⁵² Foster, Vivien, and Cecilia Briceño-Garmendia, eds. *Africa's infrastructure: a time for transformation*. World Bank-free PDF, 2010.

⁵³ „ჰოლანდიური დაავადება“ ეკონომიკაში განიმარტება როგორც უკუკავშირი ბუნებრივ რესურსებზე დამყარებულ ეკონომიკურ განვითარებასა და სოფლის მეურნეობის (ან მეწარმეობის) განვითარებას შორის. უკუკავშირის არსი შემდგომშია, ბუნებრივი რესურსებიდან (ან უცხოეთიდან მიღებული) შემოსავლები ამყარებს ადგილობრივ ვალუტას და შესაბამისად საექსპორტო პროდუქცია ძვირია მიმღები ქვეყნებისთვის, ხოლო იმპორტირებული პროდუქტი იაფდება, რაც ადგილობრივ სოფლის მეურნეობის (ან მეწარმეობის) დარგებს არაკონკურენტულ მდგომარეობაში აყენებს.

⁵⁴ Estache, Antonio, Jean-François Perrault, and Luc Savard. "The impact of infrastructure spending in Sub-Saharan Africa: a CGE modeling approach." *Economics Research International* 2012 (2012).

ფინანსური ინსტრუმენტით განხორციელებული ინფრასტრუქტურული ინვესტიციები და დაასკვნეს, რომ საგარეო ფინანსური დახმარება იწვევს "ჰოლანდიურ დაავადებას"-, მაგრამ ეს ნეგატიური შედეგები დამოკიდებულია იმაზე თუ, რა სახის ინვესტიციები განხორციელდა. ასევე, მნიშვნელოვანია, სტრუქტურულად როგორია ეკონომიკა, სადაც პროგრესის მისაღწევად, ასეთ ზომებს იღებენ. მათ ნაშრომში ერთი და იმავე ტიპის ინვესტიციის შედეგები განსხვავებულია სხვადასხვა სტრუქტურის მქონე ეკონომიკაზე. ეკონომიკის სტრუქტურის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორია წარმოების სხვადასხვა სექტორში კაპიტალის მუშახელთან თანაფარდობის კოეფიციენტი, სადაც ფაქტორულ გადასახადებზე ასახული ცვლილება განაპირობებს კაპიტალის მუშახელთან თანაფარდობის მაჩვენებელს და ამით გამოვლინდება მომგებიანი და წამგებიანი მხარეები.

თუ დავუშვებთ, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება სტაგნაციური დარჩება, გაიზრდება დასაქმების მაჩვენებელი არასასოფლო-სამეურნეო სფეროში, პროდუქტებზე ფასები კი მოიმატებს, რასაც მოჰყვება არასასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმებულთა ხელფასების შემცირება და მრეწველობის დარგების განვითარების შეფერხება. ამის შედეგად, წარმოიშვება ეკონომიკურ თეორიაში ცნობილი ე.წ. "რიკარდოს ხაფანგი". შესაბამისად, ყოველთვის დომინირებდა აზრი იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობისა და სხვა დანარჩენი დარგების განვითარება არ შეიძლებოდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმართულიყო.

შესაბამისად, თანდათანობით უკანა პლანზე იწვედა აზრი სოფლის მეურნეობის პასიური როლის შესახებ და გაჩნდა მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს მშპ-ს ზრდაში. ერთ-ერთი გამოკვლევის თანახმად, 1960-1990 წლებში, მსოფლის 62 განვითარებული ქვეყნის მიმოხილვის შედეგად, სოფლის მეურნეობაში შრომის მწარმოებლურობის ზრდის წილმა მშპ-ს

ზრდაში 54% შეადგინა⁵⁵. სოფლის მეურნეობაში შრომის მწარმოებლურობის ზრდის შედეგად სამუშაო ძალამ გადაინაცვლა სხვა სექტორებში.

ამდენად, სამეცნიერო ლიტერატურაში სოფლის მეურნეობა განიხილება, როგორც ინდუსტრიალიზაციის წინაპირობა, რამდენადაც ამ სექტორიდან ისტორიულად ხდებოდა სამუშაო ძალის გადადენა მრეწველობაში, იგი აწვდის კვების პროდუქტებს, იყენებს სხვა დარგებში წარმოებულ რესურსებს, პროდუქტს და არის დასაქმების ერთ-ერთი დიდი სფერო. იგი ამცირებს ქვეყნის დამოკიდებულებას იმპორტზე და დამოკიდებულია როგორც მსხვილი ფერმერული მეურნეობის განვითარებაზე, ისე მცირე მეწარმეობის ეფექტიანობაზე.

2.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა შემოსავლების უთანასწორობაზე

უცხოური ინვესტიციების შემოსვლას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის, მითუმეტეს შიდა ინვესტიციების არარსებობის შემთხვევაში. ქვეყნები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად სხვადასხვა ხერხს მიმართავენ. მსოფლიოს მასშტაბით ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა კორპორატიული გადასახადის შემცირება, რაც განსაკუთრებით განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებშია პოპულარული. OECD-ის (1995) კვლევის შედეგების მიხედვით, რვავე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანამ მიმართა სხვადასხვა ზომას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. მიუხედავად იმისა, რომ მარკუსენმა და სხვა მკვლევარებმა (1979)⁵⁶ უარყოფითი შედეგები დააფიქსირეს დაუბეგრავი უცხოური შემოსავლების შემთხვევებში, ქვეყნები მაინც ცდილობდნენ ხელსაყრელი გარემოს შექმნას, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის ბეგარის შემცირებითა და სხვა ზომების მიღებით.

⁵⁵ Gollin, Parente, and Rogerson. 2002. Gollin, D., S. Parente, and R. Rogerson. 2002. The role of agriculture in development. *American Economic Review* 92 (2): 160–164.

⁵⁶ Markusen, James R., and James R. Melvin. "Tariffs, capital mobility, and foreign ownership." *Journal of International Economics* 9, no. 3 (1979): 395-409.

ქვეყნები სხვადასხვა პოლიტიკის გატარებით ცდილობენ კონკურენცია გაუწიონ ერთმანეთს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მისაღებად, რაც უშუალო გავლენას მოახდენს მოსახლეობაში შემოსავლების უთანასწორობაზე როგორც სოფლად, ისე ურბანულ დასახლებებში. საზღვარგარეთის განვითარების ინსტიტუტმა (ODI⁵⁷) (2002) უარყო შეხედულება, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უშუალო გავლენას ახდენს სიღარიბის მაჩვენებელზე, თუმცა დაუშვა გარკვეული ზემოქმედების არსებობის ალბათობა: ღარიბმა მოსახლეობამ შეიძლება გარკვეული სარგებელი ნახოს, თუ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხარჯზე გაჩნდება დასაქმების უკეთესი პერსპექტივები და დაბალკვალიფიციური მუშახელის შემოსავალი გაიზრდება. სხვა კვლევების მიხედვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განაპირობებს შემოსავლების მაჩვენებლის დონეს. განვითარებად ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენის შესახებ ეკონომიკის ზრდასა და შემოსავლების უთანასწორობაზე საბოლოო დასკვნა შეჯერებული არ არის. ერთი მხრივ, მულტინაციონალურ კორპორაციებს, რომლებიც პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ახორციელებენ განვითარებად ქვეყნებში, ბრალი ედებათ მუშახელის დაბალი ანაზღაურების გამო, რაც სიღარიბის პრობლემას უფრო ამწვავებს. სხვები კი ამტკიცებენ, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხარჯზე კეთილდღეობის მაჩვენებელი იზრდება მომატებული ხელფასებისა და სამუშაო ბაზარზე მუშახელის მოთხოვნის გაზრდის საფუძველზე (მაგ. გრეჰემი 2000)⁵⁸

ამა თუ იმ ქვეყნის კერძო მახასიათებლების გათვალისწინებით ისტერლიმ (2004) განაცხადა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეამცირებს შემოსავლების უთანასწორობას ღარიბ, განვითარებად ქვეყნებში, მაგრამ მდიდარ, განვითარებულ ქვეყნებში პირიქით, გაზრდის მის მაჩვენებელს. ამ აზრს იზიარებს ნანენკამპი (2004), რომელიც ამბობს რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განვითარებისთვის სარგებლის მომტანი რაღაც დონეზე. ისტერლის (2004) მიხედვით, თეორიული

⁵⁷ <http://www.odi.org/>

⁵⁸ Graham, E.M. (2000). Fighting the Wrong Enemy: Antiglobal Activists and Multinational Enterprises. Institute for International Economics, Washington, D.C.

პროგნოზების გაკეთება დაუსრულებლად შეიძლება თუ ჩავთვლით, რომ ქვეყნების წარმოების მაჩვენებლებს შორის განსხვავება გავლენას ახდენს ვაჭრობის, მუშახელისა და კაპიტალის დინებაზე.

ნანენკამპის (2004)⁵⁹ აზრით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით მასშტაბური სარგებელის მიღება საეჭვოა ორი მიზეზის გამო. პირველ რიგში, ემპირიული კვლევების შედეგები ამ მიმართულებით დაუზუსტებელია. მხოლოდ ზოგიერთი ნაშრომის მიხედვით, გარკვეული ეკონომიკური და ინსტიტუციონალური სარგებელი მოსალოდნელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხარჯზე. მეორე მიზეზი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენას სიღარიბის მაჩვენებლის შემცირებაზე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, რადგან მაღალკვალიფიციური მუშახელი არასამეურნეო სექტორებში მეტ სარგებელს მიიღებს და შემოსავლების უთანასწორობა უფრო გაიზრდება.

განვითარებად ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემების შედარების ანალიზზე დაყრდნობით, ცაი (1995)⁶⁰ ვარაუდობს, რომ დადებით შედეგს შემოსავლების თანასწორობის აღმოფხვრაში უთანასწორობის გეოგრაფიული განმასხვავებლები უფრო მეტად განაპირობებს, ვიდრე პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. კლარკმა და სხვებმა (2011) სხვადასხვა ქვეყნის მონაცემების შედარებით დაასკვნეს, რომ ზოგადად პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს აქვთ პოზიტიური გავრცობითი ეფექტი ეკონომიკის ზრდაზე, მაგრამ ამავდროულად იზრდება შემოსავლების უთანასწორობა.

ანალოგიური სურათი მიიღეს შემოსავლების უთანასწორობასა და ეკონომიკურ ზრდაზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენის შესწავლისას კონკრეტული ქვეყნების მაგალითზე. განვითარებად ქვეყნებში ჩატარებული თითქმის ყველა კვლევა მიუთითებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებით გავლენაზე ხელფასების მატებაში ყველა ტიპის მუშახელისათვის, თუმცა,

⁵⁹ Nunnenkamp, Peter. "To what extent can foreign direct investment help achieve international development goals?." *The World Economy* 27, no. 5 (2004): 657-677.

⁶⁰ Tsai, P.-L. (1995). Foreign Direct Investment and Income Inequality: Further Evidence. *World Development* 23 (3): 469–483.

კვალიფიციური კადრები ნაკლებად კვალიფიციურ მუშახელთან შედარებით მაინც უფრო მეტ სარგებელს იღებენ. (საზღვარგარეთის განვითარების ინსტიტუტი, 2002⁶¹; ტეველდე და მორისეი, 2002⁶²; მაცუოკა, 2001⁶³)

ფეენსტრა და ჰანსონმა (1997)⁶⁴ მსგავსი ვარაუდები გააკეთეს და სახელფასო განაკვეთებში სხვაობების გაზრდა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს დაუკავშირეს. ასევე, უცხოური კაპიტალის შემოსვლა კვალიფიციურ მუშახელზე მოთხოვნას ზრდის. 1980-იანი წლების ბოლოს იმ რეგიონებში, სადაც უცხოური კომპანიების რაოდენობა ჭარბობდა, პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 50% -ით.

მრავალი კვლევა ცხადყოფს ხელფასების ზრდაზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენას, თუმცა, მათი როლის შესახებ შემოსავლების გადანაწილებასთან მიმართებაში კითხვებს ბადებს. რამდენიმე მიზეზის გამო, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ვერ უზრუნველყოფენ შემოსავლების უთანასწორობის შემცირებას. ქვეყანაში არაკვალიფიციური მუშახელის დასაქმების პერსპექტივების გაუმჯობესების მოთხოვნის მიუხედავად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად, კვალიფიციური კადრების დასაქმებას უწყობს ხელს. ამგვარად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეიძლება არ იქნეს მიზნობრივად გადანაწილებული შესაბამის სექტორებში და ვერ დაიძლიოს შემოსავლების უთანასწორობის პრობლემა ასევე შეინიშნება არსებული სისტემების უნარებზე დაფუძნებული ტექნოლოგიებით ჩანაცვლება, რადგან ადგილობრივებისგან განსხვავებით, უცხოური კომპანიები ახალ ტექნოლოგიებს ანიჭებენ უპირატესობას.

⁶¹ Overseas Development Institute, *Foreign Direct Investment: Who Gains?*. ODI Briefing Paper, London, 2002.

⁶² Te Velde, Dirk, and Oliver Morrissey. "Foreign direct investment, skills and wage inequality in East Asia." *Journal of the Asia Pacific Economy* 9, no. 3 (2004): 348-369

⁶³ Matsuoka, Atsuko. "Wage Differentials among Local Plants and Foreign Multinationals by Foreign Ownership Share and Nationality in Thai Manufacturing." *The International Centre for the Study of East Asian Development (ICSEAD) Working Paper Series* 2001 (2001): 25.

⁶⁴ Feenstra, Robert C., and Gordon H. Hanson. "Foreign direct investment and relative wages: Evidence from Mexico's maquiladoras." *Journal of international economics* 42, no. 3 (1997): 371-393.

მაცუოკამ (2001)⁶⁵ აჩვენა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის შემოსავლების უთანასწორობას იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ ხდება უნარებზე დაფუძნებული ტექნოლოგიების დანერგვა. ლოთხემ (1998) კი ივარაუდა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჩადება რომ განხორციელდეს კიდევ შესაბამის სექტორებში, ადგილი ექნება რესურსების გადანაცვლებას სხვა მთავარი სექტორებიდან, უფრო განვითარებულ სექტორებში, თუკი ტექნოლოგიებთან ერთად არ მოხდა თანაბარი კაპიტალის ტრანსფერიც.

ქვეყნების მაგალითზე შესწავლილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენის შესახებ კვლევები ძირითადად ხელფასებზე ასახულ ცვლილებებზე აკეთებენ აქცენტს და ნაკლებად ეხებიან მაკრო დონეზე ხელფასების გადანაწილებაზე გავლენას. ამ დანაკლისს ავსებს წონასწორობის მოდელებზე დაფუძნებული მაკრო კვლევები, რომლებშიც გათვალისწინებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენის არაპირდაპირი კავშირი შემოსავლების გადანაწილებაზე. (მაგალითად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ფისკალურ ცვლილებებზე, ტეველდე (2003).

ნანენკამპი და სხვები (2006)⁶⁶ ბოლივიის ეკონომიკის CGE-ს ანალიზზე დაყრდნობით აფასებენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენას სიღარიბესა და შემოსავლების უთანასწორობაზე, დროის საშუალო და ხანგრძლივი მონაკვეთის ჭრილში. მხედველობაში მიღებულია ის მნიშვნელოვანი არხები, რომლის გავლითაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გავლენას ახდენს სიღარიბესა და შემოსავლების უთანასწორობაზე, სოფლებსა და ქალაქებში. არაფორმალურ ღონისძიებებზე აგებული სიმულაციებით ნავარაუდევია, რომ ბოლივიაში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა ხელი შეუწყო ეკონომიკის ზრდას,

⁶⁵ Matsuoka, Atsuko. "Wage Differentials among Local Plants and Foreign Multinationals by Foreign Ownership Share and Nationality in Thai Manufacturing." *The International Centre for the Study of East Asian Development (ICSEAD) Working Paper Series 2001* (2001): 25.

⁶⁶ Nunnenkamp, Peter, Rainer Schweickert, and Manfred Wiebelt. *Distributional effects of FDI: How the interaction of FDI and economic policy affects poor households in Bolivia*. No. 1281. Kieler Arbeitspapiere, 2006.

ინვესტიციის გაუმჯობესებასა და სიღარიბის შემცირებას, მაგრამ ვერ შეცვალა შემოსავლების უთანასწორობის მაჩვენებელი. ბატრას (1986) დასკვნის საფუძველზე ცხადია, რომ ფართო დაფინანსების გარეშე უცხოური კორპორაციების მიერ ტექნოლოგიური სიახლეების შემოტანა განვითარებად ქვეყანაში შეიძლება დასაქმების მაჩვენებლის და შესაბამისად, შემოსავლების შემცირების მიზეზი გახდეს.

2014 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომებში საიმონ აფელბიმ და ერიკ ლივინიმ⁶⁷ დეტალურად გაანალიზეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საქართველოს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სექტორში. უფრო კონკრეტულად, მათ საფუძველიანად შეისწავლეს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულების რვა მსხვილი ბიზნესი (ყურძენი და ღვინის წარმოება, მეფრინველეობა, თხილი, მარცვლეული და სამკურნალო ბალახები, ბოსტნეული). ამ შემთხვევებზე დაყრდნობით, ავტორებმა დეტალურად შეაფასეს როგორც ზოგადი ბიზნესგარემო, საკუთრების უფლებები, გადასახადები, ფინანსებზე ხელწვდომა, ასევე, საწარმოო ფაქტორების (მიწა, სამუშაო ძალა) ხარისხი, მიმწოდებლებისა და მომხმარებლების ქსელის ეფექტურობა და ა.შ. ანალიზი ფოკუსირებული იყო იმ სიძნელებზე, რომლებსაც უცხოელი ინვესტორები ხვდებიან საქართველოს სოფლის მეურნეობაში. ნაშრომი, ასევე, განიხილავს იმ დადებით ეკონომიკურ სარგებელს რაც უცხოურ ინვესტიციებს ახლავს თან: სამუშაო ადგილების შექმნა; ადამიანური რესურსების განვითარება; ახალი საწარმოო პროცესებისა და პროდუქტების დანერგვა; იმპორტირებული პროდუქტის ჩანაცვლება ადგილობრივი წარმოებით და ა.შ. საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების კუთხით რეკომენდაციები მოიცავს ინვესტორების ნდობის ამაღლებას, რაც სტაბილურ რეგულაციებს გულისხმობს და გაკრიტიკებულია ის ორაზროვანი და მოულოდნელი ცვლილებების მთელი კასკადი, რომელსაც 2013-2014 წლებში ქონდა ადგილი. ესენია: 1. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე მორატორიუმი; 2. უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონში ცვლილებები; 3. შრომითი

⁶⁷ Competitiveness of Georgian Agriculture: Investment Case Studies. http://www.iset-pi.ge/index.php?article_id=1150

მიგრაციის შესახებ ახალი კანონი. ასევე აღნიშნულია ის პოზიტიური ცვლილებები, რაც ამ ბოლო წლების განმავლობაში პირველად განხორციელდა დამოუკიდებლობის ბოლო ოცწლეულში, ესენია: 1. კოოპერატივების შესახებ ახალი კანონი; 2. ვაუჩერების პროგრამის გაფართოება; 3. დაუბეგრავი მინიმუმის შემოღება; 4. ყურძნის ფასის კონტროლის მაგივრად ღვინის ქარხნების სუბსიდირება; 5. არსებული სოფლის მეურნეობის საწარმოებისთვის სუბსიდირებული კრედიტების შემოღება საქმიანობის გაფართოებისთვის; 6. „წარმოებულია საქართველოში“ სქემის შემოღება; 7. ირიგაციის სისტემების განახლება-მოწყობა; 8. სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქტების დღგ-სგან გათავისუფლება; 9. რუსეთის ბაზრის გახსნა ქართული ღვინის, მინერალური წყლებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებისთვის; 10. ღრმა და ყოველმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულება ევროპასთან.

განხილული ქეისებს შორისაა „Foodland“ და „Landmark“ კომპანიები, რომლებიც დაარსებულია კანადური ფესვების მქონე ინდოელის მიერ. ეს კომპანიები აწარმოებენ კარტოფილს, მარცვლეულს და ისეთ არასტანდარტულ კულტურებს, როგორცაა სანელებლები და სამკურნალო ბალახები. „Landmark“-ის საწარმო ფუნქციონირებს წალკაში დღემდე, ხოლო შიდა ქართლში მდებარე „Foodland“-ის საქმიანობა შეჩერებულია ქონების ძალადობრივი ოკუპაციის გამო ადგილობრივების მხრიდან. საკითხი კვლავ გადაუჭრელი რჩება. მეორე ქეისი ეხება კომპანიებს „აგროვესტი“ და „ჰაბიბკო“, რომელიც ეგვიპტელი ინვესტორის ოჯახური ბიზნესია. ამ ორ მეურნეობაში იწარმოება მარცვლეული, მზესუმზირა და ინოვაციური საკვები კულტურები. ამ ორი საწარმოდან ერთ-ერთმა საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული პრობლემები გადაჭრა და ფუნქციონირებს თავის კუთვნილ 1700 ჰექტარ მიწაზე სიღნაღის რაიონში. ძირითადი კაპიტალი ხმარდება 250 ჰექტარზე ვაზის დარგვის სამუშაოებს, ასევე დაგეგმილია ვერტიკალურად ინტეგრირებული რძის ბიზნესი მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში. მათ მფლობელობაში არსებული 700 ჰა მიწა ბოლნისის რეგიონში გამართულად მუშაობს. მესამე ქეისში შესწავლილია „ჰიპის“ (Hipp Georgia) საქმიანობა საქართველოში. „ჰიპი“ შეიქმნა შიდა ქართლში 2006 წელს და წარმოადგენს

ბავშვთა საკვები პროდუქტების გლობალური მწარმოებელი ჯგუფის ნაწილს. „ჰიპის“ წარმოებამ მიწოდების ჯაჭვში გააერთიანა 1,000 წერილი სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელი და მოახდინა მათი სერტიფიცირება. „ჰიპი“ მათგან იბარებს ორგანულად სუფთა ნიადაგზე მოყვანილ ვაშლს და ამზადებს ვაშლის წვენის კონცენტრატს, რომელიც თავისი ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტებით მთელს მსოფლიოშია ცნობილი. კომპანია სარგებლობს ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის GSP+ შეთანხმებით და კონცენტრატის ექსპორტს ახდენს ევროპაში. შესწავლილ ბიზნესებს შორის მოხვდა „შატო მუხრანი“, მე-19 საუკუნის მუხრანბატონის ცნობილი ღვინის ქარხანა, რომელიც 2006 წელს შვედი ინვესტორის დახმარებით აღადგინეს. ქარხანა აწარმოებს როგორც ადგილობრივ, ასევე, ევროპული ვაზის ჯიშების ღვინოს საქსპორტო ბაზრისთვის. აგრეთვე, ეწევა ღვინის ტურიზმს. ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი, რომლის საფუძველზეც უცხოელ ინვესტორებს შეუძლიათ დაინახონ საქართველოს ღვინის სექტორის პოტენციალი. აღნიშნულ ნაშრომთა კრებულში კიდევ ერთი ღვინის მწარმოებელი კომპანია იქნა შესწავლილი. ავტორებმა დეტალურად გაანალიზეს „ჯივიეს“ ბიზნეს მოდელი⁶⁸. „ჯივიესი“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ყოფილი საწარმოა, მოგვიანებით პრივატიზება მოახდინა ქართველმა მეწარმემ. ფირმამ გაიარა სასმელების მწარმოებელ გიგანტი ფირმის „Pernod Ricard“-ის ხელში და რუსული ბაზრის დახურვის შემდეგ, 2006, წელს კომპანია შეიძინა პარიზში დაფუძნებულმა სასმელების მწარმოებელმა და დისტრიბუტორმა ფირმამ, რომელიც ასევე, შვედი ბიზნესმენის მფლობელობაშია. საწარმოს აქვს სტაბილური ბიუჯეტი და ძირითადად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ბაზარზე ახდენს ექსპორტირებას. მოხმარებული ყურძნის 2/3-ს ალაზნისა და ივრის ხეობის მცირე და საშუალო ზომის მევენახეებისგან იბარებენ.

ნაშრომში, ასევე, გაანალიზებულია ქათმების ფერმის, სასაკლავოს და სატისტრიბუციო ბიზნესის „ჩირინას“ წარმოების პროცესი. ეს ფირმა ცნობილია თავისი ერთ-ერთი ბრენდული პროდუქტით „ბიუ-ბიუს“ წარმოებით. კომპანია

⁶⁸ Georgian Wine and Spirits (GWS)

„ჩირინა“ ამერიკაგასიაში ყველაზე მასშტაბური მეფრინველეობის კომპლექსია, რომელიც 2013 წელს დააარსა რუსეთიდან დაბრუნებულმა ინვესტორმა. ებრაული ტექნოლოგიებისა და მართვის სისტემის, ფრინველის გენეტიკის და კვების თანამედროვე მიღწევების გამოყენებით „ჩირინამ“ უპრეცედენტო, ვერტიკალურად ინტეგრირებული ჯაჭვი შექმნა, რამაც ქათმის ფასი შეამცირა ადგილობრივ ბაზარზე. ადგილობრივი მარცვლეულის მწარმოებლებთან თანამშრომლობით „ჩირინამ“ სტრატეგიული კონკურენტუნარიანობა მოიპოვა. გაანალიზებული უცხოურ ინვესტიციებს შორის, ასევე, იყო „აგრიჯორჯია“, კომპანია, რომელმაც შეცვალა დასავლეთ საქართველოს ბიზნესგარემო. ცნობილმა კომპანიამ „ფერერომ“ დააარსა „აგრიჯორჯია“ საკუთარი მოხმარების თხილის საწარმოებლად. დღეს 4000 ჰექტარზე გაშენებული ქართული და იტალიური ჯიშის პლანტაციებში მოყვანილი თხილი მთლიანად ექსპორტზე გადის. კომპანიას საწყის ეტაპზე ქონდა პრობლემები მოსახლეობასთან, მიწასთან დაკავშირებით, თუმცა, ადგილობრივი ხელისუფლების ჩარევით, კომპენსაციების გადახდითა და ალტერნატიული მიწის ნაკვეთების შეთავაზებით პრობლემა მოგვარდა. „აგრიჯორჯია“ ზრუნავს არა მარტო საკუთარი თხილის ხარისხზე, არამედ ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობასაც და ადგილობრივ მწარმოებლებს ასწავლის თხილის მოვლა-პატრონობის აგრონომიულ მეთოდებს. ნაშრომში შესწავლილი ბოლო უცხოური ინვესტიცია, სოფლის მეურნეობაში, გახლავთ მარნეულის სასურსათო ქარხანა, რომელიც 2007 წელს დაარსდა და საკვების გადამუშავების დარგში ქვეყნის უმსხვილეს საწარმოდ იქცა. 2009 წლიდან მარნეულის სასურსათო ქარხანა „მარგებელი“ ჰოლდინგის ნაწილია. ინვესტიციის მნიშვნელოვანი ნაწილი მოზიდული იქნა შვეიცარიიდან. ქარხანა ქვემო ქართლის რეგიონში, მარნეულის მუნიციპალიტეტში, დედაქალაქიდან 40 კმ-ის მოშორებით მდებარეობს. მარნეულის სასურსათო ქარხნის დაარსების მიზანს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის გამოყენება, ადგილობრივი მაღალი ხარისხის პროდუქტით იმპორტის ჩანაცვლება და მომხმარებლისთვის ნატურალური, ჯანსაღი პროდუქტის მიწოდება წარმოადგენს. მარნეულის სასურსათო ქარხანა შუალედური მოხმარების პროდუქტების 60%-ს მცირე და

საშუალო ზომის ფერმერებისგან ყიდულობს. კომპანიამ ხელი შეუწყო მიმწოდებლების კოოპერაციების შექმნას, რაც ასევე მნიშვნელოვანი პრეცედენტია.

ზემოთ ჩამოთვლილი, სოფლის მეურნეობაში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების დადებითი შედეგები გაანალიზებულია რამდენიმე ჭრილში. პირველი არის საერთაშორისო კავშირები. შესწავლილმა ბიზნესებიდან, ყველამ აღნიშნა, რომ უცხოური ინვესტიციების მონაწილეობა ან თანამონაწილეობა უადვილებს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, რაც საშუალებას აძლევს დააკმაყოფილონ საერთაშორისო სტანდარტები. პროდუქტის მაღალი ხარისხი, თავის მხრივ დადებით რეპუტაციას უქმნის არა მარტო მათ, არამედ ზოგადად, საქართველოში წარმოებულ პროდუქტს. (მაგალითად „შატო მუხრანის“ ღვინის მომხმარებელი დადებითი წარმოდგენის დარჩება ქართულ ღვინოზე). ასევე, ბიზნესმენებს უადვილდებათ პარტნიორების მოძებნა და პროდუქტის ექსპორტი. რიგ შემთხვევებში, ინვესტორის დედობილი ორგანიზაცია თავად ყიდულობს საქართველოში წარმოებულ პროდუქტს (მაგალითად, „ფერერო“ ყიდულობს თხილს „აგრიჯორჯიასგან“). სოფლის მეურნეობაში მიმართული უცხოური ინვესტიციები აუმჯობესებს ადგილობრივ ბიზნესგარემოს და ზრდიან კონკურენციას, რაც თავის მხრივ, ამცირებს ფასს და აუმჯობესებს ხარისხს. თანამედროვე ტექნოლოგიებზე აწყობილი აგრობიზნესები უბიძგებენ კონკურენტებს ახალი, უფრო ეფექტური მართვისა და ტექნოლოგიური ბაზის მოწყობისაკენ ან ბაზრის დატოვებისაკენ. ასევე, ვერტიკალურ ჯაჭვში ინტეგრირებულ მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს აძლევს მოერგონ მაღალი სტანდარტების მოთხოვნებს. ამის საუკეთესო მაგალითია „ჩირინა“, რომელმაც სულ რაღაც ორ წელიწადში გაყინული და ცოცხალი ქათმების ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავა და ჩაანაცვლა ბრაზილიიდან იმპორტირებული დაბალი ხარისხის ქათამი. უცხოური ინვესტიციებით შექმნილი ბიზნესები ადამიანური კაპიტალის ინკუბატორების როლს თამაშობენ. განხილული ბიზნესებიდან ყოველი მათგანი ხარჯავს მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, ტრენინგებისა და გადამზადების კურსების გავლისთვის. ამის საუკეთესო მაგალითია კომპანია „ჯივიესი“. ბევრი, ღვინის ქარხნის მენეჯერის

პოზიციას, სწორედ აქ მომზადებული კადრი იკავებს. დასაქმება და სამუშაო ძალის განვითარება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დადებითი შედეგია. ამასთან ერთად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდიან სახელწიფო შემოსავალს მიწის⁶⁹, ქონების⁷⁰, ირიგაციის⁷¹, აქციზის⁷², საშემოსავლო⁷³, მოგების⁷⁴ და დამატებითი ღირებულების გადასახადებით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოება გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან. შესაბამისად ამ შეღავათებით სექტორში არსებული მრავალი ფირმა სარგებლობს თუმცა საგულისხმოა, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოებაში იგულისხმება პირველადი პროდუქტი და ნებისმიერი სახის დამატებითი დამუშავება იბეგრება დამატებითი ღირებულების გადასახადით. მაგალითად, კიტრის წარმოება გათავისუფლებულია დღგ-სგან, ხოლო კიტრის მწნილის – არა. იმიტაცია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კიდევ ერთი პოზიტიური მხარეა. ბიზნესები ცდილობენ მიბაძონ წარმატებულ კომპანიებს, შეიძინონ მათგან ცოდნა და გაიზიარონ დაგროვილი გამოცდილება. მაგალითად, სამეგრელოში მომრავლდა იტალიური ჯიშის თხილი მას შემდეგ, რაც „აგრიჯორჯიამ“ ის პირველად შემოიტანა. ადგილობრივებმა, ასევე აითვისეს ირიგაციისა და მოვლა-პატრონობის

⁶⁹ მიწის გადასახადი შეადგენს 90 ლარს ერთ ჰა-ზე ფერმერისთვის რომელსაც 2 ჰა ან მეტ მიწას ფლობს (გამონაკლისია კოოპერატივები)

⁷⁰ კაპიტალური ქონება, როგორცაა სათავსოები, საწყობები, საოფისე შენობა, იბეგრება ღირებულების 1%-ით ყოველწლიურად.

⁷¹ საირიგაციო წყლის გამოყენება იბეგრება 70 ლარით ერთ ჰა-ზე. როგორც წესი, კუბატურის მიხედვით იბეგრებიან ის მეწარმეებიც, რომლებიც საკუთარი დანახარჯებით აგებულ ჭაბურღილებს იყენებენ

⁷² აქციზის გადასახადი ეხება მხოლოდ ალკოჰოლური სასმელების გაყიდვას

⁷³ საშემოსავლო გადასახადი შეადგენს მომსახურე პერსონალის ანაზღაურების 20%-ს, რომელიც ყოველთვიურად იხდება

⁷⁴ მოგების გადასახადი შეადგენს 15%

ტექნიკა. „შატო მუხრანმა“ შექმნა ღვინის ტურიზმის კარგი პრეცედენტი, რომელიც მისვე გავრცელდა მთელს საქართველოში.

მრავალი სხვა მაგალითი არსებობს იმის დასადასტურებლად, რომ უცხოურ ინვესტიციებს ფიზიკურ კაპიტალთან ერთად შემოაქვთ ნოუ-ჰაუ და ტექნოლოგიები, რომლებიც დადებითი გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე.

3 ზოგადი წონასწორობის მოდელი

3.1 ზოგადი წონასწორობის მოდელი მიკროეკონომიკაში

ზოგადი წონასწორობის მოდელები (CGE) კარგად დაფუძნებულია სტანდარტულ ეკონომიკურ თეორიაში, სადაც ფასები მნიშვნელოვანი სიგნალია და ის უბიძგებს სხვადასხვა მხარეს მოქმედებებისკენ. თანამედროვე ეკონომიკის გამოკვლევა ვერ მოხერხდება საფასო მექანიზმის როლის გათვალისწინების გარეშე. CGE მოდელი, რომელიც ფასის მექანიზმს მიესადაგება, იკვლევს თანამედროვე პოლიტიკის საკითხებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში და ფართოდ გამოიყენება ისეთი ტიპის ანალიზისას, როგორცაა ინვესტიციების, საგადასახადო რეფორმის და სხვადასხვა პროექტების შედეგების შეფასება. CGE მოდელის პოტენციალი ძალზედ დიდია და ის ბევრ მკვლევარს იზიდავს. დღევანდელ მსოფლიოში ფართოდ ადაპტირებული მეთოდია ზოგადი წონასწორობის მოდელების გამოყენება, განსაკუთრებით, განვითარებადი ქვეყნების მაგალითზე. CGE მოდელის უარყოფით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს მისი კომპლექსური სტრუქტურა, რის გამოც ძნელია ბოლომდე გაიაზრო მძიღებული შედეგების მიზეზი. სწორედ ამიტომ, CGE მოდელს ხშირად შავ ყუთსაც კი უწოდებენ, რომელიც იძლევა შედეგს, თუმცა ძნელია ახსნა თუ რატომ მივიღეთ ესა თუ ის შედეგი.

დღევანდელ მსოფლიოში რესურსების ეფექტურად განაწილების პრობლემა უფრო მწვავედ დგას, ვიდრე ეს იყო თუნდაც რამდენიმე ათეული წლის წინ. განვითარებადი ქვეყნები სულ უფრო და უფრო ნაკლებ დახმარებას იღებენ განვითარებული ქვეყნებიდან და შესაბამისად წინა პლანზეა წამოწეული ეკონომიკის ძირითადი ამოცანა – შეზღუდული რესურსების ეფექტურად გადანაწილება.

რესურსების განაწილება ალტერნატივების არჩევის საკითხია. წარმოებული პროდუქტი შეიძლება იქნეს ექსპორტირებული ან ადგილობრივად მოხმარებული. ექსპორტი დამატებითი შემოსავალია, რაც მეტი იმპორტის საშუალებას გვაძლევს. იმპორტირებული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტი შეიძლება მოხმარებული იყოს შინამეურნეობების ან ფირმების მიერ, როგორც შუალედური

მოხმარების პროდუქტი. შინამეურნეობების მოხმარება განსაზღვრავს საზოგადოების კეთილდღეობას მაშინ, როცა მეტი შუალედური პროდუქტი ხელს უწყობს წარმოებული პროდუქტის ზრდას. რადგან ეკონომიკაში ბევრი მოთამაშეა, ისეთები როგორცაა შინამეურნეობები, მთავრობა, ფირმები, ძნელია მათ შორის რესურსების ოპტიმალურად გადანაწილების ამოცანის გადაჭრა, მოცემული შეზღუდულობების გათვალისწინებით, იქნება ეს რესურსების თუ ტექნოლოგიური შეზღუდვები.

საფასო მექანიზმი არის მძლავრი იარაღი მსგავსი ამოცანების გადასაჭრელად, რასაც ქცევის ოპტიმიზაციის ეკონომიკური თეორიები განიხილავენ. შინამეურნეობები და ფირმები გადაწყვეტილებებს იღებენ ბაზარზე არსებული ფასებიდან გამომდინარე. მომხმარებლები ცდილობენ სარგებლიანობის მაქსიმიზაციას, მოცემული საბიუჯეტო შეზღუდვისა და ფასების პირობებში. ფირმები ცდილობენ მოგების მაქსიმიზაციას მოცემული წარმოების ტექნოლოგიის პირობებში. ამ ოპტიმიზაციის ამოცანების ამონახსნი გვაძლევს მიწოდება-მოთხოვნის სქემებს და ბაზარზე წონასწორობა მყარდება ფასის კორექტირებით. სწორედ, ესაა საფასო მექანიზმი. ზოგადი წონასწორობის მოდელი, ასეთ საბაზრო ეკონომიკებს ასახავს რაოდენობრივი ფორმით.

რესურსების ეფექტური განაწილება თეორიული საკითხი არ არის. დღევანდელ საქართველოში ძალიან ხშირად გვეხმის ამა თუ იმ განხორციელებული ინვესტიციების, შემოდებული რეგულაციებისა და სხვადასხვა რეფორმის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი მიმართულია კეთილდღეობის ასამაღლებლად და რესურსების უფრო ეფექტურად გასანაწილებლად, მნიშვნელოვანია, რომ შედეგების წინასწარი გათვლები აჩვენო ყველა დაინტერესებულ მხარეს. რაც ყველაზე მთავარია, ეს უნდა იყოს არა მარტო ხარისხობრივი, არამედ რაოდენობრივი მონაცემებიც. საჭიროა მოხდეს დათვლა, თუ რა გავლენა ექნება, მაგალითად, კონკრეტულ სექტორში ინვესტიციას მთლიან ეკონომიკაზე, როგორ შეიცვლება მშპ, ქვეყნის იმპორტი/ექსპორტი, რა გავლენა ექნება სხვა სექტორებზე, წარმოების რაოდენობასა და ფასებზე, როგორ აისახება ეს ყველაფერი შინამეურნეობების კეთილდღეობაზე, შემოსავლების

უთანასწორობაზე და ა.შ. სწორედ, მსგავსი ტიპის შეკითხვებს პასუხობს ზოგადი წონასწორობის მოდელი.

ნეოკლასიკური თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ლეონ ვალრასი (Léon Walras) ამავედროულად არის მათემატიკური ეკონომიკისა და მოდელირების მამამთავარიც. მე-19 საუკუნის დასაწყისში ეკონომისტები ცდილობდნენ დასაბუთებულად ეპასუხათ კითხვაზე: არსებობს თუ არა ფასების ისეთი სიმრავლე, რომლისთვისაც ყველა ბაზარი წონასწორობაში იქნება და თუ არსებობს როგორ უნდა ვიპოვოთ ეს ფასები? ლეონ ვალრასმა დაამტკიცა ასეთი ფასების არსებობა, საკმაოდ რთული გზით. მოგვიანებით კი, იმავე დასკვნამდე მივიდა მრავალი მეცნიერი სხვადასხვა გზის გამოყენებით. საბოლოოდ, კონკურენტული ბაზრების ზოგადი წონასწორობის მოდელის თავდაპირველ შემქმნელად ლეონ ვალრასი ითვლება. მოგვიანებით მოდელის განვითარებაში, კერძოდ კი წონასწორობის არსებობისა და მისი მდგრადობის დამტკიცებით, წვლილი შეიტანეს ეკონომისტებმა ეროუმ და დებრიუმ (Kenneth Arrow, Gérard Debreu). პირველი სრულყოფილი CGE მოდელი შეიქმნა 1960 წელს ნორვეგიის მაგალითზე და მას მერე სულ უფრო და უფრო პოპულარული გახდა. დღესდღეობით, CGE მოდელებით ანალიზებენ ინვესტიციების, სატარიფო შეთანხმებების, რეგულაციებისა და სხვადასხვა რეფორმის ეფექტებს. ზოგადი წონასწორობის მოდელს იყენებენ ისეთი ორგანიზაციები, როგორცაა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO), საერთაშორისო საკვების პოლიტიკის კვლევითი ინსტიტუტი (IFPRI), მსოფლიო ბანკი (WB) და სხვ.

3.2 ზოგადი წონასწორული მოდელის არსი, დაშვებები და რელევანტურობა

საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელებული ინვესტიციების მოდელირებისთვის ვიყენებთ ე.წ. **MPSGE** მათემატიკური პროგრამირების სისტემას ზოგადი წონასწორობისათვის. ეს სისტემა ეფუძნება რთული (შედგენილი) ჩანაცვლების, მუდმივი ელასტიკურობის მქონე საწარმოო ფუნქციებს.

მოდელირების კოდი იწერება პროგრამაში **GAMS (Generalized Algebraic Modelling System)**, რომელიც განზოგადებული ალგებრული მოდელირების სისტემას წარმოადგენს. ეს პროგრამა შეიქმნა 1988 წელს მსოფლიო ბანკის თანამშრომლის ალექს მირაუს (**Alex Meeraus**) მიერ. მას შემდეგ **GAMs** ხშირად იყენებენ სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური ამოცანის მოდელირებისთვის⁷⁵.

MPSGE მოიცავს კონკრეტული არაწრფივი განტოლებების კლასს, თუმცა, **GAMs** ნებისმიერი ტიპის ალგებრულ განტოლებათა სისტემის ამოხსნა შეუძლია, და განსხვავებით **MPSGE**-ისგან, რომელსაც მხოლოდ ეკონომიკური წონასწორობის მოდელში იყენებენ, **GAMs**-ი გამოიყენება ბევრ სხვადასხვა დისციპლინაში.

MPSGE-ს ყველაზე ღირებული და მიმზიდველი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ პროგრამირების რთული ნაწილი უკვე შესრულებულია და მზა ფორმით მოიცემა. **GAMS/MPSGE** ინტერფეისი კომერციულად ხელმისაწვდომია უკვე 1993 წლიდან და დღესდღეისობით მრავალი ეკონომიკური ანალიზი ემყარება ამ მოდელს.

ეკონომიკაში ზოგადი წონასწორობის მოდელირების რამდენიმე მეთოდი არსებობს. ჩვენ ვიყენებთ ეროუ-დებრიუს ზოგადი ეკონომიკური წონასწორობის მოდელს, რომელიც სამი ძირითადი კატეგორიის ცვლადებისგან შედგება, ესენია: **P**- ფასები, როგორც საბოლოო პროდუქტისა და მომსახურების, ასევე, შუალედური მოხმარებისა და საწარმოო ფაქტორების. **Y**- მუდმივი უკუგების თვისების მქონე საწარმოო სექტორების წარმოების დონეები და **M**- შემოსავლები, როგორც

⁷⁵ თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლამ ოფიციალურად შეიძინა **GAMs** -ის ლიცენზია თავისი ანალიტიკური საქმიანობის წარმოებისთვის და იგი ხელმისაწვდომია თსუ-ს დაინტერესებული სტუდენტებისთვის

შინამეურნეობების ისე მთარობის. წონასწორობაში ეს ცვლადები სამი ტიპის არაწრფივ უტოლობას აკმაყოფილებენ. ესენია:

ნულოვანი მოგება

ამ ტიპის შეზღუდვა გულისხმობს, რომ წონასწორობაში მწარმოებლებს „ჭარბი“ მოგება არ აქვთ, რაც მათემატიკურად შემდგენილად ჩაიწერება:

$$\Pi_j(p) = R_j(p) - C_j(p) \geq 0 \quad \forall j$$

სადაც $\Pi_j(p)$ ერთ ერთეულზე მოგების ფუნქციაა. ერთ ერთეულზე შემოსავლისა და დანახარჯის ფუნქციები განსაზღვრილია შემდგენილად:

$$C_j(p) = \min \left\{ \sum_i p_i x_i \mid f_j(x) = 1 \right\}$$

და

$$R_j(p) = \max \left\{ \sum_i p_i y_i \mid g_j(y) = 1 \right\}$$

სადაც f და g არიან ფუნქციები, რომლებიც ახასიათებენ შესაბამისად შუალედურ მოხმარებას და წარმოებას. მაგალითად, თუ გვაქვს:

$$f(x) = \theta \prod_i x_i^{\alpha_i}, \quad \text{სადაც } \sum \alpha_i = 1$$

$$g(y) = \varphi \max_i \frac{y_i}{\beta_i}$$

შესაბამისად შემოსავლებისა და დანახარჯების ფუნქციები იქნება⁷⁶

$$C(p) = \frac{1}{\theta} \prod_i \left(\frac{p_i}{\alpha_i} \right)^{\alpha_i}$$

⁷⁶ დამტკიცება იხილეთ დანართში

$$R(p) = \sum_i \beta_i p_i$$

საბაზრო წონასწორობა

წონასწორობის პირობების განტოლებების მეორე ჯგუფი ეხება წონასწორობაში ფასებისა და წარმოების დონეებს, ნებისმიერი პროდუქტის მიწოდება უნდა უდრიდეს ან აღემატებოდეს მომხმარებელთა მოთხოვნას. ეს პირობა შემდეგნაირად გამოისახება:

$$\sum_j y_j \frac{\partial \Pi_j(p)}{\partial p_i} + \sum_h \omega_{ih} \geq \sum_h d_{ih}(p, M_h)$$

სადაც პირველი ჯამი, შეფარდის ლემის მიხედვით, წარმოადგენს i პროდუქტის მიწოდებას მუდმივი უკუგების მქონე ფუნქციის. მეორე ჯამი წარმოადგენს შინამეურნეობების საწყის აგრეგირებულ i პროდუქტის ქონებას. უტოლობის მარჯვენა მხარეს მოცემული ჯამი წარმოადგენს i პროდუქტზე შინამეურნეობების აგრეგირებულ მოთხოვნას.

საბოლოო მოთხოვნა მოიცემა სარგებლიანობის მაქსიმიზაციით საბიუჯეტო შეზღუდვის პირობებში:

$$d_{ih}(p, M_h) = \operatorname{argmax} \{U_h(x) \mid \sum_i p_i x_i = M_h\}$$

სადაც U_h არის სარგებლიანობის ფუნქცია h საოჯახო მეურნეობისთვის.

საშემოსავლო ბალანსი

მესამე პირობა მდგომარეობს იმაში, რომ წონასწორობაში თითოეული აგენტის შემოსავალი უნდა უდრიდეს მათი ქონების ღირებულებას.

$$M_h = \sum_i p_i \omega_{ih}$$

MPSGE კოდში ყოველთვის გამოიყენება ისეთი სარგებლიანობის ფუნქციები, რომელთათვისაც ვალრასის კანონი ყოველთვის სრულდება:

$$\sum_i p_i d_{ih} = M_h = \sum_i p_i \omega_{ih}$$

შესაბამისად, საბაზრო წონასწორობის პირობების აგრეგირება წონასწორული ფასების გამოყენებით და ნულოვანი მოგების პირობების წონასწორული რაოდენობების გამოყენებით გვაძლევს:

$$\sum_j y_j \Pi_j(p) = 0$$

ან

$$y_j \Pi_j(p) = 0 \quad \forall j$$

მარტივი გარდაქმნების შედეგად, მიიღება:

$$p_i \left(\sum_j y_j \frac{\partial \Pi_j(p)}{\partial p_i} + \sum_h \omega_{ih} - \sum_h d_{ih}(p, M_h) \right) = 0 \quad \forall i$$

ეს ნიშნავს, რომ წონასწორობაში წარმოებები იღებენ ნულოვან მოგებას, ხოლო ისინი, რომლებიც იღებენ უარყოფით მოგებას, არ აწარმოებენ. ანალოგიურად, ნებისმიერი დადებითი ფასის მქონე პროდუქტისთვის აგრეგირებული მოთხოვნა და მიწოდება ერთმანეთის, ხოლო იმ პროდუქტის ფასი, რომლის სიჭარბეც გვაქვს, ნულის ტოლია.

ექსპერტები რამდენიმე არგუმენტს ასახელებენ MPSGE-ს გამოყენების უპირატესობების დასადასტურებლად. მათ შორის უპირველესია გამჭირვალობა. როცა მოდელი იწერება GAMS-ის განტოლებათა სისტემებით, საკმაოდ რთული მოდელის სტრუქტურის გარკვევა და შესაბამისად შედეგების ინტერპრეტაცია და დასკვნების გაკეთება. MPSGE-ს გამოყენება მაქსიმალურად ამცირებს პროგრამული შეცდომების დაშვების ალბათობას და ალგებრული განტოლებების სრული ჩაწერის

ნაცვლად საშუალებას იძლევა უბრალოდ მივუთითოთ თუ რა ტიპის ფუნქციის გამოყენება გვსურს.

1. ზოგადი წონასწორობის მოდელის აგება მოიცავს შემდეგ პუნქტებს:
2. მონაცემთა შეგროვება. ე.წ. სოციალური აღრიცხვის მატრიცის აგება, რომელიც მოიცავს რესურსებისა და გამოყენების ცხრილების (იხილეთ დანართი “დ”) მონაცემებს, შინამეურნეობების კვლევის მონაცემებს, ბიუჯეტისა და ეროვნული ანგარიშის მონაცემებს და ა.შ.
3. მონაცემთა დაბალანსება. სოციალური აღრიცხვის მატრიცა, როგორც წესი, საჭიროებს დაბალანსებას, რაც გულისხმობს მატრიცაში შემავალი თითოეული სექტორის (და არა მარტო) შემოსავლებისა და ხარჯების გათანაბრებას. მომდევნო თავი დეტალურად აღწერს აღნიშნულ პროცესს.
4. მოდელის თეორიული საფუძვლების აგება და ფუნქციების შერჩევა.
5. პრეფერენციებისა და ტექნოლოგიის კოეფიციენტების კალიბრაცია.
6. წონასწორული მდგომარეობის დატესტვა. ეს პროცედურა საჭიროა, რომ დაგვრწმუნეთ მოდელის განტოლებებისა და მიღებული კოეფიციენტების შესაბამისობაში.
7. სცენარების აღწერა და შედეგების მიღება.

MPSGE მნიშვნელოვან შედეგათს იძლევა 3-5 პუნქტების შესრულებისას. **MPSGE** არის განტოლებების გენერატორი, რომელიც განტოლებათა პარამეტრების შერჩევას ავტომატურად ახორციელებს წონასწორული შედეგის მისაღებად.

3.3 პირველი ზოგადი წონასწორობის მოდელი საქართველოსთვის

ინვესტიციების ეფექტის ანალიზისთვის ნაშრომში აგებულია ზოგადი წონასწორობის მოდელი „Arrow–Debreu“-ს წონასწორობის მაგალითის მიხედვით. შესაბამისად მოდელირებისთვის გამოყენებულია ზემოთ განხილული სამი

არამკაცრი უტოლობის პირობა: ნულოვანი მოგების, საბაზრო წონასწორობის და საშემოსავლო ბალანსის. მოდელი სტატიკურია და დროის ფაქტორს არ ითვალისწინებს, ანუ მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია ხდება საშუალოვადიან პერიოდზე და არ ითვალისწინებს ეფექტების დროში განაწილებას.

მოდელში ნაგულისხმებია მცირე, ღია ეკონომიკა (SOE), რომლის პირობებშიც ქვეყნას არ აქვს გავლენა მსოფლიო ფასებზე. ექსპორტისა და იმპორტის ფასები ეზოგენურია. ხსენებული ეკონომიკა ასახულია დიაგრამაზე 13.

მოდელში წარმოდგენილა ფაქტორთა ბაზრები, სადაც ოჯახები თავიანთი კაპიტალისა და შრომის სანაცვლოდ იღებენ შემოსავალს. ამ შემოსავალის ფარგლებში ისინი მოიხმარენ სასაქონლო ბაზარზე არსებულ პროდუქტს. ამ პროდუქტის მწარმოებლები, თავადაც მოიხმარენ თავიანთი სამეწარმეო საქმიანობისთვის. პროდუქტის გარდა ისინი იძენენ სამუშაო ძალასა და კაპიტალს ფაქტორთა ბაზარზე და ამგვარად, დიაგრამაზე 13 ნაჩვენები ისრები ასახავენ ფულის ბრუნვის ტრაექტორიას. მოდელში ასახულია სახელმწიფოც, რომელიც ბეგრავს პროდუქტს (დღგ და აქციზის გადასახადი) და იღებს საშემოსავლო და სხვა გადასახადებს ოჯახებიდან. გარდა ამისა, სახელმწიფოს ფაქტორთა შემოსავლების ნაწილიც ერგება, ვინაიდან ის ფლობს კაპიტალის ნაწილს (შემოსავლების ეს ნაკადი შეიცავს სახელმწიფოს ხელში არსებული ქონებიდან მიღებულ შემოსავალს, სახელმწიფოს კუთვნილი კომპანიებიდან მიღებულ მოგებას და სხვა). რაც შეეხება დანახარჯებს, სახელმწიფო გასცემს სოციალურ ტრანსფერებს და თავად მოიხმარს სასაქონლო ბაზარზე არსებულ პროდუქტს. მოდელში გათვალისწინებულია საინვესტიციო ბაზარიც, რათა სახელმწიფო და კერძო დანაზოგებთან ერთად მთლიანი კაპიტალის ფორმირება აისახოს, რაც აუცილებელი მოთხოვნაა ინვესტიციისათვის. მოდელში, ასევე, ფიგურირებს „სხვა ქვეყნები“ (RoW). ეს აუცილებელი ელემენტია ღია ეკონომიკის მოდელირებისათვის. მოდელში ჩართულია იმპორტი და ექსპორტი. სახელმწიფო ბიუჯეტში შემოედინება იმპორტის გადასახადი, გრანტები და სესხები, დანარჩენი მსოფლიოდან ასევე ხდება კაპიტალის შემოდინება. მოსახლეობის შემოსავლებში გათვალისწინებულია ფულადი გზავნილები საზღვარგარეთიდან. ასევე ასახულია მათ მიერ გაგზავნილი ფული ქვეყნის გარეთ. ჩვენს მოდელში ნაჩვენებია RoW-ის პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავალიც, რომელშიც შედის უცხოელთა მიერ მიღებული დივიდენდები და ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოქმედ უცხოელთა კუთვნილი კომპანიების მოგების ნაწილი. სხვა სიტყვებით, ეს არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით შექმნილი კაპიტალის დამატებული ღირებულების ნაწილი რომელიც გაედინება. საბოლოოდ, მოდელში ჩავრთეთ საინვესტიციო ფონდი, რომელიც RoW-დან მიღებულ კაპიტალს აბანდებს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეს თანხები მოდელში შემოდის


არა ბიუჯეტიდან არამედ საზღვრებს გარედან, ანუ „ჰაერიდან“. ეს თანხები მიმართულია ერთ ან რამდენიმე სექტორზე იმისათვის, რომ დავინახოთ ინვესტიციის გავლენა სხვადასხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, მოდელის ასამუშავებლად შევქმენით სოციალური აღრიცხვის მატრიცა (SAM) (დეტალურად აღწერილია ქვემოთ), რომელშიც დიაგრამაზე ისრებით აღწერული თანხების ბრუნვის ანალოგიურად კონკრეტული მაჩვენებლებია ასახული.

წარმოდგენილ მოდელში გვაქვს 15 ეკონომიკური სექტორი და შესაბამისად პროდუქტთა 15 კატეგორია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოდელში საქმიანობები ეკონომიკის სექტორებს აღნიშნავს, ხოლო საქონელში თითოეული სექტორის პროდუქტი ან მომსახურება იგულისხმება. მოდელში გათვალისწინებული საწარმოო ფაქტორებია სამუშაო ძალა, კაპიტალი და შუალედური პროდუქტის ნაკრები. სექტორები, რომლებიც ერთზე მეტი სახეობის პროდუქტს აწარმოებს, აღწერილია ტრანსფორმაციის მუდმივი ელასტიკურობის მქონე ფუნქციებით. დიაგრამაში 14 მოცემულია პროცესი შესაბამისი ჩანაცვლებისა და ტრანსფორმაციის ელასტიკურობებით. როგორც დიაგრამაშია მოცემული, ჩანაცვლების ელასტიკურობა თვითდასაქმებულ და დაქირავებულ მუშახელს შორის ერთის ტოლია სოფლის მეურნეობის სექტორისთვის ხოლო ყველა სხვა სექტორისთვის 0.5-ის. ეს დაშვება ლოგიკურია რადგან თვითდასაქმებულთა უმრავლესობა სოფლის მეურნეობის სექტორშია და ისინი შეიძლება იქნან დაქირავებულნი აგრობიზნესების მიერ. თუმცა, სოფლად თვითდასაქმებულ ადამიანს გაუჭირდება სხვა სექტორში იპოვოს სამსახური. კაპიტალი და მუშახელი გაერთიანებულია ქობ-დაგლასის ფუნქციით, ხოლო საბოლოო პროდუქტის წარმოებისთვის შუალედური მოხმარების საქონელთან გაერთიანებულია ლეონტიევის ფუნქციით.

ჰოსოეს (2010) და რუზერფორდის (2002) მსგავსად, ნაშრომში გამოყენებულია ტრანსფორმაციის მუდმივი ელასტიკურობის ფუნქცია, რომელიც წარმოებულ პროდუქტს ყოფს ადგილობრივ და საექსპორტო ბაზრებისთვის.

ამის შემდგომ, ადგილობრივი წარმოება და იმპორტი არის აგრეგირებული არმინგტონის საბოლოო პროდუქტის მისაღებად (Armington 1969)⁷⁷.

დიაგრამა 14: წარმოების ფუნქცია



- Y** წარმოებული პროდუქტი
- D** ადგილობრივი მიწოდება
- X** ექსპორტი
- L** მუშახელი
- K** კაპიტალი
- SL** თვითდასაქმებული მუშახელი
- HL** დაქირავებით მომუშავე
- INT** შუალედური მოხმარების პროდუქტი
- Dint** ადგილობრივად წარმოებული შუალედური მოხმარების პროდუქტი
- Mint** იმპორტირებული შუალედური მოხმარების პროდუქტი
- Com** პროდუქტი

* SL -სა და HL -ს შორის ჩანაცვლების ელასტიკურობა 1-ის ტოლია სოფლის მეურნეობის სექტორში

საოჯახო მეურნეობების შემოსავალში შედის მათი სამუშაო ძალის სანაცვლოდ მიღებული ანაზღაურება და კუთვნილი კაპიტალის უკუგება. ისინი სახელმწიფოს უხდიან საშემოსავლო და სხვა გადასახადებს. მათ შემოსავალში ასევე, შედის შიდა ოჯახებსშორისი და სახელმწიფო ტრანსფერები (სახელმწიფო პენსია და სხვა ტრანსფერები) და საზღვარგარეთიდან მიღებული ფულადი გზავნილები.

საბოლოო ჯამში, საოჯახო მეურნეობები ცდილობენ სარგებლიანობის მაქსიმიზაციას, რომელიც აღწერილია დიაგრამაში 15. ჩვენს მოდელში შინამეურნეობები სარგებლიანობას იღებენ დასვენებაში დახარჯული დროიდან,


⁷⁷ არმინგტონის შედგენილი პროდუქტი გამოიყენება იმისთვის, რომ აღიწეროს ერთი და იგივე სახეობის პროდუქტის როგორც იმპორტი ასევე ექსპორტი.

დანაზოგებიდან და პროდუქტისა და მომსახურების მოხმარებიდან (იმპოტირებული და ადგილობრივი პროდუქტი მისთვის განურჩეველია). პროდუქტისა და მომსახურების მოხმარება აღწერილია ქობ-დაგლასის ფუნქციით, რომელიც ფიქსირებული პროპორციით არის გაერთიანებული დანაზოგებთან და ბოლოს დასვენება და მოხმარება-დანაზოგები გაერთიანებულია 0.5 ჩანაცვლების ელასტიკურობის მქონე ფუნქციით.

სახელმწიფოს შემოსავლები შედგება გადასახადების, საზღვარგარეთიდან მიღებული გრანტებისა და სესხებისგან. თავის მხრივ, იგი გასცემს ტრანსფერებს მოსახლეობაზე. დარჩენილ სახსრებს იყენებს პროდუქტის შესაძენად და ინვესტიციებისთვის.

მოდელში საშემოსავლო გადასახადები ენდოგენურია და იცვლება იმის მიხედვით, რომ სახელმწიფოს სერვისების დონე საწყის მაჩვენებელზე შენარჩუნდეს სხვადასხვა სავარაუდო სცენარების განხილვისას. დაშვების თანახმად, ამოღებული გადასახადები შეიცვლება შინამეურნეობების მოხმარების ცვლილების პროპორციულად. ასეთი დაშვებით ფოკუსირებას მოვახდენთ ინვესტიციების როლზე, რადგან კონკრეტულ სიტუაციაში ნაკლებად აქტუალურია სხვა წყაროების ხარჯზე გაუმჯობესებული კეთილდღეობის მაჩვენებელი.

დიაგრამა 15: სარგებლიანობის ფუნქცია



მოდელის მიხედვით ქვეყნიდან გაედინება დანაზოგები, ასევე, საზღვარგარეთ გადის უცხოელების მიერ ადგილობრივი კაპიტალის ფლობით მიღებული შემოსავალი, წმინდა ფულადი გზავნილები და წმინდა ექსპორტი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2011 წლის შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის ბაზიდან გავიანგარიშეთ უმუშევრობის დონეები რეგიონების მიხედვით. რადგან მოდელში არ გვაქვს მუშახელის მობილურობა გათვალისწინებული, სამუშაო ძალა ვერ შეიცვლება საშუალოვადიან პერსპექტივაში. შესაბამისად, დავუშვით, რომ საქართველოში უმუშევრობის ბუნებრივი დონე შენარჩუნდება 7%-ზე. ამიტომ უმუშევრობის 7%-იანი ზღვარი მივანიჭეთ იმ რეგიონებს, სადაც უმუშევრობა ამ მაჩვენებელზე დაბლა დაფიქსირდა. ცხრილი 6 გვიჩვენებს მოდელში გამოყენებული უმუშევრობის დონეებს. შეგახსენებთ, რომ საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებლების სიზუსტე კამათის საგანია, რადგან თვითდასაქმებულთა რიცხვში ჩათვლილია ბევრი საარსებო მეურნეობაში დაკავებული სოფლად მაცხოვრებელი⁷⁸.

⁷⁸ იხილეთ ჰანს გათბროლის სტატია "Correcting Unemployment Numbers – A Call for Government Action" ISET Economist <http://www.iset.ge/blog/?p=1897>

ცხრილი 6: უმუშევრობის საწყისი დონეები

რეგიონი	ქალაქი		სოფელი	
	ოფიციალური მონაცემები	მოდელში გამოყენებული რიცხვები	ოფიციალური მონაცემები	მოდელში გამოყენებული რიცხვები
კახეთი	17%	17%	7%	7%
თბილისი	29%	29%	30%	30%
შიდა ქართლი	17%	17%	6%	7%
ქვემო ქართლი	19%	19%	6%	7%
სამცხე-ჯავახეთი	20%	20%	2%	7%
აჭარა	38%	38%	7%	7%
გურია	7%	7%	5%	7%
სამეგრელო და	26%	26%	12%	12%
იმერეთი	23%	23%	3%	7%
მცხეთა-მთიანეთი	26%	26%	12%	12%

4 საქართველოს სოციალური აღრიცხვის მატრიცა

მოდელში ვიყენებთ 2011 წლის მონაცემებით აგებულ სოციალური აღრიცხვის მატრიცას (SAM). სხვადასხვა სახის მონაცემს შორისაა ფინანსთა სამინისტროსა და საქსტატის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ეროვნული ანგარიშებზე, შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევისა (დანართი “ე”) და სახელმწიფოს 2011 წლის ბიუჯეტის მონაცემები. ახლად შექმნილი სოციალური აღრიცხვის მატრიცა მოიცავს ინფორმაციას 15 სექტორის წარმოებასა და მათზე მოთხოვნის შესახებ, აგრეთვე, 15 სამრეწველო პროდუქტსა და 20 ტიპის საოჯახო მეურნეობებს. რეგიონებისა და რურალ-ურბანულ ჭრილში. ასევე, ერთმანეთისგან გამოვყავით სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულები და დაქირავებული მუშახელი. სოციალური აღრიცხვის მატრიცის დეტალები განხილულია მომდევნო ქვეთავებში.

4.1 ეკონომიკური სექტორებისა და პროდუქტის დისაგრეგაცია

სოციალური აღრიცხვის მატრიცა ესაა კვადრატული ცხრილი, რომელშიც სტრიქონებსა და სვეტებზე მოცემულია ერთი და იგივე მონაცემები. თითოეული უჯრის მონაცემი შეესატყვისება კონკრეტული სვეტიდან (დანახარჯების) შესაბამის სტრიქონში (შემოსავლები) გადახდის მაჩვენებელს. მაგალითად, 2011 წლის აგრეგირებული სოციალური აღრიცხვის მატრიცაში (დიაგრამა 16), სხვადასხვა ეკონომიკური აქტივობა (ეკონომიკის სექტორები) დაჯგუფებულია სვეტში - „აქტივობა“ (A). ყველა სექტორს ერთად, შუალედური მოხმარებისთვის შექმნილი სხვადასხვა პროდუქტი 15,455 მლნ ლარი (უჯრა C-A⁷⁹) დაუჯდა, რომელთა ხარჯზე უზრუნველყოფილი იქნა პროდუქტის წარმოება და მომსახურება, შრომისა და კაპიტალის 20,975 მილიონიანი ლარის დამატებული ღირებულებით.

⁷⁹ ჩანაწერში ჯერ ვასახელებთ სტრიქონს და შემდეგ სვეტს

ამ პროდუქტსა და სერვისებს შემდგომში, სასაქონლო ბაზარზე ყიდულობენ ოჯახები (შინამეურნეობები)⁸⁰, სახელმწიფო, საინვესტიციო გაერთიანებები (მთლიანი კაპიტალის ფორმირება) და უცხოელები (ექსპორტი). სასაქონლო ბაზრის (სტრიქონი C) მთლიანი შემოსავალი 2011 წელს 58,269 მილიონს შეადგენდა, სადაც ექსპორტის წილი 8,823 მილიონი ლარით (უჯრა C-R) განისაზღვრებოდა. იმავე წელს, საოჯახო დანახარჯები პროდუქტზე შეადგენდა 18,018 მილიონ ლარს (უჯრა C-H), სახელმწიფოს მიერ სამომხმარებლო დანახარჯის საბოლოო მაჩვენებელი გაუტოლდა 4,431 მილიონ ლარს (უჯრა C-G), ხოლო მთლიანი კაპიტალის ფორმირება (ინვესტიცია) 6,407 მილიონ ლარს (უჯრა C-S) შეადგენდა.

მეორე მხრივ, პროდუქტისა და მომსახურების სექტი შედგება შემდეგი დანახარჯებისგან: 36,431 მლნ ლარი (უჯრა A-C) აქტივობებზე, 5,135 მლნ ლარი (უჯრა თთ -ჩ) ტრანსპორტირებაზე, 3,369 მლნ ლარი (უჯრა T-C) გადასახადებზე სუბსიდიების გამოკლებით, და 13,334 მლნ ლარი (უჯრა R-C) იმპორტზე.

⁸⁰ „ოჯახებში“ ვგულისხმობთ შინამეურნეობებსა და არაკომერციულ ორგანიზაციებს, რომლებიც ემსახურებიან შინამეურნეობებს

დიაგრამა 16: აგრეგირებული სოციალური აღრიცხვის მატრიცა საქართველოსთვის (მლნ ლარი)

	A	C	TT M	F	H	G	T	S	R	Tot al
A		36,4 31								36,431
C	15,455		5,135		18,018	4,431		6,407	8,823	58,269
TTM		5,135								5,135
F	20,975									20,975
H				19,774	897	1,393			2,139	24,203
G				417			5,801		223	6,441
T		3,369			2,432					5,801
S					2,687	618			3,102	6,407
R		13,334		784	169					14,287
Total	36,430	58,269	5,135	20,975	24,203	6,441	5,801	6,407	14,287	

მთლიანი წარმოება მოცემულია საბაზისო ფასებში. შესაბამისად ამ ფასების საბაზრო ფასებად გარდაქმნისთვის საჭიროა დავამატოთ სავაჭრო და სატრანსპორტო დანახარჯები (უჯრედები TTM-C და C-TTM), რაც ზოგიერთი

პროდუქტისთვის დანახარჯია, ზოგიერთისთვის კი – შემოსავალი. მაგალითად, აგროპროდუქტი ბაზარზე მოხვედრისათვის საჭიროებს ტრანსპორტირებას (ტრანზაქციის ღირებულება), რაც დანახარჯია, ხოლო თავად „ტრანსპორტი და კომუნიკაციებისთვის“ შემოსავალია.

ქვემოთ მოცემულ მატრიცაში მოკლედ აღწერილია თითოეული უჯრის მნიშვნელობა.

დიაგრამა 17: სოციალური აღრიცხვის მატრიცის აღწერა

	A	C	TTM	F	H	G	T	S	R
A		მთლიანი წარმოება							
C	შუალედური მოხმარება		ტრანზაქციის დანახარჯები		საოჯახო მეურნეობების მოხმარება	მთავრობის მოხმარება		მთლიანი კაპიტალის ფორმირება	ექსპორტი
TTM		ტრანზაქციის დანახარჯები							
F	ფაქტორთა დამატებული ღირებულება								
H				შინამეურნეობის შემოსავალი ფაქტორებიდან	ოჯახთშორისი ტრანსფერები	ტრანსფერები შინამეურნეობისთვის			ფულადი გზავნილები
G				მთავრობის შემოსავალი ფაქტორებიდან			გადასახადები და მიღებული შემოსავალი		მთავრობის მიერ მიღებული გრანტები
T		წმინდა გადასახადები			შინამეურნეობების მიერ გადახდილი გადასახადები				
S					შინამეურნეობების დანახარჯები	წმინდა საოპერაციო საღდო			მიმდინარე ანაგარიში
R		იმპორტი		FDI-ს დამატებული ღირებულება	ფულადი გზავნილები საზღვარგარეთ				

ეროვნული ანგარიშის ტრადიციული სისტემით მთლიანი შიდა პროდუქტის გამოთვლის სამი მეთოდი არსებობს და სამივე შემთხვევაში ანალოგიური შედეგები მიიღება.

1. წარმოების მეთოდი: $GDP =$ მთლიანი წარმოება (უჯრა $A-C$) – შუალედური მოხმარება (უჯრა $C-A$) + წმინდა გადასახადები (უჯრა $T-C$) = $36,431 - 15,455 + 3,369 = 24,344$ მლნ ლარი;

2. გამოყენების (დანახარჯების) მეთოდი: $GDP =$ საოჯახო მეურნეობების მოხმარება (უჯრა $C-H$) + მთავრობის მოხმარება (უჯრა $C-G$) + მთლიანი კაპიტალი (უჯრა $C-S$) + ექსპორტი (უჯრა $C-R$) - იმპორტი (უჯრა $R-C$) = $18,018 + 4,431 + 6,407 + 8,823 - 13,334 = 24,344$ მლნ ლარი;

3. შემოსავლების მეთოდი: $GDP =$ [ყველა შემოსავალი ფაქტორების ფლობით მიღებული] (უჯრა $F-A$) + წმინდა გადასახადები (უჯრა $T-C$) = $20,975 + 3,369 = 24,344$ მლნ ლარი.

4.2 შინამეურნეობები და სახელმწიფო ზოგადი წონასწორობის მოდელში

სახელმწიფოსა და შინამეურნეობების მხრიდან პროდუქტის შექმნით მიღებული შემოსავლი მეწარმეებს წარმოების პროცესის შესანარჩუნებლად სჭირდებათ. გარდა ამისა, ინტერ-ინსტიტუციური ტრანსფერები გადასახადებისა და დანახოვის სახით უზრუნველყოფს შემოსავლების ბრუნვის დახურვას. მთლიანობაში, სახელმწიფო საბიუჯეტო შემოსავალი 2011 წელს იყო 6,441 მლნ ლარი (ცხრილში სახელმწიფოს ანგარიშის შესატყვის სტრიქონში ან სვეტში მოცემული მაჩვენებელი). ქედან, 223 მლნ ლარი (უჯრა $G-R$) იყო გრანტების წილი, 5,801 მლნ ლარი შემოვიდა გადასახადებიდან, ხოლო დანარჩენი (417 მლნ ლარი) სხვა სახის შემოსავლებია, როგორცაა ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი კომპანიის დივიდენდები და ა. შ. ამგვარად, შევჯერდით კაპიტალიდან სახელმწიფოს ფაქტორული შემოსავლის მაჩვენებელზე (უჯრა $G-F$). გადასახადების ანგარიშის თანხის ნაწილი შემოდის პროდუქტიდან, რომელშიც შედის დამატებითი ღირებულების გადასახადის 2,784 მლნ ლარი, აქციზური მოსაკრებლის 615 მლნ ლარი, იმპორტის გადასახადის 93 მლნ ლარი და სუბსიდიების 124 მლნ ლარი, რაც

სოციალური აღრიცხვის მატრიცაში უარყოფითი ნიშნით შევა. ამგვარად, მთლიანობაში სახეზე გვაქვს პროდუქტიდან სრული შემოსავლების 3,369 მლნ ლარი (უჯრა-C). დანარჩენი შემოსავალი მოდის შინამეურნეობებიდან (იგულისხმება შინამეურნეობები ფართო გაგებით), რაც 2,432 მილიონ ლარს შეადგენს (უჯრა T-H)

შინამეურნეობების შემოსავალს შეადგენს 897 მლნ ლარის ოდენობის ტრანსფერები (უჯრა H-H). ეს მონაცემი შეჯერებულია შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის⁸¹ 2011 წლის მონაცემთა ბაზის, სახელმწიფოს მიერ სოციალური ტრანსფერის გადახდებისა (უჯრა H-G) და საზღვარგარეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების (უჯრა H-R) საფუძველზე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კაპიტალის დამატებული ღირებულებისა (უჯრა R-F) და სახელმწიფოს დამატებული ღირებულების (უჯრა G-F) გამოკვლით, დამატებული ღირებულება მივათვალეთ შინამეურნეობებსაც, რადგან ისინი ფლობენ ფაქტორებს (უჯრა H-F).

2011 წლის ბიუჯეტის ოფიციალური მონაცემებით, სოციალურმა ტრანსფერებმა შეადგინა 1,540 მლნ ლარი, რომელშიც შედის პენსიები, სოციალური დახმარებები, სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვთა მოვლა, ჯანმრთელობის პროგრამები და სხვა ტრანსფერები. აქედან ნაწილი უკვე ასახულია პროდუქტი და სერვისებზე სახელმწიფო დანახარჯებში (უჯრა C-G). ამდენად, სახელმწიფო ტრანსფერი შინამეურნეობებზე ნაკლები მაჩვენებლითაა წარმოდგენილი და შეადგენს 1,392 მილიონ ლარს. საზღვარგარეთიდან შემოსული ფულად გზავნილები კი, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემებით 2,139 მილიონ ლარს უტოლდება⁸².

სხვა სახელმწიფო დანახარჯები (სვეტი G) მოიცავს პროდუქტსა და მომსახურებებზე დანახარჯებსა და დანახოვებს, რაც 2011, წელს მთლიანობაში

⁸¹ საქსტატი <http://geostat.ge/index.php?action=meurneoba&mpid=1&lang=eng>

⁸² დაანგარიშებულია 2011 წლის ვალუტის საშუალო კურსის 1.6865 მიხედვით

წარმოადგენდა წმინდა საოპერაციო ბალანსს 618 მლნ ლარის ოდენობით (სხვაობა სრულ შემოსავალსა და გასავალს შორის - უჯრა S-G). მთლიანობაში, სახელმწიფო დანახარჯები (სვეტი G-ს ჯამური მაჩვენებელი) დანაზოგის ჩათვლით, შეადგენს 6,441 მილიონ ლარს, რაც უტოლდება სახელმწიფოს სრული შემოსავლის მაჩვენებელს (სტრიქონი G).

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მოცემულია უჯრედში S-R. 2011 წელს, ოფიციალური საგადასახდელი ბალანსის მიხედვით მიმდინარე ანგარიში იყო უარყოფითი 1,840 მლნ ა.შ.შ. დოლარი, რაც დაახლოებით 3,102 მლნ ლარია (2011 წლის ვალუტის კურსის მიხედვით)⁸³.

შინამეურნეობების დანაზოგები-ინვესტირების მაჩვენებლის გამოთვლა ხდება წმინდა საოპერაციო ბალანსსა (უჯრა S-G) და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზე (უჯრა S-R) დაყრდნობით. ამას გარდა, ვიცით, რომ მთლიანი კაპიტალის ფორმირება შეადგენს 6,407 მილიონ ლარს (უჯრა S-ჯამი). მაშასადამე შინამეურნეობების დანაზოგები-ინვესტირების მაჩვენებელი უდრის 2,687 მილიონ ლარს (ეს არის "ჩანართი" ოდენობა, რომელიც აბალანსებს სოციალური აღრიცხვის მატრიცას).

შინამეურნეობების დანახარჯებიდან ბოლო საჭირო ელემენტია უცხოეთში გაგზავნილი ფულადი გზავნილები (უჯრა R-H). საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2011 წელს ფული გადინების მაჩვენებელი შეადგენდა 169 მილიონ ლარს. დანარჩენი მსოფლიოც იღებს შემოსავალს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დამატებული ღირებულებით, 784 მლნ ლარის ოდენობით (უჯრა R-F), რაშიც შედის უცხოელთა მიერ მიღებული დივიდენდები და არაინვესტირებული მოგების ნაწილი. სხვა სიტყვებით, ეს გახლავთ 2011 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კაპიტალის გადინების დამატებული ღირებულების სავარაუდო მაჩვენებელი.

⁸³ საქართველოს ეროვნული ბანკი, 2011

4.3 სოციალური აღრიცხვის მატრიცის დისაგრეგაცია

სოციალური აღრიცხვის მატრიცა დაფუძნებულია 15 ეკონომიკური აქტივობისა და პროდუქტის რესურსებისა და გამოყენების ცხრილებზე (დანართი “დ”), როგორც აღწერილია ცხრილში 7.

ცხრილი 7: ეკონომიკური სექტორები (აქტივობები)

1	სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა
2	თევზჭერა და მეთევზეობა
3	სამთომშობვებითი მრეწველობა
4	დამამუშავებელი მრეწველობა
5	ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება
6	მშენებლობა
7	საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი
8	სასტუმროები და რესტორნები
9	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა
10	საფინანსო საქმიანობა
11	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა


12	სახელმწიფო მმართველობა
13	განათლება
14	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება
15	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა

ქვემოთ მოცემულ ქვესექტორებში ჩანს, თუ როგორაა აგრეგირებული სოციალური აღრიცხვის მატრიცაში თითოეული მონაცემი წარმოდგენილი.

დამატებული ღირებულება

თხუთმეტივე სექტორის მთლიანი დამატებული ღირებულება რესურსებისა და გამოყენების ცხრილებშია (დანართი “დ”) აღრიცხული, რომელშიც ცალ–ცალკე წარმოვადგენთ თვითდასაქმებულთა და დაქირავებული მუშახელის დამატებულ ღირებულებასა და კაპიტალის დამატებულ ღირებულებას. დაქირავებული მუშახელის დამატებული ღირებულება გამოითვლება საშუალო ხელფასის გამრავლებით თითოეულ სექტორში დაქირავებული მუშახელის რიცხვზე (საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით). იმავე მეთოდით გამოვთვალეთ თვითდასაქმებულთა დამატებული ღირებულება. სოფლის მეურნეობის სექტორი განსაკუთრებული შემთხვევაა, რადგან ჩვენი მიზანია შევადაროთ სხვადასხვა ეკონომიკური ინდიკატორი საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში. გარდა ამისა, დასაქმებულთა დიდი მაჩვენებელი ამ სექტორშია. სოფლის მოსახლეობის რეალური შემოსავლების ასახვისთვის, ვვარაუდობთ, რომ სოფლის მეურნეობის სექტორში თვითდასაქმებულთა 98% გამოიმუშავენს საარსებო მინიმუმს. დიაგრამაზე 18, გაშლილი სახითაა წარმოდგენილი 2011 წელს, საქართველოში სამუშაო ძალის მაჩვენებლები და მოცემულია ჩვენი ვარაუდის საფუძველი.

დიაგრამა 18: საქართველოში სამუშაო ძალის გადანაწილება 2011 წელს⁸⁴



დიაგრამა 18 გვიჩვენებს, რომ შინამეურნეობების გამოკითხვის მონაცემებზე დაყრდნობით, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია 881,921 ადამიანი, რაც სამუშაო ძალის 45%-ს შეადგენს, ხოლო დასაქმებული მოსახლეობის 53%-ს. თუმცა, აქედან მხოლოდ 2% წარმოადგენს დაქირავებულ მუშახელს, რომელთა საშუალო ხელფასი 392 ლარია. ამგვარად, სოფლის მეურნეობაში დაქირავებული მუშახელის დამატებულ ღირებულებას ვითვლით დაქირავებული მუშახელის რიცხვის საშუალო ხელფასზე გამრავლებით. თვითდასაქმებულთა შემთხვევაში საარსებო მინიმუმს ვიყენებთ თვითდასაქმებული მოსახლეობის დამატებული ღირებულების გამოსათვლელად, რადგან მათი უმეტესობა საარსებო მეურნეობას ეწევა. იმავე მეთოდს ვიყენებთ მეთევზეობასა და თევზჭერასთან მიმართებაში, რადგან აქაც უმეტესობა თვითდასაქმებულია. ჯამური დამატებული ღირებულებიდან, სამუშაო

⁸⁴ საქსტატი, 2011 წლის ინტეგრირებული შინამეურნეობების კვლევა

ძალის მთლიანი დამატებული ღირებულების გამოკლებით, ვიდრე კაპიტალის დამატებულ ღირებულებას. ამგვარად, სექტორებში, მთლიანობაში სამუშაო ძალის დამატებული ღირებულება 7,298 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო კაპიტალის დამატებული ღირებულება 13,678 მლნ ლარია. (ცხრილში 8 გაშლილია დაქირავებული მუშახელის, თვითდასაქმებულთა და კაპიტალის დამატებული ღირებულების მონაცემები)

ცხრილი 8: დამატებული ღირებულება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით⁸⁵ (მლნ ლარი), 2011

სექტორი	დამატებული ღირებულება		
	დაქირავებული მუშახელი	თვითდასაქმებულები	კაპიტალი
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და საჯაფო მეურნეობა	1416	90	333
მეთევზეობა	3	1	5
სამთომშობვებითი მრეწველობა	4	138	60
დამამუშავებელი მრეწველობა	105	395	2159
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	0	221	414
მშენებლობა	139	340	930
საბითუმო და საცალო ვაჭრობა	518	520	2453
სასტუმროები და რესტორნები	13	59	394
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	244	416	1504
საფინანსო საქმიანობა	14	261	259
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომსახურებისათვის მომსახურების სახელმწიფო მმართველობა	34	184	1564
სახელმწიფო მმართველობა	0	933	1510
განათლება	100	375	571
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	11	312	949

⁸⁵ საქსტატი, შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევა

კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	184	267	574
--	-----	-----	-----

შინამეურნეობების დისაგრეგაცია

შინამეურნეობების დანახარჯების (უჯრა C-H) დისაგრეგაცია სექტორების მიხედვით, საქსტატის 2011 წლის შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემებზე დაყრდნობით ვახდენთ. ამ ოპერაციაში 10 რეგიონია ჩართული: კახეთი, თბილისი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, ქვემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და მცხეთა-თიანეთი. ასევე, თითოეული რეგიონი დაყვავით სოფლისა და ქალაქის დასახლებებად და მთლიანობაში მივიღეთ შინამეურნეობების 20 კატეგორია.

ყველაზე მნიშვნელოვანი სექტორია სოფლის მეურნეობა, ამიტომ შედეგები ორმაგად მოწმდება. კერძოდ, შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემებიდან აღებულ "ConsPurch_03" ცხრილზე (დანართი "ე") დაყრდნობით გამოვთვალეთ COICOP საერთაშორისო სტანდარტის (5 ციფრიანი კოდები) სხვადასხვა აგროპროდუქტზე დახარჯული სრული ოდენობა. ასევე, სხვა ("tblExpenditures") ცხრილის (დანართი "ე") საფუძველზე გამოვთვალეთ საკვები პროდუქტებისა და არა-აღკოჰოლური სასმელების დანახარჯები (განათლების, ჯანმრთელობისა და სხვა სექტორების ჩათვლით) და აღმოჩნდა, რომ დანახარჯების გადანაწილება იმავენაირად იყო წარმოდგენილი. ამგვარად, მოვიპოვეთ დანახარჯების წონები, რომელთა საშუალებითაც შინამეურნეობების მთლიანი დანახარჯების გადანაწილება განვახორციელეთ შინამეურნეობების სხვადასხვა კატეგორიაზე. იგივე მეთოდი გამოვიყენეთ სხვადასხვა სამომხმარებლო პროდუქტსა და მომსახურებაზე სხვა დანახარჯების შინამეურნეობების მიხედვით დისაგრეგაციისთვის.

შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევიდან (ცვლადი „უცხოეთიდან“ აჩვენებს შემოსავალს უცხოურ ვალუტაში) აღებული შინამეურნეობების შემოსავლების ცხრილზე დაყრდნობით გამოვთვალეთ უცხოეთიდან შემოსული ფულადი გზავნილების პროცენტული გადანაწილება სოფლად და ქალაქში ყველა რეგიონის ით მასშტაბით.

შინამეურნეობების შემოსავლები და დანახარჯები

სახელმწიფოს მიერ შინამეურნეობებზე გაცემული ტრანსფერების (უჯრა H-G) დისაგრეგაციისათვის „tblincomes“ ცხრილიდან ავიღეთ ცვლადი “pensstipdaxm”, რომელიც აერთიანებს პენსიებს და სახელმწიფოს მიერ ოჯახებზე გაცემულ დახმარებებს.

შრომის ფაქტორი მთლიანად შინამეურნეობებს მივანიჭეთ, ხოლო კაპიტალის ფაქტორი გადანაწილდა შინამეურნეობებზე, სახელმწიფოსა და დანარჩენ მსოფლიოზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფოს საკუთრებიდან და სახელმწიფოს კუთვნილი კომპანიების დივიდენდებიდან მიღებული შემოსავალი 417 მილიონ ლარს შეადგენდა, რაც სახელმწიფოს კაპიტალის ფაქტორად დავაფიქსირეთ. ასევე, დანარჩენი მსოფლიოც იღებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კაპიტალის დამატებულ ღირებულებას.

ფაქტორული შემოსავლის დისაგრეგირებისთვის (უჯრა H-F), დასაწყისში განვაცალკევეთ სამუშაო ძალის დამატებული ღირებულება საქართველოს ყველა რეგიონში სოფლებისა და ქალაქების მიხედვით თვითთადასაქმებულთა და დაქირავებული მუშახელის ფულად შემოსავლებზე დაკვირვებით. შემდეგ იმავე მიდგომით გამოვთვალეთ კაპიტალის დამატებული ღირებულება შინამეურნეობების თითოეული ჯგუფისთვის.

გადასახადები მოცემული გვაქვს შემდეგ კატეგორიებად: დამატებული ღირებულების გადასახადი, იმპორტის გადასახადი, აქციზის გადასახადი, სუბსიდიები და სხვა გადასახადები. ამ გადასახადების ხელახალი გადანაწილება სექტორებზე მოვიპოვეთ საქსტატიდან (მოთხოვნის საფუძველზე). მთლიანობაში, სახეზეა 2,784 მლნ ლარის დამატებითი ღირებულების გადასახადი, 615 მლნ ლარის აქციზის გადასახადი, 93 მლნ ლარის იმპორტის გადასახადი და 124 მლნ ლარის სუბსიდიები (სუბსიდიების გადანაწილება სექტორებზე მოცემულია საქსტატის

რესურსებისა და გამოყენების ცხრილში⁸⁶). შინამეურნეობების მიერ გადახდილი დანარჩენი გადასახადები (2,432 მლნ ლარი) გადანაწილდა სოციალური აღრიცხვის მატრიცაში მოცემული შინამეურნეობების სხვადასხვა ჯგუფში შემავალი დაქირავებული მუშახელის შემოსავალზე დაყრდნობით.

მოვახდინეთ საზღვარგარეთ გასული თანხების (უჯრა R-H) ჩაშლა სსენებული 10 რეგიონის სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად. გამგზავნთა შესახებ მონაცემები არ არსებობს.

შინამეურნეობების მიერ სხვა შინამეურნეობებზე გაცემული ტრანსფერები (უჯრა H-H) ჩაშლილია შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევის მონაცემებიდან აღებული ცვლადის– „ახლობლებისაგან“ გამოყენებით, რომელშიც ასახულია ახლობელ-ნათესავთაგან შემოსული შემოსავალი. პირველ რიგში, შინამეურნეობების თითოეული ჯგუფისთვის დავაჯამეთ სხვა შინამეურნეობებიდან შემოსული თანხები, რათა მიგვეღო შემოსავლების ანგარიშის ჯამური მაჩვენებელი. შემდეგ, მოსახლეობის წილის მაჩვენებელზე დაყრდნობით ხელახლა გადანაწილდა ეს ოდენობები შინამეურნეობების ანგარიშების სვეტში. ამგვარად გამოვთვალეთ შინამეურნეობების ერთი ჯგუფიდან სხვა ჯგუფზე გაცემული თანხის ოდენობა.

ბოლოს, მოვახდინეთ ვაჭრობისა და ტრანსპორტის ზღვრული მაჩვენებლების ჩაშლა თითოეულ პროდუქტთან მიმართებაში იმპორტის, ექსპორტისა და შინა მოხმარების მაჩვენებლების პროპორციულად.

სოციალური აღრიცხვის მატრიცა თავისი რთული სტრუქტურიდან გამომდინარე ყოველთვის საჭიროებს დაბალანსების პროცედურას. მატრიცა აერთიანებს მონაცემებს სხვადასხვა წყაროებიდან. შედეგად შემოსავლები და დანახარჯები ხშირად ერთმანეთისაგან მცირედით განსხვავდება. თუნდაც მიზერული მათემატიკური განსხვავებები მოდელის არასწორად მუშაობას განაპირობებს. შესაბამისად, დაბალანსების პროცედურა უზრუნველყოფს, რომ მატრიცაში

⁸⁶ http://geostat.ge/?action=page&p_id=739&lang=geo

შემაჯავლი თითოეული სვეტის მნიშვნელობა ემთხვეოდეს შესაბამისი სტრიქონის მნიშვნელობას.

საერთო ჯამში, ჩვენი კვლევა ეფუძნება სოციალური აღრიცხვის მატრიცას, რომელიც შეიცავს თხუთმეტ აქტივობასა და თხუთმეტ სამრეწველო პროდუქტს, ოცი შინამეურნეობის ჯგუფს, ორი სახის ფაქტორს (სამუშაო ძალა და კაპიტალი), ხუთი ტიპის გადასახადს (სუბსიდიების ჩათვლით) და სამი ტიპის ტრანსპორტირების ზღვრულ მაჩვენებელს.

5 საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში ინვესტიციების მოდელირების შედეგები

ჩვენ სიმულაციურად ავსახეთ ექვსი სხვადასხვა სცენარი, რომელთა შედეგებიც საწყის სცენარს, ინვესტიციის განხორციელებამდე არსებულ სურათს ედარება. პირველ ხუთ სცენარში გამოთვლილია შედეგები ფონდის სრული კაპიტალის ხუთ სხვადასხვა სექტორში ინვესტიციის შემთხვევაში. ამით უფრო ნათლად ჩანს თითოეული სექტორის გავლენა მთლიანად ეკონომიკაზე. მეექვსე სცენარი წარმოადგენს კომბინირებული ინვესტიციის სტრატეგიას. პროცენტული გადანაწილება ავიღეთ საქართველოს თანაინვესტირების ფონდის მიერ დაანონსებული, თითოეულ ამ სექტორში სავარაუდო ინვესტიციების მოცულობის შესაბამისად⁸⁷.

როგორც მოსალოდნელია, ინვესტიცია თითოეულ კონკრეტულ სექტორში ხელს შეუწყობს ამ სექტორის მწარმოებელთა კონკურენტუნარიანობის გაზრდას. გაიზრდება ამ ფირმების წარმოება და შესაბამისად, მათი მოთხოვნა კაპიტალზე, სამუშაო ძალასა და შუალედური მოხმარების ნედლეულზე, რაც საბოლოო ჯამში მთელს ეკონომიკაზე აისახება.

იქიდან გამომდინარე, რომ მოდელი სტატიკურია, შედეგების დროში განაწილებას არ იძლევა და ნებისმიერ ეფექტი საშუალოვადიან პერიოდზე იგულისხმება. საქართველოს მსგავსი განვითარებადი ქვეყნებისთვის საშუალოვადიანი პერიოდი დაახლოებით 5-6 წელს გულისხმობს. არ არის მარტივი იმის ახსნა, თუ რატომ იძლევა მოდელი ამა თუ იმ შედეგს. ყველა ეს სექტორი ურთიერთგადაჯაჭვულია, თითოეული მათგანი თავის წარმოებაში იყენებს სხვა სექტორების პროდუქტს და ა.შ. ამასთან, მოდელის დაშვების მიხედვით მუშახელი არის მობილური/მოქნილი ქალაქსა და სოფელს შორის; ასევე არ გვყავს სექტორზე მიბმული მუშახელი, ასე რომ, მუშახელს თავისუფლად შეუძლია ერთი სექტორიდან მეორეში გადასვლა. მოდელში დავუშვიტ, რომ სამუშაო ძალა სრულიად მობილურია მთელი ქვეყნის მასშტაბით, რადგან სახეზე გვაქვს მცირე ზომის ეკონომიკა გეოგრაფიული

⁸⁷ <http://www.gcfund.ge/en/strategy-objectives>

მასხასიათებლებისა და მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით. ასევე დაეუშვით, რომ ადგილმდებარეობის, ინფრასტრუქტურისა და საკანონმდებლო ჩარჩოების გამო კაპიტალი ნაკლებ მობილურია.

თანაინვესტირების ფონდის მსგავსად, ინვესტირების სცენარებისთვის შერჩეული სექტორებია: სოფლის მეურნეობა, დამამუშავებელი მრეწველობა, ენერჯეტიკა (ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება მიწოდება), სასტუმროები და რესტორნები, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. პირველი ხუთი სიმულაცია მდგომარეობს 1 მილიარდი ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელებაში თითოეულ ამ სექტორში. ბოლო სიმულაციაში თანხა ნაწილდება ამ ხუთ სექტორზე (ცხრილი 9).

ცხრილი 9: სცენარების აღწერა

	საყურადღებო სექტორი	სცენარი
სცენარი 1	სოფლის მეურნეობა (აგრ.)	1 მილიარდი ლარის ინვესტიცია
სცენარი 2	დამამუშავებელი მრეწველობა (მრეწ.)	1 მილიარდი ლარის ინვესტიცია
სცენარი 3	ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება მიწოდება (ელ.)	1 მილიარდი ლარის ინვესტიცია
სცენარი 4	სასტუმროები და რესტორნები (სასტ.)	1 მილიარდი ლარის ინვესტიცია
სცენარი 5	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (ტრან.)	1 მილიარდი ლარის ინვესტიცია
სცენარი 6	აგრ. მრეწ. ელ. სასტ. ტრან.	1 მილიარდი ლარის დივერსიფიცირებული ინვესტიცია: აგრ: 8%, მრეწ: 23%, ელ.: 46%, სასტ.: 15%, ტრან: 8%

ინვესტირების სტრატეგიის წარმატება არაერთ სოციო-ეკონომიკურ ასპექტზე უნდა აისახოს. ქვემოთ ჩამოთვლილია ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგები. (1)

უმუშევრობის დონის ცვლილება, (2) ვაჭრობის მაჩვენებლის შეცვლა, (3) ნომინალური მშპ-ს ცვლილება და (4) რეალური ხელფასების ცვლილება. შედეგები ასახულია ცხრილში 9.

უმუშევრობის მაჩვენებელზე ასახული შედეგები: სცენარი 1. სამუშაო ძალაზე დიდი მოთხოვნის გამო სოფლის მეურნეობაში ინვესტირება ამცირებს უმუშევრობის დონეს 15.1%-დან 10.3%-მდე, უმუშევრობის დონე სოფლებში მცირდება 6.5%-დან 5%-მდე, ხოლო ქალაქში – 26.5%-დან 17.4%-მდე.

სცენარი 2. დამამუშავებელ მრეწველობაში ინვესტირება საუკეთესო შედეგს იძლევა და უმუშევრობის მაჩვენებელს 7.1%-მდე ამცირებს. ქალაქად უმუშევრობა 15.8%-მდე იკლებს, ხოლო სოფლად უმუშევრობის პრობლემა თითქმის აღმოიფხვრება (0.6%). ასეთი მასშტაბური გავრცობითი ეფექტის ქონას სამუშაო ძალის მობილურობა განაპირობებს.

სცენარი 3. ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება განაწილებაში ჩადებული ინვესტიციები უმუშევრობას 10.8%-მდე ამცირებს. ამ მაჩვენებლით სექტორი ერთ-ერთი ყველაზე არამიმზიდველია.

სცენარი 4. რესტორნებსა და სასტუმროებში ინვესტირებას ყველაზე ნაკლები გავლენა აქვს უმუშევრობის პრობლემის მოგვარებაზე. სავარაუდოდ, ამის მიზეზია ის, რომ ეს სექტორი ეკონომიკის სხვა სექტორებთან ნაკლებადაა დაკავშირებული, რაც გავრცობითი ეფექტის პოტენციალზე უარყოფითად აისახება. მაგალითად, დამამუშავებელი მრეწველობა ფართოდ მოიხმარს სოფლის მეურნეობის პროდუქტს როგორც შუალედური მოხმარების ნედლეულად და შესაბამისად ინვესტიციის ჩადება დამამუშავებელ მრეწველობაში სოფლის მეურნეობის სექტორზეც დადებითად აისახება. თუმცა, ეს არ აკნინებს ტურიზმის სექტორის მნიშვნელობას. შედეგების ინტერპრეტაციაა მნიშვნელოვანი და ცხადია ტურიზმი უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ სასტუმროები და რესტორნები. თუნდაც იმავე ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის გარკვეული დარგები ტურიზმის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილებია.

სცენარი 5. ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში ინვესტირება მეორე საუკეთესო ვარიანტია უმუშევრობის შემცირების თვალსაზრისით. უმუშევრობის დონე 7.6%-მდე იკლებს. სცენარი 6 – ინვესტიციის დივერსიფიცირება მესამე ადგილზეა საუკეთესო ვარიანტებს შორის. უმუშევრობა დივერსიფიცირებული პორტფელის შემთხვევაში 8.9%-მდე მცირდება.

ცხრილი 10: უმუშევრობის მაჩვენებელზე ასახული შედეგები

	საქართველო	ქალაქი	სოფელი
საწყისი	15.1%	26.5%	6.5%
სცენარი 1 (აგრ.)	10.3%	17.4%	5.0%
სცენარი 2 (მრეწ.)	7.1%	15.8%	0.6%
სცენარი 3 (ელ.)	10.8%	19.8%	4.0%
სცენარი 4 (სასტ.)	12.9%	22.7%	5.6%
სცენარი 5 (ტრან.)	7.6%	16.6%	0.8%
სცენარი 6 (დივერსიფ.) :	8.9%	18.8%	1.5%


ვაჭრობაზე ასახული შედეგები: დამამუშავებელ მრეწველობაში ინვესტირება საუკეთესო შედეგს გვაძლევს ვაჭრობის კუთხით: ექსპორტი 41%-ით, ხოლო იმპორტი – 11%-ით იზრდება. მეორე საუკეთესო ალტერნატივაა ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში ინვესტირება, რაც ექსპორტს 33%-ით, ხოლო იმპორტს 8%-ით ზრდის. კომბინირებული ინვესტიციის შემთხვევაში კი (სცენარი 6) ექსპორტი 24%-ით, ხოლო იმპორტი 8%-ით იზრდება. რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, ამ სექტორში ინვესტიციები 19%-ით ზრდის ექსპორტს, ხოლო იმპორტი 7%-ით მატულობს.

ცხრილი 11. ვაჭრობაზე ასახული შედეგები

	% ცვლილება ექსპორტში	% ცვლილება იმპორტში
სცენარი 1 (აგრ.)	19%	7%
სცენარი 2 (მრეწ.)	41%	11%
სცენარი 3 (ელ.)	17%	6%
სცენარი 4 (სასტ.)	13%	6%
სცენარი 5 (ტრან.)	33%	8%
სცენარი 6 (დივერსიფ.)	24%	8%

მშპ-ზე ასახული შედეგები: დამამუშავებელ მრეწველობაში და ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში ინვესტირებას თითქმის ერთნაირი შედეგი აქვს ნომინალურ მშპ-ზე. ორივე შემთხვევაში მშპ იზრდება 14–15%-ით. ყველაზე ნაკლებ ეფექტურია სასტუმროებსა და რესტორნებში ინვესტირება, რაც მშპ-ს მხოლოდ 3%-ით ზრდის. სოფლის მეურნეობაში ინვესტირება ისეთივე შედეგიანია, როგორც დივერსიფიცირებული ინვესტირება. ორივე შემთხვევაში ნომინალური მშპ 8%-ით იმატებს.

დიაგრამა 19: ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის პროცენტული ცვლილება



რეალურ ხელფასებზე ასახული შედეგები: დამამუშავებელ მრეწველობაში ჩადებული ინვესტიცია რეალურ ხელფასებს 6.9%-ით ზრდის და ამდენად საუკეთესო ალტერნატივაა. მეორე ადგილზეა ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში ინვესტირება 6.1%-იანი მატების მაჩვენებლით. ასეთი შედეგი არაა გასაკვირი, რადგან უმუშევრობის პრობლემის მოგვარებაზე ყველაზე დიდ როლს თამაშობს დამამუშავებელი მრეწველობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. სოფლის მეურნეობის სექტორში ჩადებული ინვესტიციები დაახლოებით 5%-ით ზრდის რეალურ ხელფასს.

ცხრილი 12: რეალური ხელფასის ზრდა

	% ცვლილება რეალურ ხელფასში
სცენარი 1 (აგრ.)	4.9%
სცენარი 2 (მრეწ.)	6.9%
სცენარი 3 (ელ.)	2.9%
სცენარი 4 (სასტ.)	2.1%
სცენარი 5 (ტრან.)	6.1%
სცენარი 6 (დივერსიფ.)	4.0%

შევისწავლეთ ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის გამოშვებასა და ფასებზე ასახული შედეგებიც. (იხილეთ მონაცემები დანართში). მათ შორის მნიშვნელოვანია აღინიშნოს შემდეგი:

- სასტუმროებსა და რესტორნებში ინვესტიციას ყველაზე ნაკლები გავრცობითი ეფექტი აქვს. მე-4 სცენარის მიხედვით, ამ სექტორის გამოშვება გაზრდილია 128%-ით, ხოლო სხვა სექტორებში გამოშვების მაჩვენებელზე შესამჩნევი ცვლილებები არ აღინიშნება (მეთევზეობის გარდა, სადაც გამოშვება 34%-ით იზრდება, მაგრამ ამ სექტორის მცირე მასშტაბების გათვალისწინებით ეს ცვლილება ვერ ჩაითვლება დიდ მატებად). გავრცობითი ეფექტი ფასებთან მიმართებაშიც არ აღინიშნება;

- დამამუშავებელ მრეწველობაში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში ჩადებული ინვესტიცია ყველაზე მიმზიდველი ალტერნატივებია წარმოების ზრდის თვალსაზრისით. დამამუშავებელ მრეწველობაში ინვესტირების შემთხვევაში გამოშვება ხუთივე სექტორში 20%-ზე მეტად იზრდება;

- სოფლის მეურნეობაში ინვესტირება ამ სექტორის გამოშვებას 31%-ით ზრდის. პარალელურად იზრდება დამამუშავებელი მრეწველობის გამოშვება 19%-ით. აგროპროდუქტზე ფასები კლებულობს 17%-ით, ხოლო სხვა სექტორების პროდუქტებზე ფასების ცვლილება მერყეობს 1-2%-ს შორის;

- კომბინირებული ინვესტიცია ხელს უწყობს სასაქონლო ფასების დაბლა დაწევას. იგივე ეფექტი აქვს ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წამოება განაწილების სექტორში ინვესტირებას. საპირისპირო შედეგებია ასახული სხვა სცენარებში. ამგვარი სურათი ბუნებრივია, რადგან ელექტროენერჯია უმნიშვნელოვანესი რესურსია ყველა სახის წარმოებისთვის.

თუ დაგაკვირდებით ინვესტიციის შედეგებს სხვადასხვა ინდიკატორებზე (მშპ, სამუშაო ადგილების შექმნა, სახელფასო განაკვეთები, სავაჭრო ბალანსი), მათ შორის, შესამჩნევია გარკვეული ალტერნატივები. თუკი ინვესტიცია ერთ-ერთ სექტორში მშპ-ს მაჩვენებელს მნიშვნელოვნად ზრდის, განსხვავებულ სექტორში ინვესტიციას ფასების კლების თვალსაზრისით აქვს საუკეთესო მაჩვენებელი. მე-6 ცხრილში მოცემულია სცენარების შედეგები და შეფასება 1-დან (საუკეთესო) 6-მდე (ყველაზე ცუდი).

ყველა მაკროეკონომიკური მაჩვენებლის გათვალისწინებით, საუკეთესო ვარიანტებია დამამუშავებელ მრეწველობაში ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში ინვესტირება (სცენარი 2 და 5). სხვა სცენარებთან შედარებით, ორივე შემთხვევაში მოცემულია უმუშევრობის დაბალი მაჩვენებელი, მაღალი სახელფასო განაკვეთები, მშპ-სა და სავაჭრო ბალანსის უფრო მაღალი მაჩვენებლები სხვა სცენარებთან შედარებით.

მე-3 და მე-4 სცენარები სოფლის მეურნეობაში ინვესტირებასთან შედარებით უფრო ცუდ შედეგებს გვაძლევს. მე-6 ცხრილში ყველა მაჩვენებელი შედარებით უკეთესია აღნიშნულ სცენარებთან შედარებით. მშპ-ს მაჩვენებელის მიხედვით, კომბინირებული ინვესტირების შემთხვევა ოდნავ უკეთესია, ვიდრე სცენარი 1 (სოფლის მეურნეობაში ინვესტირება), მაგრამ დასაქმების თვალსაზრისით ნაკლებ შედეგიანია.

ცხრილი 13: რეიტინგი (1- საუკეთესო, 6- ყველაზე ცუდი)

	უმუშევრობა	სახელფასო განაკვეთები	მშპ	სავაჭრო ბალანსი
სცენარი 1 (აგრ.)	4	3	3	4
სცენარი 2 (მრეწ.)	1	1	1	1
სცენარი 3 (ელ.)	5	5	5	5
სცენარი 4 (სასტ.)	6	6	6	6
სცენარი 5 (ტრან.)	2	2	2	2
სცენარი 6 (დივერსიფ.)	3	4	4	3

მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ექვსი სცენარი განვიხილეთ, ნაშრომში ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში რესურსების გადანაწილების ოპტიმალური ვარიანტის დანახვა მაინც შეიძლება. ამჟამინდელი მოდელის შესაძლებლობების გასაუფჯობესებლად უფრო დეტალური კვლევაა საჭირო ისეთი საკითხების გათვალისწინებით, როგორცაა სამუშაო ძალის არასრული მობილურობა, სამუშაო ძალის მიგრაცია და სხვა.

6 სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელებული ინვესტიციების დეტალური შედეგები

ამ თავში განვიხილავთ ზოგადი წონასწორული მოდელის დეტალურ შედეგებს სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელებული ინვესტიციებისთვის. კერძოდ, რეგიონალურ ჭრილში, რურარულ და ურბანულ დონეზე ვნახავთ უმუშევრობის დონეებს, ასევე, სექტორულ ჭრილში ვაჩვენებთ შედეგებს მთლიან წარმოებაზე, ფასებზე, ექსპორტსა და იმპორტზე.


უმუშევრობა. სოფლად უმუშევრობის პრობლემა ოფიციალურ სტატისტიკაში ნაკლები სიმწვავეით აღინიშნება, თუმცა, როგორც წინა თავებში ვახსენეთ, რეალობა შორსაა ოფიციალური სტატისტიკისგან, რომელიც თუნდაც მიზერული შემოსავლის მქონე, არაეფექტურად თვითდასაქმებულებსაც დასაქმებულთა ჯგუფს მიათვლის და შესაბამისად, უმუშევრობის დაბალ მაჩვენებელზე გადის.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური აწარმოებს სამუშაო ძალის სტატისტიკას, კვარტალური ინტეგრირებული შინამეურნეობების კვლევაზე (IHS) დაყრდნობით. გამოკითხვაში მონაწილეობს შინამეურნეობის ყველა წევრი 15 წლის ზემოთ. შინამეურნეობების კვლევა არის ერთადერთი წყარო, რომელიც შესაბამისი კვლევის დიზაინის გამოყენებით, ფაქტობრივად ფარავს მთელ მოსახლეობას ქვეყანაში, ეკონომიკური საქმიანობის ყველა სექტორსა და ყველა კატეგორიის მუშაკს. საქსტატის მიხედვით, ადამიანი არის დასაქმებული თუ მას აქვს შესრულებული რაიმე სამუშაო ქვეყნის შიგნით მინუმუმ 1 საათის განმავლობაში, გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში, მოგების ან სხვა ტიპის შრომითი კომპენსაციის მისაღებად. „სამუშაო“ ნიშნავს ნებისმიერი სახის საქმიანობას, თუმცა, არ შემოიფარგლება შემდეგი საქმიანობებით: საფერმერო, ნადირობა, თევზაობა ან ტყის ხილის, სოკოს, სამკურნალო მცენარეების შეგროვება და ა.შ. სოფლის მეურნეობის ნებისმიერი პროდუქტის დამუშავება - სიმინდის დაფქვა, ღვინის გაკეთება, ყველის ამოყვანა, კარაქის დამზადება, პროდუქტების დაკონსერვება და ა.შ. კერვა, ქსოვა, ცოცხების და კალათები კეთება და სხვ.. თუნდაც უსასყიდლოდ და ანაზღაურების გარეშე რომ ჰქონდეს პიროვნებას ესა თუ

ის საქმიანობა განხორციელებული საკუთარ ფერმაში, ან მეზობლის ან ნათესავის დასახმარებლად, იგი დასაქმებულად მიიჩნევა.


მიუხედავად მეთოდოლოგიური არასრულყოფილებისა, საგულისხმოა რომ უმუშევრობის მაჩვენებელი არ იცვლება და კვლავ მაღალი რჩება ბოლო ათწლეულის განმავლობაში. ნაშრომში აგებული ზოგადი წონასწორობის მოდელი გვაძლევს შესაძლებლობას დავინახოთ, თუ რა გავლენა ექნება სოფლის მეურნეობის სექტორში ერთი მილიარდი ლარის ოდენობის ინვესტიციებს საშუალოვადიან პერიოდში. წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ მოდელში გაკეთებულია დაშვება მუშახელის მობილურობის თაობაზე, რაც გულისხმობს, რომ მუშახელს შეუძლია გადაადგილდეს რურალური დასახლებიდან ურბანულ დასახლებაში ან თუნდაც ერთი რეგიონიდან მეორეში. სწორედ ამიტომ, სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ინვესტიციები გავლენას ახდენს არა მარტო სოფლად დასაქმებაზე არამედ ურბანულ უმუშევრობაზეც.

დიაგრამა 20: სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ინვესტიციების შედეგად მიღებული უმუშევრობის ცვლილება (პროცენტული პუნქტი)



უმუშევრობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კლება თბილისში აღინიშნება, სადაც უმუშევრობა 10 პროცენტული პუნქტით მცირდება 30%-დან 20%-მდე (განსხვავება თბილისის რურარულ და ურბანულ დასახლებებს შორის მიზეზულია). ყველაზე გამოხატული ეფექტი აჭარაში ქალაქად უმუშევრობაზეა, სადაც 11 პროცენტული პუნქტით არის უმუშევრობა შემცირებული, თუმცა, აქ უმუშევრობა კვლავ ყველაზე მაღალი, 27% რჩება. უმუშევრობა 4%-მდეა შემცირებული კახეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, სამცხე ჯავახეთის, აჭარის, გურიის და იმერეთის რურარულ დასახლებებში. უმუშევრობის დონეები მოცემულია დიაგრამაზე.


დიაგრამა 21: სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ინვესტიციების შედეგად მიღებული უმუშევრობის დონეები რეგიონალურ ჭრილში, სოფლისა და ქალაქის მიხედვით



მთლიანი წარმოება და ფასები. როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელებული ინვესტიციები გავლენას ახდენს არა მარტო ამ სექტორის წარმოების მოცულობაზე, არამედ იმ სექტორებზეც, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქტს თავიანთ წარმოებაში იყენებენ. მაგალითისთვის, საქსტატის ოფიციალური მონაცემებით, დამამუშავებელმა მრეწველობამ 2011 წელს 1,443 მლნ ლარის ღირებულების სოფლის მეურნეობის პროდუქტი გამოიყენა, სასტუმროებმა და რესტორნებმა 69 მლნ ლარის, ხოლო

მთავრობამ სოფლის მეურნეობის სექტორისაგან⁸⁸ 44 მლნ ლარის ღირებულების პროდუქტი და მომსახურება შეიძინა.

დიაგრამა 22: სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ინვესტიციების შედეგად მიღებული წარმოების პროცენტული ცვლილება ეკონომიკური სექტორების მიხედვით.




სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელებული ინვესტიციები ამ სექტორის წარმოებას 31%-ით ზრდის, რისი დადებითი გარეგანი ეფექტი ყველაზე მკაფიოდ დამამუშავებელ მრეწველობაზე აისახება, რომლის წარმოების მოცულობაც ჩვენი მოდელის მიხედვით 19%-ით იზრდება. ასევე, მნიშვნელოვან გავლენას ვხედავთ ვაჭრობის სფეროში. საკამათო არ არის ის ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობა ბოლო

⁸⁸ სოფლის მეურნეობის სექტორში შედის ნადირობა და სატყეო მეურნეობა

პერიოდში, საქართველოში, ძირითადად, საოჯახო მეურნეობებისთვის ნატურალური თვითმოხმარების ფუნქციას ასრულებდა. ამ სექტორში მიმართული ინვესტიციები და რასაკვირველია, წარმოების მოცულობას ზრდის და რაც უფრო მთავარია, როგორც მოდელი გვიჩვენებს დამამუშავებელ მრეწველობას და კომერციალიზაციას უწყობს ხელს. სოფლის მეურნეობაში ინვესტიციები არსებითია მისი ზრდის უზრუნველყოფისთვის და იგი განსაზღვრავს სხვა დარგებთან მის ურთიერთქმედებას. სოფლის მეურნეობის ზრდა ქმნის მოთხოვნას სერვისებსა და მრეწველობის განვითარებაზე, მისი წარმოების ზრდა შესაბამისად აისახება მრეწველობაზე, ვაჭრობასა და სხვა სექტორებზე.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდა ამცირებს მის ფასს, რაც დადებითად აისახება მოსახლეობის რეალურ შემოსავალზე. ჩვენი მოდელის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, სოფლის მეურნეობაში ინვესტიციები 17% - ით შეამცირებს აგროპროდუქტების ფასებს. ერთი მხრივ, გაიაფებული აგროპროდუქტები შემცირებისკენ უბიძგებენ იმ სექტორთა ფასებსაც, რომლებიც აგროპროდუქტებს შუალედური მოხმარებისთვის იყენებენ. მეორე მხრივ, გაზრდილი რეალური შემოსავლის პირობებში, იზრდება მოთხოვნა სხვადასხვა სექტორის პროდუქტზე, რაც ფასების ზრდას უწყობს ხელს. საბოლოო ჯამში ეს ორი ეფექტი ერთმანეთს აბალანსებს და ზოგადი წონასწორობის ჩვენი მოდელის მიხედვით 2%-იან ინტერვალში მერყეობს სხვა სექტორების ფასები. მაგალითად, სასტუმროებისა და რესტორნების ფასები მცირდება 2%-ით რადგან ისინი არიან ერთ-ერთი მსხვილი პირდაპირი მომხმარებლები სოფლის მეურნეობის პროდუქტების. დაახლოებით 1%-ით მცირდება დამამუშავებელი მრეწველობის ფასები. თუმცა, 1-2%-ით იზრდება ისეთი სექტორების ფასები როგორცაა, განათლება, ჯანდაცვა, საფინანსო საქმიანობა და სხვა. დეტალური შედეგები იხილეთ დიაგრამა 23.

დიაგრამა 23: სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ინვესტიციების შედეგად მიღებული ფასების პროცენტული ცვლილება ეკონომიკური სექტორების მიხედვით




სოფლის მეურნეობას გაცილებით მჭიდრო კავშირი აქვს სხვა დარგებთან, ვიდრე დანარჩენ დარგებს ერთმანეთთან, რაც განპირობებულია იმით, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტი უპირატესად იყიდება ადგილობრივ ბაზარზე, სოფლის მეურნეობაში გამოყენებული შუალედური რესურსები, რომელსაც სხვა დარგები აწარმოებენ, ნაკლებად იმპორტირებადია. ასევე, სხვა დარგებიც აქტიურად იყენებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს შუალედურ რესურსებად. სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტსა და ექსპორტს შეაქვს თავისი კორექტივები, თუმცა, ეს ყველაფერი, როგორც ვნახეთ, ვერ ამცირებს სოფლის მეურნეობის როლსა და კავშირს სხვა დარგებთან.

იმპორტი და ექსპორტი. საბჭოთა პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებული სავაჭრო ურთიერთობები, განსაკუთრებით რუსეთთან, რომელიც ითვლებოდა საქართველოს უპირველეს სავაჭრო პარტნიორად, ემყარებოდა ღვინის, ალკოჰოლური სასმელების, მინერალური წყლის, ხილისა და ბოსტნეულის

ექსპორტს. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გამწვავებასთან ერთად, რუსეთის ფედერაციის მიერ სხვადასხვა ქართულ პროდუქტზე ექსპორტის შეზღუდვის შედეგად, შემცირდა ვაჭრობა რუსეთთან. 2005 წელს, რუსეთის ემბარგომდე, რუსეთში იყიდებოდა ხილისა და სუბტროპიკული კულტურის 21%. ამჟამად, ამ პროდუქტების ექსპორტი ძირითადად უკრაინასა და ბელარუსში ხორციელდება. ამდენად, საგარეო ვაჭრობაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წილის განუხრელი შემცირება სოფლის მეურნეობის დაბალკონკურენტუნარიანობას ავლენდა და, მიუხედავად იმისა, რომ ამ დარგის მნიშვნელობა და როლი ქვეყნის განვითარებაში საკმაოდ დიდი იყო, მისი ბაზრების დივერსიფიკაცია არ მიმდინარეობდა და მას ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განვითარებაში ყველაზე ნაკლები ყურადღება ექცეოდა.


სამწუხაროდ, ჩვენ მიერ აგებული მოდელით ვაჭრობის დივერსიფიკაციის შეფასება არ შეგვიძლია, თუმცა გათვლები ნათლად გვიჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ინვესტიციები ზრდის სექტორის პროდუქტიულობას და მის კონკურენტუნარიანობას, რაც ექსპორტის ზრდით გამოიხატება. ზოგადი წონასწორობის მოდელის გათვლებით, სოფლის მეურნეობის ექსპორტი საშუალოვადიან პერიოდში 70%-ით გაიზრდება. მიღებული შედეგი პასუხს სცემს სკეპტიციზმს იმის შესახებ, თუ რა რესურსი და ინვესტიციები სჭირდება დარგის კრიზისიდან გამოყვანას, რამდენად რეალურია, დღევანდელი თავისუფალი გლობალური კონკურენციის პირობებში, ამ დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლება. მოდელის მიხედვით, სექტორების ერთმანეთზე გადაჯაჭვულობის გავლენით იზრდება სხვა სექტორების კონკურენტუნარიანობაც, როგორც უკვე ვნახეთ, იზრდება მათი წარმოების მოცულობა და იზრდება ექსპორტიც. მაგალითად, სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების ჩადება დამამუშავებელი წარმოების პროდუქტების ექსპორტს 21%-ით ზრდის. სასტუმროებისა და რესტორნების სერვისის ექსპორტი 11%-ით იზრდება და ა.შ.

დიაგრამა 24: სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ინვესტიციების შედეგად მიღებული ექსპორტის პროცენტული ცვლილება



სოფლის მეურნეობაში მიმართული ინვესტიციები, ამ დარგის კონკურენტუნარიანობას პირველ რიგში, ადგილობრივ ბაზარზე ზრდის, რაც იმპორტირებული პროდუქტების ჩანაცვლებაში აისახება. მოდელის მიხედვით, აგროპროდუქტების იმპორტი 15%-ით მცირდება. თუმცა, გაზრდილი შემოსავლების ხარჯზე, იზრდება სხვა სექტორთა პროდუქტებისა და მომსახურების იმპორტი. მაგალითად, იზრდება მოთხოვნა სოფლის მეურნეობაში გამოყენებული მანქანა-დანადგარებზე, რომლებიც ადგილობრივად არ იწარმოება, შესაბამისად, ხდება მათი იმპორტი.

დიაგრამა 25: სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ინვესტიციების შედეგად მიღებული იმპორტის პროცენტული ცვლილება



დასკვნები

უდავოა, რომ სოფლის მეურნეობა ის დარგია, რომელსაც არსებითი ადგილი უკავია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ასევე, ერთგვაროვანია აზრი იმის შესახებ, რომ საჭიროა ამ დარგის კომერციალიზაციის ხელშეწყობა და რომ საქართველოში სიღარიბის დაძლევა ამ დარგის განვითარების გარეშე შეუძლებელია. თუმცა სკეპტიციზმი მაინც იბადება, როდესაც დგება საკითხი, თუ რა რესურსი და ინვესტიციები სჭირდება დარგის კრიზისიდან გამოყვანას, რამდენად რეალურია დღევანდელი თავისუფალი გლობალური კონკურენციის პირობებში, ამ დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და შევძლებთ თუ არა, მისგან მიღებულმა სარგებელმა გადააჭარბოს იმ დანახარჯებს, რომელსაც ეს დარგი მოითხოვს? სწორედ, ამ მიმართულებით, სიტუაციის უკეთ შესაფასებლად, წინ გადადგმული ნაბიჯია ჩვენ მიერ აგებული ზოგადი წონასწორობის ეკონომიკური მოდელი. ერთი მილიარდი ლარის ინვესტიციების სიმულაციური ასახვით დავინახეთ, თუ რა მნიშვნელოვანი პირდაპირი და არაპირდაპირი დადებითი ეფექტების მოტანა შეუძლია სოფლის მეურნეობას საშუალოვადიან პერიოდში:

- უმუშევრობა მცირდება 10%-მდე. (სოფლად 5%, ქალქად 17%)
- სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოება იზრდება 31%-ით. ამასთან ერთად, იზრდება დამამუშავებელი მრეწველობის წარმოება (19%-ით), ვაჭრობა (13%-ით)
- მცირდება სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასები 17%-ით. უმნიშვნელოდ იკლებს, ასევე, დამამუშავებელი მრეწველობის პეოდუქტთა ფასები (1%-ით) და სასტუმროებისა და რესტორნების ფასები (2%-ით).
- ჯამური ექსპორტი იზრდება 19%-ით. ამასთან, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტი 70%-ით, ხოლო დამამუშავებელი მრეწველობის – 21%-ით.
- ჯამური იმპორტი იზრდება 7%-ით. სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტი კი 15%-ით მცირდება, ხოლო რამდენიმე სხვა სექტორის იმპორტი მატულობს 10-15%-ით.
- ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი 8%-ით იზრდება.

- რეალური ხელფასები დაახლოებით 5%-ით იზრდება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოდელის სტრუქტურიდან და დაშვებებიდან გამომდინარე მიღებული შედეგები საშუალოვადიან პერსპექტივაში მიიღწევა. რატომუნდა, ამ ეკონომიკურ მაჩვენებლებზე ბევრი სხვა ფაქტორი ახდენს გავლენას. შესაბამისად, მოდელის შედეგების ინტერპრეტაციისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ განხორციელებული სიმულაციების დროს ჩვენ მიერ აგებულ ეკონომიკის მოდელში არაფერი იცვლება, გარდა კონკრეტულ სექტორებში განხორციელებული ინვესტიციებისა. როგორც ვნახეთ, ინვესტიციის შედეგები სხვადასხვა ეკონომიკურ ინდიკატორზე (მშპ, სამუშაო ადგილების შექმნა, სავაჭრო ბალანსი, მთლიანი წარმოება, ფასები), განსხვავებულია. თუ ინვესტიცია ერთ-ერთ სექტორში მშპ-ს მაჩვენებელს საუკეთესოდ ზრდის, სხვა სცენარი ფასების კლებით არის პირველ ადგილზე. ყველა მაკროეკონომიკური მაჩვენებლის გათვალისწინებით, საუკეთესო ვარიანტებად გამოიკვეთა დამამუშავებელ მრეწველობაში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში ინვესტირება. თუმცა სოფლის მეურნეობაში მიმართული ინვესტიციები ცალსახად უმჯობეს შედეგებს გვაძლევს, ვიდრე სასტუმროებსა და რესტორნებში, ან თუნდაც, ენერგეტიკული მიმართულებით ინვესტირება. ამავდროულად, ვნახეთ, რომ სოფლის მეურნეობის სექტორი უფრო მჭიდროდაა გადაჯაჭვული სხვა ეკონომიკურ სექტორებთან, ვიდრე ნებისმიერი სხვა სექტორი. შესაბამისად, სოფლის მეურნეობაში ინვესტიციები ზრდის არა მარტო სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოებას, არამედ დამამუშავებელი მრეწველობის, სასტუმროებისა და რესტორნების და ყველა იმ სექტორის წარმოებას, სადაც აგროპროდუქტები გამოიყენება შუალედურ რესურსებად. შესაბამისად, იზრდება ამ სექტორთა მომსახურებისა და პროდუქტების ექსპორტი.

სოფლის მეურნეობის განვითარებით მიღებული სარგებელი მნიშვნელოვანია, რადგან ამ სექტორში ინვესტიციები, სექტორის კაპიტალიზაცია და ინფრასტრუქტურის ზრდა, სოფლის მეურნეობას სოციალურ დატვირთვასთან ერთად კომერციულ მნიშვნელობასაც სძენს, იზრდება ფერმერთა კონკურენტუნარიანობა და აგრარული ბიზნესგარემო.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაწყებული მიწის რეფორმების შედეგად კერძო საკუთრებაში მიწების რაოდენობა გაიზარდა, თუმცა, დაშლილ და დანაწევრებულ მეურნეობებში პროდუქტიულობა ძალიან შემცირდა. მრავალ სხვა პრობლემასთან ერთად, ურბანული დასახლებებიდან მოშორებით ყოფნა სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდა სოფლის მოსახლეობისთვის. რიგ შემთხვევებში, საგზაო ინფრასტრუქტურაში ინვესტიციამ შეამცირა სატრანსპორტო დანახარჯები და ხელი შეუწყო ვაჭრობისა და წარმოების განვითარებას, როგორც ეს სამცხე-ჯავახეთის მაგალითზე დავინახეთ. ზოგადად, სოფლის მეურნეობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მწირი რაოდენობით იღებოდა ბოლო წლების განმავლობაში, რაც ამ სექტორის განვითარებას კიდევ უფრო აფერხებდა. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა 2013-2014 წლებში. ამუშავდა სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი მრავალი სახელმწიფო და დონორთა პროგრამა, თუმცა ამ ეტაპზე ნაადრევია სრულ შედეგებზე საუბარი.

2003-2012 წლებში სოფლის მეურნეობის ბიუჯეტი არასაკმარისი იყო დარგის განვითარებისთვის. უფრო მეტიც, სოფლის მეურნეობის განვითარება არ იყო პრიორიტეტული და მუსირებდა აზრი, რომ მეტისმეტად ბევრი ადამიანია ჩარჩენილი სოფლის მეურნეობაში. მთავრობის მესვეურები ამ მოსაზრებას ამყარებდნენ იმით, რომ არცერთ განვითარებულ ქვეყანაში აღემატება სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა სამუშაო ძალის 3-4%-ს. გამოტანილი დასკვნა კი ის გახლდათ, რომ საქართველომ განვითარებისათვის მიწების სწრაფი კონსოლიდაცია და ურბანიზაცია უნდა მოახდინოს. შედეგად მივიღეთ „ლაზიკას“ მსგავსი პროექტები, სოფლის მეურნეობის შემცირებული ბიუჯეტი და აგრარული პოლიტიკის უგულვებელყოფა. ხოლო მიწების კონსოლიდაციის კუთხით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგმულა. 2012 წლამდე, სოფლის მაცხოვრებლებზე სუბსიდიების გაცემა სხვა არაფერი იყო, თუ არა წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილება, სოციალური დახმარების თვალსაზრისით და არა სოფლის განვითარებისკენ გადადგმული ნაბიჯი. 2012 წლიდან მოყოლებული მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი, რომლის ფარგლებში, ნაშრომის პირველ თავში განხილული, მრავალი პროგრამა განხორციელდა.

დღეს, საქართველოს სოფლის მეურნეობა ახალი გამოწვევების წინაშე დგას. ჩნდება კითხვა იმის შესახებ, თუ რა ახალი როლი უნდა შეასრულოს სოფლის მეურნეობამ ქვეყნის ეკონომიკაში, გარდა ტრადიციული შინაარსისა, რაც მოსახლეობის გამოკვებას ემსახურებოდა. საკითხი ეხება იმას, თუ რა პოტენციალი გააჩნია აღნიშნულ სფეროს, აქვს თუ არა სავაჭრო უპირატესობები სოფლად წარმოებულ პროდუქციას და უნდა მიექცეს თუ არა განსაკუთრებული ყურადღება ადგილობრივი მოთხოვნილებების დასაკაყოფილებლად.

რეალურად, დღეს საქართველო მოიხმარს მეტ იმპორტირებულ საკვებ პროდუქტებს, ვიდრე აწარმოებს. ამ ფონზე ჩნდება კითხვა, თუ რა ადგილს იკავებს ეს სფერო საქართველოს დარგობრივ სტრუქტურაში, ღირს თუ არა მასზე პოლიტიკის აქცენტირება, სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ დარგად აღიარება, ეფექტურად იმოქმედებს თუ არა სიღარიბის შემცირებაზე და სხვა.

სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მშპ-ში მისი წილის, წმინდა სავალუტო შემოსავლების, დასაქმების და სიღარიბის დაძლევის თვალსაზრისით, თუმცა როგორც ვნახეთ, მისი როლი თანდათანობით იკლებდა 2012 წლამდე.

ქვეყანაში არსებული სიღარიბის მთავარი მიზეზი არის ის, რომ ვერ მოხერხდა ქვეყნის სოფლის მეურნეობის სექტორის მოდერნიზება, შესაბამისად, პროდუქტიულობა ძალზედ დაბალია და სიღარიბესაც აქედან ედება სათავე, რადგან დასაქმებული სამუშაო ძალის დაახლოებით ნახევარი, სწორედ, სოფლის მეურნეობაშია.

სოფლის მეურნეობა დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორია საქართველოს ეკონომიკაში. ამას, ერთი მხრივ, ტრადიციული ევრაზიული საექსპორტო ბაზრების გახსნა უწყობს ხელს, მეორე მხრივ კი ნაშრომში აღწერილი მთავრობისა და დონორების ინიციატივების სიუხვე, რომელიც მხარს უჭერს მიწის რეგისტრაციის პროცესის დასრულებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, იაფ კრედიტსა და სხვა მომსახურებებზე წვდომას.

რატომ შეიძლება, რომ სოფლის მეურნეობა საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად გადაიქცეს? ამის პირველი მიზეზი ის

არის, რომ ქვეყანას ბევრი ალტერნატივა არ გააჩნია. ძნელად, მაგრამ ქვეყანამ ისწავლა, რომ რთულია ახლადჩამოყალიბებული სამრეწველო და მომსახურებების მიმწოდებელი ფირმების შენარჩუნება ღია გლობალურ ეკონომიკაში, განსაკუთრებით კი, კვალიფიციური და დისციპლინირებული სამუშაო ძალის ნაკლებობის პირობებში. თუმცა ასევე არსებობს ბევრი სხვა მიზეზი იმისა, თუ რატომ შეიძლება გახდეს სოფლის მეურნეობა ქართული ეკონომიკის ღირსეული ნაწილი.

პირველი, შეიძლება ბევრს მიაჩნდეს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა უფრო სოციალური უსაფრთხოების ქსელია ასიათასობით არასათანადოდ დასაქმებული ინდივიდისათვის, მაგრამ ეს არის სექტორი, სადაც ჯერ კიდევ შეიძლება დიდი შედეგის მიღწევა მცირე ძალისხმევით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროდუქტულობის ზრდა მოკრძალებული ფინანსური ინვესტიციების, ორგანიზაციული და პროცესუალური საკითხების დახვეწითაც მიიღწევა.

მეორე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ აღმოსავლეთ აზიის ბევრმა ეკონომიკამ მაღალ ეკონომიკურ ზრდას საწყის ეტაპზე სწორედ, სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარებით მიაღწია. სასოფლო-სამეურნეო ნაყოფიერების ზრდამ შედეგად მოიტანა ინვესტიციები ურბანულ დასახლებებში, მსუბუქი მრეწველობის განვითარებაში და ასე, მთელი ძალით ამოქმედდა შრომის „მიმზიდველი“ და „განმზიდველი“. ექსპორტზე ორიენტირებული ინდუსტრიალიზაცია შეიძლება გამოწვევა იყოს საქართველოსნაირი ქვეყნისათვის, სოფლის მეურნეობის ნაყოფიერების ზრდით გამოწვეული ეკონომიკური კეთილდღეობა კი სხვა სექტორების (რომელთა წინასწარმეტყველებაც თითქმის შეუძლებელია) ბუნებრივ განვითარებას უყრის საფუძველს.

მესამე, გლობალური ტენდენციების გათვალისწინებით, მოთხოვნა მზარდია სოფლის მეურნეობის დიფერენცირებულ (როგორც პირველად, ასევე გადამუშავებულ) პროდუქტებზე. ამის მაგალითებია აშშ-ში ახლადგაჩენილი პატარა ლუდის ქარხნები, აგროტურიზმი და სურსათის მოძრაობა იტალიაში და ა.შ. საქართველოს ამ კუთხით რიგი უპირატესობები აქვს, როგორცაა ნიადაგი და კლიმატური პირობები, უნიკალური კულტურა და ტრადიციები. ამ უპირატესობების

გამოყენებით, ქვეყანას აქვს პოტენციური შექმნას განსაკუთრებული და მაღალი ღირებულების მქონე, გეოგრაფიულად დომინირებული პროდუქტები, ჩაერთოს გადამამუშავებელი მრეწველობის ინოვაციურ პროცესებში და მისდიოს ორგანულ სოფლის მეურნეობას.

მეოთხე, გლეხების ჭარბი პროდუქციის თანდათან კომერციალიზაცია სოფლის მაცხოვრებლებს სიღარიბის დაძლევაშიც დაეხმარებოდა და თანამედროვე კომერციულ საზოგადოებაში ფუნქციონირების უნარებსაც შესძენდა.

